# საერთო გაზეთი

№1 (313) • 21 იანვარი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი




მოხდა გაუგონარი რამ – შვილმკვდარი მამა შვილის საფლავზე ააფეთქეს...
ეს ტრაგედია ყველა ჩვენგანის ტრაგედიაა.
ქართველი ხალხი მოითხოვს – სასწრაფოდ დადგინდეს იური ვაზაგაშვილის მკვლელების ვინაობა და ამასთან ერთად გამოძიებულ იქნას ნაციონალების მიერ ჩადენილი ყველა კრიმინალური საქმე.

## სანდრო ბრეგაძე:

ეს არასამთავრობოები მხოლოდ ერთ სანდრო ბრეგაძეს კი არა ყველა იმ ადამიანს ებრძვიან, რომლებიც ეროვნულად აზროვნებენ და მათ მზაკვრულ ზრახვებს ამხელენ



## ლევან კოჭლოშვილი:

თუ შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან, აუცილებლად ვითანამშრომლებ გამოძიებასთან და იმ ოფიცრების ვინაობას დავასახელებ, რომლებიც ხელს უწყობენ ქართველი ჯარისკაცების წასვლას უკრაინის ომში



## დავით მაღრაძე:



საქართველოს ისეთივე მნიშვნელობის რეფორმა სჭირდება, როგორც იოანე პეტრიწმა ჩაატარა გელათის აკადემიაში

## შალვა ხაჭაპურიძე:

სააკაშვილმა წარმატებით შეასრულა რუსების მორიგი დავალება და ფოთის პორტი „როსნეფტს“ მიჰყიდა...

## დენიზა სუმბაძე:



საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

„...საფირონ ჩავთვალე, მშველელად ვუხმობ ქართველ ხალხს“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-45

## დავით ქობალია:

ვინ უვრცელებს საქართველოს მთავრობას ჭორს, რომ ის კვლავ სააკაშვილისეულ „ლაზიკა-პორტის“ პროექტს მიუბრუნდა და ანაკლიიდან სულ მალე მოსახლეობის გასახლება დაიწყება?




„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტები



ვახტანგ ხარჩილავა

2015 წელი დაიწყო და დაიწყო ძალიან ცუდად.

რა თქმა უნდა, საფრანგეთში დატრიალებულ დიდ ტრაგედიას ვგულისხმობ, რომლის მასშტაბები, ცხადია, ერთი კონკრეტული ქვეყნის ფარგლებს სცილდება და მთელ მსოფლიოს, მათ შორის, ამ მსოფლიოს შემადგენელ ნაწილს, საქართველოსაც ეხება.

„ნაციონალებმა" და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა „ნაციონალებმა" საინფორმაციო საშუალებებმა მიწამსვე გაავლეს პარალელები ამ ტრაგედიასა და საქართველოში 17 მაისს მომხდარ ამბავს შორის და ერთი სასულიერო პირის ხელში შემთხვევით აღმოჩენილი მრისხანე „იარაღი" „ტაბურეტკა" ლამის ავტომატად წარმოაჩინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობა" ყველაფერს გააკეთებს, ყველაფერზე წავა, რომ საქართველოში იგივე ტრაგედია დატრიალდეს, რაც საფრანგეთში მოხდა.

— **საქართველოს მტერი სააკაშვილიაო,** — თქვა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და აბსოლუტური სიმართლე თქვა, ოღონდ ამ სიმართლეს აქვს სხვა გაგრძელებაც, რომელიც ჯერ არ თქმულა.

**თუ სააკაშვილი საქართველოს მტერია, საქართველოს მტრები არიან „ნაცმოძრაობის" ის წევრებიც, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებდნენ საქართველოს მტრის, სააკაშვილის, ბრძანებებს.**

ეს ელემენტარული ლოგიკაა, თუმცა ამ ელემენტარულ ლოგიკას ხშირად არ ითვალისწინებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება და „ნაციონალებს" ისე ფართოდ უღებს კარებს სხვადასხვა სტრუქტურებში, თითქოს მხოლოდ სააკაშვილი იყო მტერი, ესენი კი ქვეყნის მოყვრები და გულდათუთქული ჭირისუფლები არიან.

დიდ შეცდომას უშვებთ თქვენ, ძვირფასო ხელისუფლებავ, ძალიან დიდ შეცდომას, რომელიც საბედისწეროდ შეიძლება შემოგიტრიალდეთ თქვენც და მთელ ქვეყანასაც.

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა"-ო, ხომ გაგიგონიათ?

**ეს ნაციონალური ყორნები, რაც უნდა ხეხოთ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ნაკურთხი ქვიშით, ძალიანაც რომ მოინდომონ და ძალიანაც რომ უნდოდეთ, მაინც არ, უფრო სწორად, ვერ გათეთრდებიან, რადგან ისინი ყველა ძარღვით და ყველა უჯრედით სამუდამოდ არიან მიერთებულნი იმ დანაშაულებრივ სისტემას, რომელზეც „ნაცმოძრაობაა" აგებული.**

**ისე, როგორც არ არსებობს ყოფილი კაგებეშნიკი, ასევე არ არსებობს ყოფილი „ნაციონალი".**

ეს ერთი სისტემაა, ერთი პროექტია...

კოალიცია „ქართულ ოცნებაში" მეხუთე კოლონად შეპარული „ნაცმოძრაობის" წევრები საჭირო დროს და საჭირო მომენტში აუცილებლად შეეცდებიან სიტუაციის შიგნიდან აფეთქებას.

თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ისინი ახლად ეწევიან ძირგამომთხრელ საქმიანობას და ეს განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებში.

ერთი შეხედვით პარადოქსია, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ როგორც ამბობენ, კოალიცია „ქართულ ოცნებაში" მაინცდამაინც დიდად არ უყვართ ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად შეუპოვრად ებრძოდნენ „ნაცმოძრაობის" კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმს, სამაგიეროდ, „ნაციონალური" სტაჟის მქონე პირებს გზა ხსნილი აქვთ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთმა წარმომადგენელმა ასეთი რამ განაცხადა: — „ქართული ოცნების" იმ მხარდამჭერს, რომელმაც მხოლოდ დროშის ფრიალი იცის, რა თქმა უნდა, პროფესიონალი „ნაციონალი" მირჩევნიაო.

გირჩევნია და გერჩივნოს, პატივცემულო, მაგრამ ის პროფესიონალი „ნაციონალი" ერთ მშვენიერ დღეს პროფესიონალურად რომ ჩაგარტყამს ზურგში დანას, ამაზე თუ გიფიქრია?

**მსოფლიოში შექმნილი უაღრესად კრიტიკული და კრიზისული მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ 2015 წელი, ეს იქნება უმძიმესი გამოცდის წელი ქართული სახელმწიფოსთვის და, აქედან გამომდინარე, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვისაც.**

ამ სიტუაციაში, ალბათ, ყველაზე მთავარი ის არის, რომ შენარჩუნდეს მჭიდრო კავშირი ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ამისთვის კი უპირველესი წინაპირობაა, არსებობდეს ერთიანობა, ერთი ხედვა თვითონ ხელისუფლების შიგნით.

მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, ფაქტობრივად, გაემიჯნა იმ პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც ის ხელისუფლებაში მოიყვანა, მაშინ, როდესაც არსებობს საშიშროება, ქვეყნის პრეზიდენტი ენჯეოების და ოპოზიციურად განწყობილი ძალების პრეზიდენტად იქცეს, ძნელია ილაპარაკო ერთიანობაზე და არ იფიქრო იმ შედეგებზე, რომლებიც ამ პროცესების განვითარებასა და გაღრმავებას შეიძლება მოჰყვეს.

**ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ბატონი პრეზიდენტი დიდი ღალატისთვის ემზადება და მასთან ერთად ღალატისთვის ემზადება კოალიცია „ქართული ოცნების" ზოგიერთი სუბიექტიც.**

ღმერთმა ქნას, რომ მე რაღაც მელანდებოდეს და მეჩვენებოდეს, მაგრამ თუ ეს მოხდა, ამან შეიძლება ქვეყანა დიდი საშიშროების წინაშე დააყენოს.





ერთადერთი გზა ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად და მის აღსაკვეთად იმ პოლიტიკური ორგანიზაციის გაძლიერება და მონოლითურ ძალად ქცევაა, რომელსაც „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" ჰქვია და რომელიც თავის დროზე ქართველ ხალხთან ერთად ბიძინა ივანიშვილმა დააფუძნა.

**უფრო მეტსაც ვიტყვი — ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იქ, საიდანაც ეს ყველაფერი დაიწყო, ანუ დავბრუნდეთ 2011 წლის ოქტომბერში და იქიდან წამოვიდეთ აქეთ, აწმყოსა და მომავლისკენ, ოღონდ წამოვიდეთ იმ პოლიტიკური პარაზიტების გარეშე, რომლებიც სხვის რეიტინგზე, სხვის პოლიტიკურ დივიდენდებზე გასუქდნენ, გალაღდნენ, ახლა კი ღალატისკენ გაურბით თვალი.**

**ვფიქრობ, ყოველმხრივ საუკეთესო, ყოველმხრივ ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნება, თუ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის („ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო") თავკაცად კვლავ ბიძინა ივანიშვილი მოგვევლინება.**

შეიძლება ზედმეტად რომანტიკულ ოცნებას ჰგავს ის, რაც ახლა ვთქვი, თუმცა, როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავს...

**P.S.** გაზეთი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როცა იური ვაზაგაშვილის შემზარავი მკვლელობის ამბავმა მთელი საქართველო შეძრა.

ჯერჯერობით არავინ იცის, კონკრეტულად ვინ ჩაიდინა ეს საშინელი დანაშაული, თუმცა ერთი რამ უდავოა — ვაზაგაშვილის ოჯახის ტრაგედიის ავტორი „ნაცმოძრაობაა", ისე როგორც ისაა ავტორი სხვა არაერთი ქართული ოჯახის ტრაგედიებისა.

ქუჩაში ჩაცხრილულ შვილს მის საფლავზე მისული მამა ზედ დააკლეს.

ასეთი რამ არ მსმენია...

ეს არ არის ჩვეულებრივი მკვლელობა, ეს უფრო სატანურ რიტუალს ჰგავს, სასტიკ, ცინიკურ რიტუალს, რომლის მთავარი მიზანი ხელისუფლების და საზოგადოების გაფრთხილება და გამოწვევაა.

ვ.ხ.

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



**სანდრო ბრეგაძე:**

# ეს არასამთავრობოები მხოლოდ ერთ სანდრო ბრეგაძეს კი არა ყველა იმ ადამიანს ებრძვიან, რომლებიც ეროვნულად აზროვნებენ და მათ მზაკვრულ ზრახვებს ამხელენ

# ვინ მართავს არასამთავრობოებს და რა დავალება აქვთ მათ?

არც ისე დიდი ხნის წინ, ფრანგულმა ჟურნალმა „შარლი ებდომ" თავის გვერდზე განათავსა რელიგიური დატვირთვის რამდენიმე კარიკატურა (ამას თავად ეძახდნენ კარიკატურას, თორემ ლანძღვა იყო), ამ „კარიკატურებს" შურისძიებაც მალე მოჰყვა - მოკლეს კარიკატურების ავტორი, სრულიად ჩვეულებრივი დაქირავებული მხატვარი, რომელიც ხატავდა იმას, რაც ჟურნალის რედაქციას მოსწონდა და არ ხატავდა იმას, რაც ჟურნალის რედაქციას არ მოსწონდა. ეს იყო სრულიად ჩვეულებრივი პრესის მუშაკი, რომელიც თავის აზრს კი არ ავრცელებდა, უბრალოდ, ხატავდა, გამავრცელებელი და დამკვეთი ამ კარიკატურებისა იყო სწორედ ჟურნალი.

ცხადია, საფრანგეთში დატრიალებულ ტრაგედიას დიდი ხმაური მოჰყვა და იმ ხმაურმა ჩვენამდეც მოაღწია. იქამდე რომ გლდანის სულ ბოლო მიკრორაიონის სარდაფში მცხოვრებმა სარაბაბოვმაც კი ამაყად განაცხადა, ტელევიზორში „მე შარლი ვარ". როგორც ჩანს, ერთობ ნოყიერი ნიადაგი დახვდა საქართველოში იმ ინციდენტს, რომელიც საფრანგეთში მოხდა. საინტერესოა, ის ფაქტიც, რომ რომის პაპმა თავის სამწყსოს მოუწოდა წესრიგისკენ და ძალიან უარყოფითად შეაფასა ნებისმიერი რელიგიის მიმართ გაკეთებული ნებისმიერი შეურაცხმყოფელი განცხადება.

და მაინც, ვინ მოამზადა ნიადაგი საქართველოში ამ საკითხისთვის? რა თქმა უნდა, არასამთავრობო სექტორმა.

მიშას მმართველობის პერიოდში იყო არაერთი მცდელობა, როგორც საქართველოს ეკლესიის, ასევე პატრიარქის გალანძღვისა, საუბარი არ არის იმაზე, რომ პატრიარქი არის ნომერ პირველი ავტორიტეტი საქართველოში, და ვიღაცას სურდა ეს ავტორიტეტი მოერყია. ცხადია, ეს ასე არ არის. იმიტომ, რომ პატრიარქი თავისი ავტორიტეტით სულაც არ აპირებს კენჭის ყრას რომელიმე თანამდებობის დასაკავებლად და არც ღიად დაუჭერია ვინმესთვის მხარი, პირიქით, რადგან ეკლესია გამიჯნულია სახელმწიფოსაგან პატრიარქი ყველანაირად ცდილობს ნაკლებად ჩაერიოს საერო საქმეებში და ძირითადად ზნეობისა და ოჯახის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას. მაშ რა საჭიროა არასამთავრობოების მხრიდან ეკლესიისადმი ასეთი დამოკიდებულება?

უდავოა, რომ „კმარასი" არ იყოს ეს არასამთავრობოებიც რაღაც პოლიტიკურ მიზანს ისახავენ. რატომ უნდათ ამ მიზნის მიღწევა მაინცდამაინც ეკლესიის დისკრედიტაციის გზით? და საერთოდ რა უნდათ ამ არასამტავრობოებს და ვინ არიან მათი წარმომადგენელები?

ყველამ ვიცით როგორ იქმნება არასამთავრობო ორგანიზაცია, საჭიროა მოძებნო დონორი, რომელიც ფულს გადაგიხდის რაიმე ჟურნალის, ფილმის და ა.შ. გამოცემაში, ამ დონორს უნდა შესთავაზო მაგალითად ღამურების უფლებების დაცვა მიუხედავად იმისა, რომ ღამურებზე არავინ ნადირობს და არავინ არაფერს ერჩის, საქართველოში მაინც უმძიმეს მდგომარეობაში არიან. ამ შეთავაზების მიღების შემდეგ დონორი იხდის ფულს, რომლითაც არასამთავრობო ორგანიზაცია შეისწავლის ღამურების მდგომარეობას, დაადანაშაულებს მთავრობას და მთელ ქართველ ერს იმაში, რომ ჩვენ არ გვიყვარს ღამურები და არ ვზრუნავთ მათზე. თუ დაფინანსება დიდი იქნა, მაშინ მთელი ერი ღამურების დამცველებად უნდა გადავიქცეთ. თუ, მაინცდამაინც, დიდი არ იქნა ოთხი- ხუთი ასეთი გამოცემით გადავრჩებით. ყოველშემთხვევაში ორი რამ რჩება უდავო და უკრიტიკო. პირველი, რომ არ ვარგივართ ქართველები (არ ვიცავთ ღამურებს და ა.შ) და მეორე, რომ განვითარება არ გვიწერია ენჯეო სექტორის კარგად განვითარების გარეშე. თუმცა ამ ენჯეოსექტორს ნაციონალები მაშინვე დაერივნენ, როგორც კი მიშა მოვიდა. მხოლოდ თავისი არასამთავრობო სექტორი სჭირდებოდათ. ეშინოდათ, რომ როგორც თვითონ გამოიყენეს ნაციონალური მოძრაობისთვის საბაზო ორგანიზაციად კმარა, ასევე სხვა პარტიასაც შეეძლო კადრების გასაზრდელად სხვა ტიპის ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნა . როგორც კი ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაილურის წყალი დალია ბოკერიამ და მისთანებმა ძველი ხელობა გაიხსენეს და დაიწყეს ახალი არასამთავრობოების შექმნა. თავისუფლების ინსტიტუტი ამ საქმისთვის უკვე აღარ გამოდგებოდა. ამიტომ საჭირო იყო არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ისეთი კადრების გადასროლა, როგორიცაა მაგალითად პოლიციის კაპიტანი გიგაური, რომელსაც სანდრო ბრეგაძის თქმით, ვანო მერაბიშვილმა მისცა პოლიციის კაპიტნის წოდება და მისთანები. ამ ფონზე ერთობ საინტერესოდ გამოიყურება ვაჭარაძე, რომელიც მუდმივად ლაპარაკობს არა იმაზე, რომ ვიღაცა არის დასაცავი, არამედ ამ ნეოკომკავშირლისთვის ხელახლა გახდა რელიგია ხალხის გონების ბანგი და ყველანაირად ცდილობს სახელი გაუტეხოს საქართველოს ეკლესიას, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სექტა ფუნქციონირებს საქართველოში.

ამ ხალხს ერთგვარი მონოპოლი აქვს აღებული ნებისმიერ ენჯეო აქტივობაზე, მათთან შეუთანხმებლად ვერც გამოსვლას გააკეთებ და ვერც გამოცემას, ფაქტობრივად ეს გახდა ჩრდილოვანი კაბინეტი, ხელისუფლების ალტერნატივა და მკაცრი ცენზორი ძალიან ბევრი თემისა, ჯერ ერთი არასამთავრობო სექტორი კრინტსაც ვერ ძრავს მათ გარეშე, ხოლო მეორე, ძალიან ბევრი ჩინოვნიკი თავს იკავებს საკუთარი აზრის გამოთქმისგან იმისი შიშით ემანდ აქცია არ მომიწყონ და მერე ტელევიზორში არ გამომაჭენონო. ტელევიზიების უმეტესობა მოგეხსენებათ, ვის ხელშია, ასე რომ, სიტუაცია ძალიან რთულია.

***„საერთო გაზეთი" დიასპორის საკითხებში მინისტრის მოადგილეს, სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა*** *(მოგეხსენებათ, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერს მისი პოსტიდან გადაყენებისკენ მოუწოდებს).*

**— ვინ არიან ეს არასამთავრობოები და რა მიზანი აქვთ?**

— იცით, აქ რამდენიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომელიც კომპლექსურად არის. ერთის მხრივ, ხშირ შემთხვევაში ეს არის ფულის შოვნის წყარო. ანუ ე.წ. გრანტები, რომლებსაც იღებენ ხოლმე იმისთვის, რომ ვთქვათ, რაიმე საზიზღრობა ან საშინელება დაწერონ ეკლესიაზე, ან ჩაატარონ ისეთი აქცია, რომელიც არანაირ ნორმებში არ ჯდება და შემდგომ საკმაოდ სერიოზულ გრანტებს ანუ პროგრამებს წერენ, სერიოზულ გრანტებს იღებენ ზოგიერთი ორგანიზაციისაგან, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ არის. ერთის მხრივ, ეს არის ფულის შოვნის შანსი და მეორეს მხრივ, თავის დამკვიდრების მცდელობა. ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანები ცდილობენ ხოლმე თავი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში თავისი ე.წ. ორიგინალური გამონათქვამებით და ორიგინალური ქცევებით და ამისთვის ისინი ყველა საქმეს აკეთებენ, ყველანაირ სიბინძურეზე და სიბილწეზე მიდიან, რათა საზოგადოებაში რაღაცნაირად თავი დაიმკვიდრონ. მესამე, ეს არის პირდაპირ შემიძლია გითხრათ, არსებობდა წინა საუკუნის დასაწყისში ბოლშევიკების მიერ შექმნილი ულმერთოთა კავშირი ათეისტების კავშირი, რომელიც ებრძვოდა ყველანაირ რწმენას, შემდგომში თუ გახსოვთ ანგრევდნენ ეკლესიებს, ხოცავდნენ სასულიერო პირებს და ა.შ. მოკლედ, ასეთ საშინელებებს აკეთებდნენ. აი, ეს სამი რაღაც კომპლექსშია ამათთან და შეგვიძლია ერთად განვიხილოთ. და მეოთხე, რაც მთავარი არის, ეს არის ნაციონალური მოძრაობის დავალება, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები შეიძლება თამამად მივიჩნიოთ ამ ულმერთოთა კავშირების სულიერ შვილებად, რომლებიც არიან სერგო ორჯონიკიძეს, ფილიპე მახარაძის და, აი, ამ ოდიოზური ფიგურების სულიერი შვილები და ისინი აძლევენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის დავალებებს და ესენიც ამ დავალებებს ასრულებენ. იმიტომ, რომ რატომღაც ნაციონალური მოძრაობა დარწმუნებულია იმაში, რომ ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ შეიტანა დიდი წვლილი მათ ხელისუფლებიდან ჩამოცილებაში და ისინი ფიქრობენ, რომ სანამ იქნება მართლმადიდებლური ეკლესიის როლი და ავტორიტეტი ძლიერი, მანამდე ისინი ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან.

**— სანდრო, უკვე მესამედ ითხოვენ თქვენი პოსტიდან გადაყენებას...**

— მე რას მერჩიან, ეს ნაკლებად საინტერესო არის, ნებისმიერ ადამაინს ერჩიან, რომელიც ეროვნულად აზროვნებს, რომელიც პატრიოტია თავისი ქვეყნის და რომლისთვისაც ილია ჭავჭავაძის დასახული პრინციპები: მამული, ენა და სარწმუნოება არის ძვირფასი და სანუკვარი. აქ არ არის ერთ სანდრო ბრეგაძეზე ლაპარაკი, ისინი ყველა სანდრო ბრეგაძეს და ყველა კოლექტიურ სანდრო ბრეგაძეს ერჩიან და ყველა იმ ადამიანს ერჩიან, რომელიც მათ მზაკვრულ ზრახვებს ფარდას ახდის. მეორეს მხრივ, მათ ერთგვარ ტერორში ჰყავთ საქართველოს მოსახლეობა და პოლიტიკა. ერთგვარ უფროსებად არიან ქცეულნი და იმის განმსაზღვრელებლად თუ ვინ როგორ უნდა მოიქცეს. და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მათსავით არ იქცევა ან მათ ქედს არ უხრის მათთვის არის მიუღებელი და ამაზე ტეხავენ ერთ წივილ-კივილს და არიან ერთ ამბავში. და საკმაოდ ბევრი პოლიტიკოსი დაშინებულია ჰყავთ შეიძლება ასე ითქვას, დიახ, მათ ეშინიათ მათი. მე მხედრიონის არ შემშინებია 18 წლის ასაკში დამიჭირეს და მაწამებდნენ და ჩემს პრინციპზე უარის თქმას მაიძულებდნენ და ახლა ამათი ნამდვილად არ შემეშინდება და არც ერთ ნორმალურ ადამიანს არ შეეშინდება მათი და არც უნდა შეეშინდეს. ყველამ უნდა იცოდეს, ყველა უნდა პატივს სცემდეს თავის რწმენას, მე დიდ პატივს ვცემ ყველა სხვა რელიგიურ მიმდინარეობას და მე მათაც, ისევე დავიცავ თუკი მათ წინაალმდეგ იქნება აღვირახსნილი კამპანია, როგორც ვიცავ ჩემს რწმენას და ჩემს რელიგიას.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

*„პირველ რიგში, სამძიმარს ვუცხადებ უკრაინაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ალექსანდრე გრიგოლაშვილის ოჯახს. ყველა ქართველი მეომარი, რომელიც მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საომარ ვითარებაში, პატივის მიგების ღირსია, მაგრამ მაინც მინდა შევეხო ერთ მტკივნეულ თემას, რომელიც არის ქართველების ომი უკრაინაში. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ქართველები იქ რომელი მხარის სასარგებლოდ იბრძვიან“, - განუცხადა „საერთო გაზეთს“ მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელმა **ლევან კოჭლოშვილმა**.*

*რესპონდენტის განცხადებით, ქართველი ყოფილი ჯარისკაცების საქართველოდან უკრაინაში გადინება, კარგად გააზრებული, დაგეგმილი პროვოკაციაა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ერთ-ერთი ქართული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს ემსახურება.*



## ლევან კოჭლოშვილი:

# თუ შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან, აუცილებლად ვითანამშრომლებ გამოძიებასთან და იმ ოფიცრების ვინაობას დავასახელებ, რომლებიც ხელს უწყობენ ქართველი ჯარისკაცების წასვლას უკრაინის ომში

**ლევან კოჭლოშვილი:** „ხსენებულ პარტიაში რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობ. მოგეხსენებათ, უკრაინაში აქტიურად მიმდინარეობს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელთა მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე დანიშვნა. ვერავინ დამაჯერებს, რომ მრავალმილიონიან უკრაინაში ვერ მოიძებნა კვალიფიციური კადრები, რომლებიც დაინიშნებოდნენ შესაბამის თანამდებობებზე და კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. ვფიქრობ, აქ სხვა ინტერესებია ჩადებული, კერძოდ, ამერიკული კლანის ინტერესებში შედის უკრაინაში ქართველების ლობირება და ის გარემოება, რომ საქართველოს დამაქცევარი მიხეილ სააკაშვილი კურირებს იქ საკადრო პოლიტიკას. ამერიკულ კლანში ვგულისხმობ დიკ ჩეინს, ჯორჯ ბუში-უმცროსს, სააკაშვილის „მამობილ“ მაკკეინს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც საომარ პოლტიკას ქადაგებენ. გაიხსენეთ, ბუში-უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდი, 11 სექტემბრის და სხვა ტერაქტები, გარდა ამისა, რამდენ ქვეყანაში შეიქნა საომარი ვითარება, სადაც სრულად იყო ჩართული ამერიკული სამხედრო ძალები. ჩემი აზრით, რაც დღეს უკრაინაში ხდება, არის გარკვეული პერიოდის შემდეგ ახალი ტალღის აგორება და გაგრძელებაა, თუმცა სჯობს ქართველი ჯარისკაცების თემას დავუბრუნდეთ.

ქართულ შეიარაღებულ ძალებში დარჩენილია გარკვეული კონტიგენტი (ოფიცერთა შემადგენლობა), რომელიც ნაციონალების მთავრობას მისტირის, თუმცა არც მათ უნდა დავუკარგოთ ის ღვაწლი, რაც თავდაცვის სფეროში მიუძღვით, მაგრამ მათი დღევანდელი ქმედება, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. ეს ადამიანები იმ გამოცდილ, პროფესიონალ ქართველ სამხედროებს, განსაკუთრებით უმცროს ოფიცერთა შემადგენლობიდან, რომლებიც იბრძოდნენ 2008 წლის აგვისტოს ომში, გამოვლილი აქვთ კოსოვოს, ერაყის, ავღანეთის სამშვიდობო მისიები, ისეთ პირობებს უქმნიან, რომ მათ ქართული შეიარაღებული ძალები დატოვონ. მათ ხშირად უცვლიან ბაზას, უმიზეზოდ უცხადებენ საყვედურებს და ა.შ. მოკლედ, ყველა ხერხით აიძულებენ სამსახურიდან წასვლას. ზეწოლის რეალური მიზეზი საგულდაგულოდაა შენიღბული, ზემოხსენებულ ჯარისკაცებს აბრალებენ, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს ისინი დაახლოებული იყვნენ მმართველ ელიტასთან და მათი ჯარიდან გაშვებას იმ მოტივით „აპრავებენ“, რომ შემოგზავნილები და შესაბამისად არასანდონი არიან. სინამდვილეში თვითონ არიან ნაციონალების ინტერესების გამტარებლები. ამ ოფიცრების ვინაობის საჯარო დაფიქსირებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ თუ შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან, აუცილებლად ვითანამშრომლებ გამოძიებასთან, რადგან ეს ჩემი ქვეყნის ინტერესებს წაადგება“.

**- ნაციონალების ინტერესების გატარებაში რას გულისხმობთ?**

- სამსახურიდან იძულებით წასულ ჯარისკაცებთან შემდეგ მიდიან კონკრეტული პირები, რომლებიც ეწევიან მათ ასე ვთქვათ, გადაბირებას, უკრაინაში საომრად თუ წახვალთ, უსაფრთხო ადგილზე იქნებით, ჩათვალეთ, რომ ერაყში ან კოსოვოში მსახურობთ, ანაზღაურებაც კარგი გექნებათო. ამ ჯარისკაცებისგან აყალიბებენ ათკაციან ჯგუფებს, რომელიც ჯერ სტამბულში გადაყავთ, იქ არის შეკრების ადგილი, სტამბულიდან კი უკრაინაში მიყავთ. სახელფასო ანაზღაურება თვეში 3000-დან 7000 აშშ დოლარამდეა, გასამრჯელოს ოდენობა დამოკიდებულია ჯარისკაცის პროფესიონალიზმზე და დადებული ხელშეკრულების პირობებზე. დამეთანხმებით, საკმაოდ მიმზიდველი შეთავაზებაა, მით უმეტეს უმუშევრად დარჩენილი მებრძოლისთვის, თანაც იმ ფონზე, როცა ქართულ ჯარში „კონტრაქტნიკის“ თვიური ანაზღაურება, მაქსიმუმ, 1000-1200 ლარია. რაც უფრო მეტ პროფესიონალ მებრძოლს გადაიბირებენ და გააგზავნიან უკრაინაში, ბუნებრივია, მით უფრო მეტ ქულას იწერენ ნაციონალები მავანთა წინაშე, რა შედეგი შეიძლება მოყვეს მათ ამგვარ ქმედებას, არ აღელვებთ, რადგან საქართველოს სახელმწიფო ინტერესები მათთვის არასდროს არაფერს ნიშნავდა. ამის დამადასტურებელი ერთი ფაქტიც მინდა მოვიყვანო. მაშინ, როდესაც უკრაინაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის საქართველოში გადმოსვენებაზე იყო საუბარი, „რუსთავი-2“-ის გადაცემა „არჩევანში“ ერთ-ერთი ქართული ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა **მამუკა მამულაშვილმა,** რომელიც ე.წ. ქართულ ლეგიონს ხელმძღვანელობს უკრაინაში, გააკეთა განცხადება, რომ თურმე **ალექსანდრე გრიგოლაშვილს** უნდოდა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულიყო.



ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარი განცხადებაა, იმ ჯარისკაცის სურვილის შესრულებაზეა საუბარი, რომელიც 2008 წლის ომში იბრძოდა და წლების განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს, რომელიც უბრალოდ უკრაინაში დაიღუპა. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რა შედეგი მოყვება მამულაშვილის პირით გაცხადებულ სურვილის შესრულებას. ჩვენ თუ უკრაინაში დაღუპულ ჯარისკაცს ძმათა სასაფლაოზე დავკრძალავდით, გამოდის იგი საქართველოს სახელით იბრძოდა უკრაინაში, ანუ ხსენებული „ქართული ლეგიონის“ ფორმირებაში ქართული სახელმწიფოც აქტიურადაა ჩართული და პოლიტიკურ დონეზე, ოღონდ არაოფიციალურად ეხმარება უკრაინას.

ახლა რაც შეეხება თავად უკრაინაში მიმდინარე პროცესებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიხეილ სააკაშვილი იქ ერთ-ერთი სერიოზული ფიგურაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა **ზურაბ ადეიშვილი,** რომელიც, როგორც წესი, არსად ჩანს. ვგულისხმობ უკრაინის ხელისუფლებასა და ნაციონალებს შორის ურთიერთობას, საქართველოში პარლამენტარი **გივი თარგამაძე** კურირებდა, მაგრამ ადეიშვილის კლანმა ის ჩააჩოჩა და ახლა ამ ფუნქციას **გიორგი ვაშაძე** და **დავით საყვარელიძე** ასრულებენ. ესენიც პარლამენტარები არიან, ასე რომ, გამოდის ხსენებული პროცესები საქართველოს საკანონმდებლო ორგანოდან იმართება. შეგახსენებთ, რომ ეს პერსონები თავის დროზე მაიდანზეც გამოდიოდნენ ასე ვთქვათ, უკრაინის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად. ნაციონალი დეპუტატები საქართველოს პარლამენტშიც მივიდნენ უკრაინის დროშებით და ჩვენს მთავრობას ოკუპანტების მხარდაჭერაში ადანაშაულებდნენ, ანუ ეს არის „კარგად“ გაწერილი, დიდი ხნის წინ დაწყებული პროვოკაცია, იგივე უკრაინაში დაწყებული საომარი ვითარებაც. ყველაზე ცუდი ისაა, რომ ამ ყველაფერში შეიძლება საქართველოც გაიჭყლიტოს, სააკაშვილისა და მისი გუნდის ქმედებებით გაღიზიანებულმა რუსეთმა არ არის გამორიცხული საქართველოს მიმართ საომარი ვითარება განაახლოს, რაც ისევ ნაციონალების წისქვილზე დაასხამს წყალს და რატომ. როგორც გითხარით, სააკაშვილის ამერიკელი ლობისტები ის გუნდია, რომელიც აქტიურად ეწევა ომის პროპაგანდას, ისინი ჩართული არიან იარაღის ბიზნესში, რაც მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა, აქედან გამომდინარე, საომარი ვითარებები მათთვის მომგებიანია. ფაქტობრივად, მათ უკანაც ვილაცები დგანან. ამერიკაში არიან როკფელერების, მორგანების და ა.შ. ოჯახები, რომელთა ხელშიცაა საავიაციო კომპანიები, გაზი, ნავთობი. იგივე დიკ ჩეინი, ჯორჯ ბუში, ობამა და ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა, ფაქტობრივად ამ ოჯახების მარიონეტები არიან, რადგან მათზეა დამოკიდებული ვინ გახდება აშშ-ის პრეზიდენტი, ანუ პოლიტიკას ისინი განსაზღვრავენ.

ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ რატომ აირია ერაყში სიტუაცია, საიდან წამოვიდა ეს ე.წ. მუსულმანური სახელმწიფო (ხალიფატი) და რას უკავშირდება ეს ყველაფერი. დაახლოებით 6-8 თვის წინ, რუსეთმა ერაყთან მიაღწია შეთანხმებას, რომ „ლუკოილი“ შესულიყო ერაყის ტერიტორიაზე და ოცი წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვება ეწარმოებინა. დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ერაყის ყოფილი ლიდერი **სადამ ჰუსეინი** ამერიკული პროექტი იყო და ამ ქვეყნის გეგმას ახორციე-


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



ლებდა ირანის წინააღმდეგ. მოგვიანებით, როცა აშშ-მა ე.წ. ეკონომიკური მკვლელები შეაგზავნა ერაყში სადამ ჰუსეინის „დასავერბოვკებლად“, რაზეც მან უარი განაცხადა, ჰუსეინი ასე ვთქვათ, გაანეიტრალეს და მისი ჩამოხრჩობის სცენაც გვაჩვენეს. ამის შემდეგ ერაყში ე.წ. დემოკრატიული მთავრობა მოვიდა, რომელსაც ეგონა, რომ მართლა დემოკრატიის გზით მოვიდა და ყველაფრის გაკეთების უფლება და საშუალება ჰქონდა, მაგრამ სააკაშვილის თქმისა არ იყოს, ნურას უკაცრავად. პირველად სწორედ ერაყში მოხდა არეულობა, მუსულმანური სახელმწიფოც იქ შეიქმნა და მერე სირიის ტერიტორიაზე გადავიდა. ხალიფატის თემამ ზუსტად იმიტომ წამოიწია, რომ რუსულ ინვესტიციებს პრობლემა შექმნოდა ერაყში, მაგრამ რუსეთმა საპასუხოდ საკმაოდ ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, ეს ინვესტიციებს სხვა მიმართულება მისცა. კერძოდ, პუტინმა კოლოსალური თანხები ჩადო გროზნოს სარეაბილიტაციოდ და ეს ქალაქი ბრწყინვალედ არის გაკეთებული, რითაც პუტინმა მუსულმანური საზოგადოება მოიმადლიერა. გარდა ამისა, რეალურად ამერიკის მიერ შექმნილ ხალიფატს უერთდებიან რუსეთში მცხოვრები ასე ვთქვათ, მეამბოხე მუსულმანები, რომლებიც გავლენას ახდენენ ხალიფატის ხელისუფლების მაღალ ეშელონებზე, გადადიან სირიაში, სადაც გარდამავალი პროცესია და რუსეთს რა ინტერესიც ექნება, ის გატარდება. ხალიფატი რეალურად არის ბომბი, რომელსაც რუსეთი თავის შეხედულებისამებრ გამოიყენებს, ანუ ეს ბომბი მან ამერიკას ხელიდან გამოაცალა. თან ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როდესაც რუსეთმა ყირიმელ თათრებს, ანუ მუსულმანებს, ინტერესები დაუკმაყოფილა, დაარწმუნა, რომ იქაური მუსულმანური საზოგადოების პრობლემების მოგვარება და ყველა რგოლში ურთიერთობების დალაგება ყველაზე კარგად რუსეთს შეუძლია. ასევე იმ ფონზე, როდესაც რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობის მაჩვენებელი საკმაოდ გაზრდილია, რასაც მაინც და მაინც ხმამაღლა არ აცხადებენ.

ნატოს ჯარის კონტინგენტის 80%-ს რეალურად თურქეთის ჯარი შეადგენს, თურქეთს ერმილიონიანი რეგულარული არმია ჰყავს. როგორ გგონიათ, თურქეთის ინტერესებში შევა, თუ ნატომ არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები, ბალტიისპირეთისა და სხვა პატარა ქვეყნების, ან თუნდაც უკრაინის ინტერესების დაკმაყოფილება, თავისი ჯარისკაცებით მათ თავდაცვაზე ზრუნვა თუკი რუსეთი დაუპირისპირდება? ვფიქრობ თურქეთი ასეთ რისკზე არავითარ შემთხვევაში არ წავა, მითუმეტეს, როცა მისი ეკონომიკა მიბმულია რუსეთზე. რას ნიშნავდა საფრანგეთში ბოლო დროს მომხდარი ტერაქტები, რაც ძალზე დიდ პროვოკაციად მიმაჩნია.

**- ვის მიერ მოწყობილ პროვოკაციად და რატომ?**

- ალბათ, ისევ იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ომის პროპაგანდას ეწევიან. ეს ყველაფერი ბმაშია საქართველოსთანაც, უკრაინასთანაც და რუსეთთანაც, მაგრამ ჩვენთან პირდაპირ ბმაშია. დააკვირდით, როგორ გვიქციეს პანკისელი ახალგაზრდა ხალიფატის ერთ-ერთ ლიდერად. **ბათირაშვილი** რეალურად იქ ამხელა გავლენებით არ სარგებლობს. უბრალოდ „ნაცმოძრაობის“ ინტერესებში შედის, რომ მოხდეს ამ ადამიანის როლის გაბუქება, მისი გავლენიან ფიგურად წარმოჩენა, რომელიც რეალურად მართავს იქაურობას. ეს საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შესალახად კეთდება, რადგან ბათირაშვილი საქართველოს მოქალაქეა.



მოდით, საფრანგეთში მომხდარ ტერაქტების თემას დავუბრუნდეთ. ჩვენი პრემიერ-მინისტრი აუცილებლად უნდა წასულიყო საფრანგეთში ტერორიზმის დასაგმობად, მაგრამ არ მინდა ის დიდი მსვლელობა, ლოზუნგით „მე შარლი ვარ“ მუსულმანურ სამყაროსთან დაპირისპირების საწყისი იყოს, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოსი, რადგან ეს მესამე მსოფლიო ომზე მიგვითითებს. ეს მუსულმანებისთვის საღვთო ომი იქნება, რაც უკონტროლო პროცესებს წარმოშობს, ეს ძალზე ცუდია ჩვენთვისაც, რადგან ფაქტობრივად მუსულმანური ქვეყნებით ვართ გარშემორტყმული. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ვის ინტერესებში შედის რელიგიური დაწყება, მაშინ, როდესაც ჩინეთი ჯერჯერობით ასეა გაჩერებული და ელოდება ალბათ იმას, რომ მოხდეს რელიგიური დაპირისპირება. ის უკვე მეგა სახელმწიფოა, აქვს განვითარებული ეკონომიკა და ძლიერი შეიარაღება, ერთადერთი პრობლემა მისთვის მიწაა. ვფიქრობ, ჩინეთი სწორედ მსოფლიოში ვითარების არევას ელოდება, რომ გადავიდეს შეტევაზე და მიისაკუთროს ტერიტორიები. უბედურება იმაშია, რომ როდესაც უკონტროლო სიტუაცია იწყება უკრაინაში, დაძაბულობაა სირიაში, საფრანგეთში ხდება ასეთი ფაქტი, რასაც მთელი მუსულმანური სამყარო აჰყვა. ტერორიზმს არ ვამართლებ, მაგრამ არც მე ვეთანხმები იმ ჟურნალის ქმდებას, მუჰამედის გაშარჟებას. მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, მაგრამ სხვის სარწმუნოებას დიდ პატივს ვცემ, ამ ჟურნალმა ჩვენი რელიგიაც გააშარჟა, რაც ქრისტიანებისთვისაც ძალზე შეურაცხმყოფელია, ამ გამოცემის საქციელს ჩემი აზრით, გამართლება არ აქვს. რეალურად ეს პროცესები შეიძლება ძალიან დიდ ქაოსში გადაიზარდოს. მუსულმანური საღვთო ომის პროცესები ყველაზე გვიან ამერიკას მიადგება, მაგრამ მანამდე ნახევარი მსოფლიო აირევა. აქედან გამომდინარე, დიდძალი იარაღი იქნება გამოყენებული, რითაც კონკრეტული ადამიანები, ანუ იარაღის ბიზნესში ჩართული პერსონები კოლოსალურ მოგებას მიიღებენ.

**- ამგვარი არეულობით ალბათ სააკაშვილიც ნახავს დიდ მატერიალურ სარგებელს. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, ის და მისი გენერალი ბიძა თემურ ალასანიაც სერიოზულად არიან ჩართული იარაღის უკანონო ბიზნესში.**

- რა თქმა უნდა, სააკაშვილი უკრაინაში არსებული ვითარებით მატერიალურ სარგებელსაც იღებს და პოლიტიკურ დივიდენდებსაც, აჩვენებს, რომ ისევ აქვს გავლენა საქართველოში, შეუძლია ჯარისკაცების მობილიზება და უკრაინაში შეყვანა, დამაბრუნეთ საქართველოში და უკრაინას გამოვუცხადებ სოლიდარობას, სამხედრო მხარდაჭერას, რაც ძალიან სარფიანი შეთავაზება იყოს. ჯერჯერობით სააკაშვილი იმ ეტაპზე ჰყავთ შეჩერებული, რომ იგი **ზურაბ ადეიშვილთან** ერთად უკრაინაში პოლიტიკურ ელიტას ალაგებს, რათა ყველანაირი ბერკეტი ჰქონდეს რაც დარჩა ფაქტობრივად უკრაინისგან, იმის საკონტროლებლად. დარწმუნებული ვარ, იგი საკუთარი პოლიტიკური კარიერის გამო ნებისმიერ ქვეყანას, მათ შორის რუსეთსაც ლანგრით მიართმევს ყველაფერს, ოღონდ ისევ მოიპოვოს საქართველოზე გავლენა. ამიტომაც მიმაჩნია მიუღებლად ქართველი ჯარისკაცების უკრაინის ომში ჩართულობა.

გააზრება ჭირდება, თუ ვინ მოგვიწოდებს უკრაინაში მებრძოლი ქართველი ჯარისკაცების



მხარდაჭერისკენ. იმ ჯარისკაცებს მინდა მივმართო, რომელიც უკრაინაში წასვლას ფიქრობენ, ჩემო კარგებო, ეს არის დიდი პროვოკაცია, ადამიანები, რომლებიც დღეს ვიზირებას გიკეთებენ თურქეთსა და უკრაინაში, ამით საკუთარ ბიზნესს აკეთებენ თქვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე, რაც ყველაზე მთავარია, ეს ის ხალხია, რომლებმაც 2008 წლის ომში რუსებს პირისპირ შეგატოვათ და გაიქცა, დაღუპული ჯარისკაცებიც კი არ გადმოასვენეს. უკრაინაში თქვენი წასვლა ანტისახელმწიფოებრივი ქმედება გამოდის, ერთ დროს თუ თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად საქართველოს ინტერესებს იცავდით, დღეს შეიძლება ის ადამიანები გახდეთ, რომლებმაც საქართველოს ინტერესები გაუაზრებლად გაყიდა.

**- ნაციონალების უკრაინაში მაღალ თანამდებობებზე დანიშვნამ სხვა საფრთხეებიც შეიძლება შეუქმნას საქართველოს?**

- მოგეხსენებათ, უკრაინის ბაზარზეც გადის ჩვენი ღვინო და სხვა პროდუქცია, ანტიკორუფციული სამსახური, რომლის ხელმძღვანელადაც ზურაბ ადეიშვილს მოიაზრებენ, რეალურად არის ის იარაღი, რომლითაც ნებისმიერ ფირმას შეუძლიათ პრობლემები შეუქმნან. მაგალითად ღვინის ქარხნებს მოვიყვან, როდესაც საქართველოდან კონტეინერებით გაიგზავნება ღვინო, ადგილზე ფინანსური პრობლემების შექმნის გამო, არ გადმოერიცხოთ ქარხნებს თანხები, ან გაუფუჭონ პროდუქცია. საომარი მდგომარეობის მომიზეზებით ამ თანხების ამოღება თურმე უკვე ჭირს, ანუ რეალურად ეს უკვე დასაწყისია. გარდა ამისა, გასაგები მიზეზების გამო უკრაინამ დაკარგა რუსეთის, მისთვის ყველაზე დიდი გასაღების ბაზარი, ვეღარ გააქვს ის პროდუქტები (ზეთი, რძის პროდუქტები, ფრინველი), რომელიც დიდი რაოდენობით იწარმოება უკრაინაში. ეს პროდუქცია ახლა ქართულ ბაზარზე იმკვიდრებს ადგილს. უკრაინელი ბიზნესმენები და მეწარმეები ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ამიტომ ასე ვთქვათ, ჩაწოლილი პროდუქცია მრავლად გამოუშვეს საქართველოში, თანაც მიზერულ ფასად. როგორც კი ეს პროდუქცია ამოიყიდება დაბალ ფასებში, აუცილებლად მოხდება ფასების ზრდა. ხსენებული ანტიკორუფციული სამსახურის მეშვეობით საქართველოში იმპორტირებული ყველა პროდუქტი ფასნამატით შემოვა. დაბალფასიანმა უკრაინულმა პროდუქტმა ადგილობრივი წარმოების პროდუქცია თითქმის განდევნა ჩვენი ბაზრიდან, ჩვენს მეწარმეებს უკვე შეექმნათ პრობლემები. მერე ფასები მატებას რომ დაიწყებს, გამოვა **რატიანი, ჯაფარიძე, მაჭავარიანი** ან რომელიმე სხვა ნაცი და იტყვის საქართველოს ეკონომიკა საფრთხეშიაო, რასაც მთავრობას დააბრალებს, არადა სინამდვილეში ხელოვნურადაა შექმნილი ეს სიტუაცია. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი სამთავრობო ეკონომიკური გუნდი მუშაობს ამ საკითხზე და რაიმე ბერკეტს შეიმუშავებენ. რაც შეეხება უკრაინის ბაზარს, ექსპორტთან დაკავშირებით მაინც და მაინც დიდ პრობლემას ვერ შეგვიქმნიან, რადგან რუსეთის ბაზარი უკვე გახსნილი გვაქვს, მიმდინარე წლიდან უფრო მეტი პროდუქციის ექსპორტი მოხდება რუსეთში.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

## შალვა ხაჭაპურიძე:

# სააკაშვილმა წარმატებით შეასრულა რუსების მორიგი დავალება და ფოთის პორტი „როსნეფტს“ მიჰყიდა...

## სააკაშვილს აქვს კიდევ ერთი დავალება შესასრულებელი - გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, სისხლისღვრა, ქვეყანა გაეხვეს ქაოსში

## „ნაციონალები“ 300 კაცით აპირებენ გაზაფხულზე ამ ყველაფრის დაწყებას

***ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „საერთო გაზეთთან“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს და სკანდალურ განცხადებებს აკეთებს.***

— დავიწყებ იმით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება ის დიმიტრი გელოვანი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის პოსტს დაიკავებს, რადგან 2015 წლის პოლიტიკაში და საერთოდაც, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დანიშვნა და არჩევა იქნება.

**— ვინ არის ის დიმიტრი გელოვანი, ვინც უნდა ჩაიბაროს ეს პოსტი, ბატონო შალვა?**

— რა თქმა უნდა, მე მყავს ჩემთვის წარმოდგენილი ის კანდიდატი, ვინც შეიძლება იყოს ეს ადამიანი, მაგრამ ამ ეტაპზე მისი გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ. რა თქმა უნდა, მე ასევე ვიცი იმ ადამიანების გვარები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის პოსტზე და ამ გვარების დასახელებისგანაც თავს შევიკავებ. ეს არის ერთგვარი ტესტი ხელისუფლებისთვის თუ როგორ შეძლებს კონსესუსის მიღწევას, რადგან თუ არ მოხდა კონსესუსის მიღწევა პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას შორის, მაშინ ეს პოსტი დიდ ხანს იქნება თავისუფალი და თუ დიდხანს იქნება თავისუფალი, ჩათვალეთ, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მოვალეობას კუბლაშვილის ერთ-ერთი მოადგილე შეასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ისევ ნაცმოძრაობის, ანუ პარტიული ნიშნის ქვეშ დარჩება, რაც კატასტროფაა და რისი დაშვებაც არ შეიძლება.

სათადარიგო სკამზე ბევრი კანდიდატი ზის, ერთი თუ ჩაიხსნება, მეორე კანდიდატიც იქაა და ა.შ. ამას ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს, მათ ჰყავთ შესაბამისი უწყებები, ვინც უნდა სწავლობდეს ამ საკითხებს.

**— არა მარტო ამ საკითხს, აგერ, იაკობაშვილის (უფრო სწორედ, ნიჟარაძის, რომელსაც კეზერაშვილმა უკანონოდ ჩამოართვა ქონება) კუთვნილი ტერმინალი ფოთის პორტში რუსულმა ნავთობკომპანია „როსნეფტმა“ იყიდა, ეს საკითხი არ უნდა შეესწავლა ხელისუფლებას, სტრატეგიულ ობიექტზეა საუბარი?!**

— 16-ში მე-5 პრიჩალთან დაკავშირებით იყო სასამართლო, ასევე ისევ ფოთის პორტიდან გამომდინარე იყო ორი დავა: პატივისა და ღირსების აყრისა, სადაც მე და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ ნიჟარაძეს კეზერაშვილი გვიჩივის. მილიონი უნდა, რომ გადავუხადო, კეზერაშვილს პატივი და ღირსება შევულახე თურმე. მოსამართლეს, ვინც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა ვუთხარი, თქვენი დროც მოვა-მეთქი და მან ცალკე მიჩივლა ეთიკის კომისიაში. მე ნაციონალებმა პირდაპირ შემომითვალეს, რომ თუ არ ჩამოვშორდებოდი ამ საქმეს ყველაფერს გააკეთებდნენ იმისთვის, რომ ხელი შემშლოდა საადვოკატო საქმიანობაში და ამაზე სერიოზულად მუშაობენ. ამ დღეებში ვაპირებ მივმართო პროკურატურას განცხადებით, რომ ჩემს საადვოკატო საქმიანობას ხელი ეშლება გარკვეული ჯგუფის მხრიდან და მოვითხოვო, რომ ჩატარდეს გამოძიება. აქ კეზერაშვილისა და სააკაშვილის გარდა ჩართულნი არიან მოსამართლეები და მთელი ჯგუფი იურისტებისა. არ მინდა გვარები წინასწარ დავასახელო, საკმაოდ სერიოზულ სურპრიზს ვუმზადებ. კატეგორიულად მოვითხოვ ამ ადამიანების მიმართ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. მოვუწოდებ, ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარეს, ბატონ ზაზა ხატიაშვილს ხმა ამოიღოს ამ უკანონო ქმედებებზე.



პირველად ვაკეთებ ოფიციალურ განცხადებას და მივმართავ პროკურატურას, რომ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა. იცით, მე, რომ ვყვიროდი ფოთის პორტს „როსნეფტი“ ყიდულობს- მეთქი კაციშ-სნა? და დღეს უნამუსოდ გამოდის ნაცმოძრაობა და აცხადებს, დავაყენებთ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხსო, ამათ ნამუსი აქვთ საერთოდ ?! ე.ი. რა დონის მუშაობა აქვთ, თავად გაყიდეს და აქეთ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ.

**— პირდაპირ გკითხავთ, რასთან გვაქვს საქმე ქართულ მხარესა და როსნეფტის ხელმძღვანელობას შორის არსებულ ფარულ გარიგებასთან? ხელისუფლების** კეზერაშვილი იქნებოდა, ხაჭაპურიძე თუ ნიჟარაძე, რადგან სტრატეგიული ობიექტია, ასე უნდა მოიქცე, ქუთაისში არსებულ ბენზინგასამართ სადგურს ხომ არ ვყიდით, არა ? და ვინ გახდება ამ ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონე ნაკლებად გვაღელვებს?! აქ საუბარია, შენს კარიბჭეზე, საიდანაც შემოგდის პროდუქტი, ნავთობი, ყველაფერი პრაქტიკულად, ამით ვცოცხლობთ და ეს უმნიშვნელოვანესია, ხომ?! ბათუმის პორტი კიდევ სხვების, ყაზახების ხელშია (ისინი გაყიდვას აპირებენ და ვერ ყიდიან). წარმოიდგინეთ, რუსეთს, რომ დაჭირდეს ხვალ დილით გადაგვიკეტავს ამას. ყაზახეთი ევრაზიულ კავშირშია, ფოთის პორტი როსნეფტის ხელშია და გადაგვიკეტავს ამ ორ პორტს და დარჩება სახელმწიფო მშიერ - მწყურვალე. რა აბრეშუმის გზაზე ონად ღირებული ქონება ათას ლარად მიყიდა თურმე კეზერაშვილს. თქვენ რა გგონიათ, რომ როსნეფტმა ფოთის პორტის ყიდვის საკითხი გუშინ გადაწყვიტა? იაკობაშვილმა „როსნეფტთან“ მოლაპარაკება ფოთის პორტთან დაკავშირებით ერთი წლის წინ დაიწყო. ჩვენთვის გახდა ეს ცნობილი და ოფიციალური წერილი მივწერეთ „როსნეფტს“. ვუთხარით, ამ ქონებაზე მიმდინარეობს დავა და თუ თქვენ შეიძენთ, იცოდეთ, რომ არაკეთილსინდისიერი შემძენი იქნებით-მეთქი.

***— აცხადებთ, გამოძიება დასრულებულიაო... ახლა გამოსავალი რა არის?***

— დიახ, ანუ მიიყვანონ ბოლომდე, საქმე, რომელიც პროკურატურაში დევს, დამთავრდეს, სასამართლომ მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილებები და დამთავრდა, დაიბრუნებს ნიჟარაძე ქონებას. ვიმეორებ, ამ პროცესებზე პულსზე

ვილი ხმას არ იღებდა და რომ იყიდა, მერე შეიქმნა რაღაც აჟიოტაჟი.

ვიმეორებ, პროკურატურა 2 წელია იძიებს და გამოძიებული აქვს უკვე ეს საქმე. დასკვნაში უდევს, რომ უკანონოდ წაართვა კეზერაშვილმა ნიჟარაძეს ეს ქონება. ნიჟარაძეს 2010 წელს პოლიციელები სახლში მიადგნენ, შიდა პატიმრობაში ჰყავდათ, შემდეგ დაყავდათ საფინანსო პოლიციაში კეზერაშვილის ბრძანებით, 10 ადამიანი დაუპატიმრეს, მოთხოვეს 10 მილიონი, მიატანინეს, შემდეგ გადააფორმებინეს მე-5 და მე-2 „პრიჩალი“, და ამაზე მიმდინარეობს დავები სასამართლოში. დავადეთ ყადაღა კეზერაშვილის ქონებას, რის შემდეგაც კეზერაშვილისგან იყო მუქარა. ნიჟარაძეს მანქანაც კი აუფეთქეს და ამაზეც დაწყებულია გამოძიებები, მაგრამ ჯერჯერობით, არაფერია გამოძიებული. ანუ დამთავრებული არ არის და კონკრეტული შედეგი ხელში არ გვიკავია. ამასობაში წავიდა კეზერაშვილი და მიყიდა იაკობაშვილს ეს ქონება, იაკობაშვილმა მიყიდა როსნეფტს და ვისია როსნეფტი? არკვიოს ახლა იმ კომისიამ. პროკურატურამ დაკითხა 4 კაცი და დამთავრდა ამით საქმე. ყადაღა დავადეთ სამოქალაქო წესით და სანამ როსნეფტი იყიდდა ამ ქონებას და გაჟღერდებოდა ეს, 2 წლის წინ დადებული ყადაღა ყიდვამდე 3 დღით ადრე საქალაქო სასამართლომ მოხსნა, ანუ მართვად პროცესებთან გვაქვს საქმე ხომ? რაღა, მაინცდამაინც, ახლა, „როსნეფტის“ ყიდვამდე სამი დღით ადრე მოხდა ყადაღის მოხ-

**გვერდის ავლით მოხდებოდა ეს, მაშინ მთლად უარესი?!**

— ხელისუფლების გვერდის ავლით მოხდებოდა, რადგან კერძო საკუთრებაა და სახელმწიფო ამაში ვერ ჩაერეოდა, მაგრამ იქ არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ფოთის პორტს მინიჭებული აქვს ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტის სტატუსი, ანუ იქ განხორ-




ციელებული ნებისმიერი ყიდვა-გაყიდვაზე სახელმწიფოს უნდა ეჭიროს ორი თვალი თუ არა, ცალი თვალი მაინც. და ეს რადგან არ მოხდა, მით უმეტეს, როცა ბერკეტი შენ გაქვს, საქმე აგერ გაქვს და ობიექტურ და დროულ გამოძიებას თუ ჩაატარებ გამოძიების შედეგი იმდენად ნათელია, რომ უბრალოდ სხვა შედეგს ვერ დადებ გარდა იმისა, რომ დაუბრუნებ ამ ქონებას მეპატრონეს. ამ მეპატრონესაც, რომ მოსდომებოდა შემდეგ ფოთის პორტის გაყიდვა, რადგან სტრატეგიული ობიექტია, იქაც კი შენ უნდა ჩარეულიყავი და გეკონტროლებინა ეს სიტუაცია. ძალიან მარტივია ეს, ახლა გამყიდველი გვაქვს საერთოდ ლაპარაკი. აბრეშუმის გზა კი არა, საჭმელ- სასმელი და მანქანა ველარ გაივლის ქუჩაში და კატასტროფასთან შეიძლება გვქონდეს საქმე.

**— რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ დამნაშავე კეზერაშვილს ხელი არავინ ახლო? რას ჰქვია იაკობაშვილს მიყიდა ნაძარცვი, მიტაცებული ქონება, ანდაც, იაკობაშვილმა არ იცოდა, რომ ნაქურდალი იყო?**

— იაკობაშვილი აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, რომ, როდესაც გავიცანი კეზერაშვილი მინისტრი არ იყო, არც საჯარო მოხელე იყო, დამისახელეს, როგორც პატიოსანი კაცი და ავდექი და ვიყიდე ეს ყველაფერიო. კეზერაშვილი იძახის, არაფერი წამირთმევია ნიჟარაძესთვის, საერთოდ არავითარი კავშირი არ მაქვსო, იაკობაშვილი კი იძახის, კეზერაშვილსიგან ვიყიდეო და ამას არკვევს სასამართლო ამდენი ხანია კეზერაშვილი იყო მართლა წამრთმევი, თუ კეზერაშვილს არ წაურთმევია და ნიჟარაძემ რამდენიმე ასეულ მილი-

ხელი გვეკავა, ჩვენ ვიცოდით ეს და როსნეფტის წარმომადგენლებს ერთი წლის განმავლობაში წერილებს ვწერდით. სხვათა შორის, იქ კალაძის გვარი არ ამოტივტივებულა და ეს ჩვენთვის სიმართლე გითხრათ, უცხო და გამაოგნებელი იყო, პასუხები არ გვაქვს. იქ კალაძე და ქართული მხარე არ ფიგურირებდა და ახლა თუ რაიმე ფარულად იყო არ ვიცი. ალბათ ეს კომისია ამის გასარკვევად შეიქმნა, თორემ კომისიამ რა დასკვნაც არ უნდა დადოს, ეს დასკვნა ვერანაირად ველარ იმოქმედებს იმ ყიდვა- გაყიდვის ხელშეკრულებაზე. აქ გამოძიებამ და სასამართლომ უნდა იმოქმედოს. კომისიამ შეიძლება გამოავლინოს თუ ვინმე იყო ქართული მხარედან ჩარეული და მერე მიმართოს პროკურატურას გამოიძიეთო, ან შეიძლება თქვას, უკანონოდ მოხდა ეს გაყიდვაო და რად უნდა ამას კაცო კომისია, აგერ არის, მივცემ დოკუმენტებს. რად უნდა ამას კომისიის შექმნა, ქონება წართმეული, რომ არის 2 წუთში დავუმტკიცებ. ხელისუფლების ბრალეულობა რა რის? სასამართლო ხელისუფლებამ პირდაპირი როლი ითამაშა საქმის გაჭინაურებაში და თავის უკანონო გადაწყვეტილებებით მიყიდა სტრატეგიული ობიექტი ამჟამად საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოს, პუტინის ჯიბის კომპანიას, როსნეფტი სახელმწიფო კომპანიაა ოფიციალურად. შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა, რომელ პარტიას ეკუთვნის ეძგერაძე

8 gv.

—„ღაღადისი უდაბნოსა შინა!“ — არავინ უწყის ვის წამოცდა პირველად ეს ღრმაშინაარსიანი ფრაზა, მაგრამ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე „ღრმაწყლიანი პორტის“ გარშემო შექმნილ სიტუაციას რომ ზედმიწევნით ერგება - წყალგაუვალია!

იმდენი ვწერე ამ თემაზე, რომ არ მეგონა თუ კიდევ რაიმე დამრჩა გასარკვევი და უთქმელი, მაგრამ, როგორც ვხედავ, კიდევ ბევრი რამ ყოფილა „გასასაჯაროებელი“, როგორც „ევრო-ამერიკული“ დემოკრატიის მოტრფიალეები იტყვიან ხოლმე!

ბოლო სამი წლის მანძილზე, მესამედ გამოჩნდა კომკავშირულ-კომუნისტურ აღზევებას ვერმოსწრებული, გიორგი თარგამაძესთან ერთად ქართველი ამომრჩევლისგან პოლიტიკურ სანაგვეში ადგილმიჩენილი გია ჭანტურია და ყოველ ჯერზე მაშინ გააქტიურდა, როცა არსებული ხელისუფლების სისუსტე იგრძნო!

საკითხავია, ნუთუ, ბ-ნ გია ჭანტურიას არაფერი სმენია „ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობაზე“?!.

—თუ გია ჭანტურიას არაფერი სმენია, საქართველოს მთავრობამ მაინც ხომ უნდა იცოდეს ამის შესახებ?

მკითხველს შევახსენებ, — საქართველოს მთავრობამ, გასულ წელს გამოაცხადა კონკურსი, — „შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიაში, ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა“-სთან დაკავშირებით და მსურველებს 15 ოქტომბრამდე დაუდგინა საბუთების შეტანის ვადა კონკურსში მონაწილეობისათვის!

—გაცხადდა რომ თორმეტმა კომპანიამ გამოთქვა სურვილი ანაკლიაში მეგა-პორტის, მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. წინა საახალწლო დღეებში გამოცხადდა, რომ პირველი შერჩევის შემდეგ, მონაწილეთა რაოდენობა შვიდამდე დავიდა და მათ შორის დარჩა „**ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM**“-ი, რომელმაც საერთაშორისო სტანდარტებით, საბანკო და საპროექტო დოკუმენტაციებით დასაბუთებული წინადადება წარმოადგინა, რომელიც მშენებლობას სამ ეტაპად და მისი დასრულების ვადას 5-6 წლით შემოფარგლავდა. ასევე, საკონკურსო წინადადებაში გამოთქვა წერილობითი სურვილი, რომ ჰიდრო ენერგეტიკული და სოფლის მეურნეობის პროექტების განვითარებასა და მშენებლობაში მიიღებდა მონაწილეობას.

ზემოთხსენებული „კონსორციუმის“-ის საკონკურსო წინადადების პრაქტიკული გაგრძელება აღმოჩნდა შპს „მტკვარის“ მიერ შემოთავაზებული, 2013 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული, — „მდინარე მტკვარზე, 330 მეგავატი სიმძლავრის, კასკადური ელსადგურების მშენებლობის პროექტის დაფინანსება და გასული წლის პირველ დეკემბერს ხელმოწერილი მემორანდუმი, რომელიც 620 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიციას ითვალისწინებს“.

—შესაძლოა ამის შესახებ არაფერი იცოდეს ბატონმა ჭანტურიამ და ამიტომ „აბოლებს“, მისი აზრით, „დიდი ფულის“ უნახავ (იმასაც ამბობენ ფულზე გაწუწკებულ) ქართველ ჩინოვნიკებს და კაცმა რომ თქვას სწორია ჭანტურიას გათვლები, მაგრამ ქართველი ჩინოვნიკები რატომ დუმან?

—მათ ხომ კარგად უწყიან ზემოთმოყოლილი საქმის შესახებ?

—რატომ არ ახსენა საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა გია ჭანტურიას ნათქვამის კომენტირებისას, რომ, — ანაკლია პორტის მშენებლობის დაფინანსების საკითხი გადაწყვეტილია, ჩვენ მხოლოდ უკეთესი ვარიანტის არჩევანის პრობლემა

# ვინ უვრცელებს საქართველოს მთავრობას ჭორს, რომ ის კვლავ სააკაშვილისეულ „ლაზიკა-პორტის“ პროექტს მიუბრუნდა და ანაკლიიდან სულ მალე მოსახლეობის გასახლება დაიწყება?

გვაქვს და სხვა პროექტები სახელმწიფო დონეზე არ განიხილებაო?!.

—მკითხველს ვთხოვ ცუდად არ გამიგოს, მე კალამი არ გამქცევია, როცა ვაცხადებ, — „ანაკლია პორტის მშენებლობის დაფინანსების საკითხი გადაწყვეტილია“!

ეს სწორედ რომ ასეა, საქართველოს მთავრობა არჩევანის წინაშე დგას, სხვა შემთხვევაში „**ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM**“-ის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას ალტერნატივა არ ეყოლებოდა და ეს საკითხი მაისამდე არ გადაიდებოდა!

ამიტომ ვთქვი სტატიის დასაწყისში, — როგორც ვხედავ, კიდევ ბევრი რამ ყოფილა „გასასაჯაროებელი“!

დღეს, 17 იანვარს, დილაუთენია დამირეკეს ანაკლიიდან. ჩემთვის უცნობი მამაკაცი, გულდაწყვეტილი მიყვებოდა ანაკლიის გასახლების პროექტის შესახებ, რომელიც ამ დღეებში გავრცელდა სამეგრელოს რეგიონში. სანამ ვკითხავდი, — ბოდიშს გიხდით, იქნება მითხრათ ვის ველაპარაკები -მეთქი! ვრცელი მონოლოგის მოსმენამ მომიწია, რომელიც ასე დამთავრდა:

„—ენგურს გაღმა შავი ზღვისპირეთი ხომ შევარდნაძე დამაქცევარმა გააუკაცრიელა ქართველთაგან!.. ენგურსგამოღმა ნაწილს დღევანდელი მთავრობა რომ მიადგა და ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის გასახლებას აპირებს, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა, სააკაშვილის „ლაზიკა პორტის“ პროექტისადმი მიბრუნებას?!.“

საგონებელში ჩამაგდო აღელვებულ უცნობთან საუბარმა. დიდხანს არც ეს გაგრძელდა, ჩემი გვერდითა მეზობელი ანაკლიიდან, შაქრო ცხადაია შემომეხმიანა და შობა-ახალი წლის მილოცვის შემდეგ, თითქმის იგივე მომიყვა, — „პირველად, 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების დამთავრებიდან რამდენიმე კვირაში გამოჩნდნენ ანაკლიაში, თბილისიდან ჩამოსული მიწის ამზომველები და გამოგვიცხადეს, „ლაზიკა პორტის“ პროექტი გრძელდება და თქვენი მიწები სახელმწიფოს სჭირდებაო. სააკაშვილის დროს, უბოდიშოდ წართმევას მიჩვეული მოსახლეობა, სახლმწიფოს თხოვნას როგორ შეეწინააღმდეგებოდა. ბევრს უმწეო და გამოუვალი მდგომარეობის გამო, ისედაც ჰქონდა გადაწყვეტილი სახლ-კარის გაყიდვა, მაგრამ, მაშინ, მალევე გაცხადდა ნაცების მორიგი ავანტიურა. ორი წლის შემდეგ, გასული წლის მიწურულს იგივე განმეორდა, ოღონდ ჯერ არავინ ჩამოსულა თბილისიდან მიწების ასაზომად, იქნებ შენ იცოდე, ან ბატონი თეიმურაზ ქარჩავასგან შევიტყოთ რა ხდებაო!..“

მკითხველს უნდა შევახსენო, — 2012 წლის მიწურულის ნაცების მიერ გავრცელებულ ავანტიურას, ანაკლიაში „ლაზიკა პორტის“ მშენებლობის განახლების შესახებ, საგაზეთო წერილი მივუძღვენი სათაურით „სააკაშვილის აჩრდილი ანაკლიას არ ტოვებს!“ და პირველად გავასაჯაროვე, ხალხში მოარული ხმები, ანაკლიაში აშშ-ს სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობის შესახებ. რასაც მიშა სააკაშვილის მძაფრი რეაქცია მოჰყვა იმავე საღამოს „რუსთვი 2“-ზე.

ორი წლის შემდეგ, იგივე მეორდება ანაკლიაში, ერთი, თითქოს და უმნიშვნელო განსხვავებით:

ვრცელდება ხმები, რომ, — „საქართველოს მთავრობამ წინადადება მისცა „ანაკლია პორტის“ მშენებლობის კონკურსში მონაწილე 12 კომპანიიდან შერჩეულ შვიდ საუკეთესოს, პორტის მშენებლობა 7 ეტაპად დაიყოს და 37 წლის განმავლობაში აშენდეს ღრმაწყლიანი პორტი, რომლის საბოლოო ტვირთბრუნვა (37 წლის შემდეგ?!.) 100 მილიონ ტონას მიაღწევს“. იმასაც ამბობენ, რომ, — „წინადადებას ნახაზიც ახლავს, რომელიც ზუსტად ემთხვევა „ლაზიკა პორტის“ განთავსების ადგილს!“

—გასაოცარია პირდაპირ, რას არ გაიგონებს ადამიანი!

თუმცა, სანამ დეტალებში განვიხილავდეთ ამ საკითხს, მკითხველი რომ დავამშვიდოთ და საკმაოდ ვრცელი სტატიის ბოლომდე არ ვანერვიულოთ რა ხდება სინამდვილეში, მოკლედ ვუპასუხებ:

**—ძალიან მარტივი რამ ხდება დღეს ანაკლიაში, მთავრობის ოპოზიციაში მყოფი, დესტაბილიზაციის ძალები ავრცელებენ ხმებს, რომ, — „საქართველოს მთავრობა „ლაზიკა პორტის“ პროექტს მიუბრუნდა, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია და ანაკლიის, „კუ-რორტის“ მხარის მოსახლეობა უნდა გაასახლონ!..“**

ბუნებრივია, ასეთი მოლოდინის შემთხვევაში, მიწის ფასი კატასტროფულად იწევს, გასასახლებელი მოსახლეობის ვირტუალურ წარმოდგენაში, რასაც თანხმობა და უსასრულო მოლოდინი მოჰყვება მათი მხრიდან, გაყიდონ სახლ-კარი, მამა-პაპისეული მიწა-წყალი!..

როგორც ზემოთ ვახსენე, პორტის მშენებლობის კონკურსში გამარჯვებული უკეთეს შემთხვევაში მაისში გაცხადდება, გამარჯვებულს მოსამზადებლად დრო მიეცემა და ამასობაში ეს პროცესი იქამდე გაიწელება, ვიდრე ახალი საარჩევნო კომპანია დაიწყებოდეს და პიკს მიაღწევდეს!

სწორედ ამ მომენტში გაცხადდება მილიონების მომლოდინე მოსახლეობისათვის, რომ, — მათი მიწები არავის სჭირდება და ამ მორიგი ბლეფის აგორება და უმწეო მოსახლეობის, კიდევ ერთხელ გასულელება, ქვეყნის მმართველ მთავრობას დაბრალდება!

—სამწუხაროა, რომ ყველაფერი ეს მარტო ჭორიკნების და ქვეყნისთვის ავისმოსურნეთა ბრალი არ გახლავთ, სამთავრობო სტრუქტურებსაც მიუძღვით წვლილი ამ საქმეში.

მკითხველი რომ არ დავაბნიო, უნდა შევახსენო, რომ წელიწადი გახდება თებერვალში, რაც „საერთო გაზეთი“ ამ თემაზე წერილებს აქვეყნებს. ყველა, არსებული და შესაძლო პროექტი განვიხილეთ, ამ ხნის მანძილზე, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან დიალოგში. სათითაოდ და დაწვრილებით იქნა განხილული პორტის ასაშენებელი ადგილები და საბოლოოდ ეს კვლევა-ძიება დამთავრდა იმითი, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებოდ დაქირავებული, „ზღვის ნაპირის კვლევის“ იაპონელი სპეციალისტების დასკვნა ზუსტად დაემთხვა „ანაკლია პორტის“ პროექტზე მომუშავე ქართველი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ და მსოფლიოში ცნობილი „**Ernst & Young**“-ის ექსპერტთა მიერ გაკეთებულ დასკვნებს და ცნობილია „ერაგია-ქარჩავას საპროექტო მოსაზრების“ სახელით.

იაპონელების მიერ შესრულებული სამუშაო 5 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა სახელმწიფოს. იაპონელების და ქართველ სპეციალისტთა დასკვნების თანხვედრა იმითიც არის განსაკუთრებული, რომ პორტის ასაშენებელი ადგილი საერთოდ არ ეხება დასახლებულ პუნქტებს და იგი ზღვის ნაპირის მაქსიმალურად მცირე ნაწილს იკავებს.

ამ საპროექტო მოსაზრებასთან შედარებით ე.წ. „ლაზიკა პორტი“ ანაკლიის, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი დასახლების აყრას მოითხოვს და ინვესტორსაც უძვირებს პროექტის ღირებულებას.

ზემოთ, ანაკლიის გარშემო მიმდინარე პროცესებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამოვთქვი ჩემი მოსაზრება. მაგრამ, საქართველოში, ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ეჭვებს მიჩენს, — იქნება მართლა მთავრობის მოსაზრებაა ე.წ. „ლაზიკა პორტის“ ე.წ. პროექტისკენ მიბრუნება?

პირდაპირ უნდა განვაცხადო, მოსახლეობაში გავრცელებული ხმები „ლაზიკა პორტისკენ“ მიბრუნების შესახებ და მისი ესკიზის არსებობა, რომელიც ზუსტად ემთხვევა სააკაშვილისეული პორტის განთავსების ადგილს, მთლად მოგონილი არ მგონია. ამიტომ, როგორც, წლების განმავლობაში ამ თემაზე მომუშავე ჟურნალისტი და ანაკლიელი, მოვალედ მივიჩნევ თავს არაფერი დამალული და შეფარული არ უნდა დარჩეს, რადგან დღეს დაშვებული შეცდომა არასოდეს გამოსწორდება!

„ენგურის შესართავთან, წყალღრმა, მარცხენა ნაპირს „ბოღაზს“ ეძახიან, რაც ნავსადგურს ნიშნავს თურქულად. ბუნებრივია, იგი, თურქების მიერ 1703 წელს ციხე-სიმაგრის აშენების დროიდან დაერქვა ამ ადგილს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თურქებს მივაწეროთ ნავსადგურის დაარსება. დაინტერესებული პირი, ანაკლიის და მისი მიმდებარე სოფლების (ერგეტა, ორულუ, დარჩელი) არქეოლოგიური გათხრების მასალებს თუ მოიძიებს, სამიათას წელს გვარიანად გაცდება იქ აღმოჩენილი ნამოსახლარების ისტორია, რაც შავი ზღვის აუზის ამ ნაწილში ბერძნების გამოჩენამდე მაღალი დონის ცივილიზაციის არსებობას ადასტურებს. არაფერს ვამბობ „არგონავტებზე“, გადმოცემით, „ცეცხლისმფრქვეველი რკინის ხარები“ რომ დახვდათ, ლეგენდარული მეფე „აიეტი“-ს მინდვრებს რომ ხნავდნენ!

მოგვიანებით, ვერც ახალი, ბერძნული ცივილიზაცია და შავი ზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფოები — ფაზისი, დიოსკურია, პიტიუნტი, პანტიკაპეი აუვლიდა გვერდს ანაკლიას... ეს საკითხიც დროებით ამითი დავამთავროთ!“

ეს შედარება იმისთვის მოვიყვანე, რომ, თუ მართლა ეღირსა ანაკლიაში პორტს აშენება, დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ, — უძველესი კოლხეთის ტერიტორიაზე 4000 ჰექტარზე მეტი ფართობის გადათხრისას ისეთი არქეოლოგიური მასალები აღმოჩნდეს, მსოფლიოს ისტორია შეაზანზაროს და მეგაპორტი

8 gv.



# სააკაშვილმა წარმატებით შეასრულა რუსების მორიგი დავალება და ფოთის პორტი „როსნეფტს“ მიჰყიდა...

6 gv.

ბარნაბაო, მახსენდება, ეს ცნობილი სიმღერა, იმიტომ, რომ დაიღალა ხალხი, დილით გაიღვიძებდა კომუნისტები იყვნენ, საღამოს მენშევიკები, მერე მიუძღვნეს ასეთი სიმღერა. ახლა კომისიამ უნდა გაარკვიოს შემოვიდნენ წითლები და ვინც ეს გაასხვისა რომელ პარტიას ეკუთვნის ეს ეძგვერაძე ბარნაბა. იუმორით ვამბობ ახლა ამას, ვიმეორებ, 2 წუთი მჭირდება, მოგიტანთ დოკუმენტებს და გამოიძიეთ. და გამოძიებულია, რაც ყველაზე საინტერესოა, რად უნდა ამას ამდენი ამბავი, რა კომისია, რის კომისია, ნუ გადამრიეთ. საქმე გამოძიებულია. მერე რატომ ხდება ასე? დაბოლოება თქვენთვის მომინდვია.

**— რა მოყვება ფოთის პორტის როსნეფტის ხელში გადასვლას? შემთხვევით ანაკლიის პროექტის დაბლოკვაც ხომ არა, ხედავთ თუ არა ამ საფრთხეს?**

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ანაკლიის პორტის აშენებით დაინტერესებულნი არიან ამერიკელები. და რატომ არიან ამით დაინტერესებულნი? ანაკლის ლანდშაფტი იძლევა იმის შესაძლებლობებს, რომ თუ აშენდება კარგი თანამედროვე პორტი, შეყვანილი იქნეს სამხედრო წყალქვეშა ნავები. გარადა ამისა, ანაკლიის პორტი იმდენად სერიოზული პროექტია (ის პროექტი მე, რაც მაქვს ნანახი), რომ შეიძლება სამტრედიიდან დაიწყოს. წარმოიდგინეთ, სამტრედიიდან - ზუგდიდამდე რამდენ კილომეტრზე არის საუბარი, ანუ ამან შეიძლება მოიცვას, ფაქტობრივად, ნახევარი დასავლეთ საქართველო. აი, ამხელა პროექტზეა საუბარი. ფაქტობრივად, ახალი დასახლება, ქალაქი ჩნდება და ახლა ლაზიკას დაარქმევ, თუ შალახოს, ეს მედლის მეორე მხარეა. ფოთის პორტი თუ „როსნეფტმა“ შეიძინა, რა თქმა უნდა, ყველანაირად ხელს შეუშლის იმას, რომ ამერიკელების პროექტი განხორციელდეს ანაკლიაში. რუსეთი შეეცდება ეს არ დაუშვას. ძაღლის თავი სწორედ ამაშია დამარხული. როსნეფტისთვის ფოთის პორტი დიდი ბიზნესი არ არის, როსნეფტს უზარმაზარი ბიზნესი აქვს მსოფლიოში, ერთ - ერთი უზარმაზარი კომპანიაა, ფოთის პორტი მისთვის არის სემიჩკა, საერთოდ გააჩერებს. ეს მისთვის სერიოზული წაგება არ იქნება, ერთადერთი სომხეთის მიმართულებით ამუშავებს, სომხეთი მისი მოკავშირეა, დანარჩენს გაგიჩერებს. იტყვის, რა ვქნა ბატონო, ფასები არ მაწყობს. ფოთის პორტის გაჩერება, ანაკლია ხომ მოკვდა და მოკვდა, აი, ეს არის. არადა, ანაკლიას ორი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური. ანაკლიის შემთხვევაში საქართველო ხდება უზარმაზარი მნიშვნელობის მსოფლიო რუკაზე. გააჩერებს ფოთის პორტს და გაგაჩერა მთლიანად. აქ შიმშილით ამოწყდება ხალხი. რუსეთმა ფოთის პორტი შეიძინა იმისთვის, რომ პოლიტიკური ბერკეტები გააჩნდეს და ჩაიგდო კიდეც ხელში ეს ბერკეტები. შიმშილით ამოწყვიტავს ქვეყანას, მერე დაგაჭერს ხელს და გეტყვის, შემოდი ევრაზიულ კავშირშიო. პირდაპირ გეტყვით, რაც არაერთხელ მითქვამს, სააკაშვილი არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი საქართველოში. ფაქტია, შევარდნაძემ, რაც არ უნდა ლანძღო ყველაფერი გააკეთა იმისითვის, რომ დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორია სამართლებრივად ვერ ჩაესვა პუტინს ჯიბეში. სააკაშვილმა კი ყველაფერი გააკეთა ამისთვის. სააკაშვილმა ეს გააკეთა, მაგრამ სააკაშვილს კიდევ აქვს დავალება შესასრულებელი. მეორე დავალება იყო ფოთის პორტის რუსების ხელში ჩაგდება. კეზერაშვილმა მიყიდა იაკობაშვილს, იაკობაშვილმა „როსნეფტს“, ვის ხელშია? რუსების! სააკაშვილმა ეს დავალებაც შეასულა და **სააკაშვილს აქვს კიდევ ერთი დავალება შესასრულებელი - გამოიწვიოს დესტაბილიზაცია, სისხლისღვრა, ქვეყანა გაეხვეს ქაოსში,** რის შემდეგაც გამოვარდება ქართველი ხალხი და ბოლო-ბოლო იყვირებს, აღარ გვინდა ამ ევროპისკენ და ამერიკისკენ, 25 წელია მივდივართ და ვართ ამ სისხლისღვრაში, ჯანდაბას ვიყოთ ისევ რუსეთთან, უბედური ცხოვრება გვექნება, დემოკრატია არ იქნება, მაგრამ ოჯახში საჭმელს მაინც შევიტანთო. აი, ეს დავალება აქვს სააკაშვილს კიდევ შესასრულებელი, რის შემდეგაც სააკაშვილს რუსეთის ხელისუფლება მოიშორებს, ფიზიკურად მოიშორებს, მის ლიკვიდაციას მოახდენს, იმიტომ, რომ ის არის აგენტი, რომელმაც ამოწურა თავის როლი და ფუნქცია. მას ბევრი ინფორმაცია აქვს, საჭიროც აღარ არის. სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანას. ჩააბარა ტერიტორიები, ფოთის პორტიც, ახლა ეს დარჩა.

სააკაშვილს კონკრეტული დავალება აქვს, რომ აქ სისხლი დაიღვაროს, ქვეყანა გაეხვიოს ქაოსში. სერიოზული მუშაობა მიდის ახლა, სერიოზული სქემა დევს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მათთვის სასურველი პიროვნების გაყვანაზეც. იმდენად რთული სქემა დევს, რომ თუ ხელისუფლება ჭკვიანად არ მოიქცა ისე შეუცურებენ ნაც აგენტს ვერც გაიგებენ. იმდენად დახვეწილი მეთოდებით მუშაობენ, სათადარიგო სკამიც საკმაოდ დიდი აქვთ. ერთს დაიწუნებენ, მეორე არასამთავრობო გააკეთებს, მესამე და ა.შ. და ამ ვითომ არასამთავრობოთა და დემოკრატიული ნიღბით ამზადებენ ვერაგულ გეგმას. თუ სასამართლო მათ ხელში აღმოჩნდა ჩათვალეთ, რომ ხელისუფლების ერთი შტო მათთან არის. პირდაპირ გეტყვით, **„ნაციონალები“ 300 კაცით აპირებენ გაზაფხულზე ამ ყველაფრის დაწყებას.** დაიწყებენ აქციებს, მათი მიზანია გამოვარდეს ხელისუფლება და დაარბიოს ისინი. წავა მოლოტოვის კოქტეილების გასროლა პოლიციის მიმართულებით, არ არის გამორიცხული თავისიანი მოკლან, ანდაც ცნობილი ჟურნალისტი მოკლან, აღშფოთებული ევროპა მოუწოდებს ჩაატარეთ არჩევნებიო და აქ უკვე მივადექით იმ სცენარს, რაც სააკაშვილს კარგად აქვს აპრობირებული, 2003 წლის ვარდების რევოლუცია, ანუ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მიიღებენ 20 %-ს, იყვირებენ, რომ არჩევნები გაყალბდა, გადადექი, გადადექი და ამასობაში სჭირდებათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც ხელს მოუწერს, რომ ჩატარდეს ხელახალი არჩევნები, საიდანაც დავიწყე იქ მივედით. აი, ეს სქემაა.



**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

7 gv.

„ანაკლია“ დაჩრდილოს, მისი ღირსებითა და მნიშვნელობით!

ეს მონაკვეთი, მცირე, ლირიკულ გადახვევად ჩავთვალოთ და ერთად ვიზრუნოთ, რომ იგი ტრაგედიაში არ გადაიზარდოს!

მიუხედავად არაერთგზის გამოქვეყნებისა, საჭიროდ ჩავთვალე კიდევ ერთხელ შევახსენო მკითხველს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან არსებობს ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის აშენების იდეა.

ერთეთი მათგანი ღვაწლმოსილ ქართველ მკვლევარსა და მეცნიერს, აწგანსვენებულ არჩილ კიკნაძეს ეკუთვნის.

სამწუხაროდ, კიკნაისეული „ახალი, ღრმაწყლიანი, ნავსადგურის განთავსების კონცეფცია“ უარყოფილ იქნა მრავალ მიზეზთა გამო, მათ შორის მხოლოდ ორს გამოვყოფთ:

1. ამ კონცეფციის განხორციელება, პორტის განთავსების (ენგურის შესართავთან) ადგილის გამო მინიმუმ ორ უძველეს დასახლებას, — ანაკლიას და განმუხურს შეიწირავდა.

2. დღევანდელი საქართველოს საზღვრების პირობებში კი იგი საერთოდ ვერ განხორციელდება, რადგან, პორტის ნახევარი, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩნდება.

—თუმცა, შევარდნაძის ხელისუფლება, ყოველი მოახლოებული არჩევნების წინ, ამ „კონცეფციას“ დიდი წარმატებით იყენებდა, სამეგრელოს მოსახლეობის „დასაბოლებლად“ რომელსაც, როგორც ზემოთ ვახსენე, — არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან!

ე.წ. „ლაზიკა პორტზე“ საუბრით მკითხველს დროს არ დავაკარგვინებ, რადგანაც ამის შესახებ რამდენჯერმე დაიწერა, რომ იგი უსახური გუბურა უფრო იყო, ვიდრე რაიმე ეკონომიკურ გათვლებზე დაფუძნებული საერთაშორისო მასშტაბის პროექტი, რომელიც ისევე, როგორც ზემოთნახსენები პროექტი, ანაკლიის მოსახლეობის აყრას ითხოვდა! უფრო მეტიც, 2012 წლის არჩევნებში გარანტირებული გამარჯვების მომლოდინე მიშა-შეურაცხადი, როგორც ამბობენ, ამერიკელებს სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობას სთავაზობდა ანაკლიაში!

—თავიდან აქ დავაპირე წერტილის დასმა, მაგრამ მალევე მივხვდი, კიდევ ბევრი იყო სათქმელი. რადგანაც დღემდე შემუშავებულ კონცეფციებს საკმაოდ კარგად ვიცნობ, გადავწყვიტე მკითხველისთვის ცხადი გავხადო ის, თუ რატომ და რითი არის განსხვავებული „**ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM**“-ის „ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის კონცეფცია“, აქამდე არსებული კონცეფციებისგან (იგულისხმება „კიკნაძის“ და „ლაზიკა პორტი“. ვერაფერს ვიტყვი, კონკურსის სხვა მონაწილეთა კონცეფციებზე, რადგან მე მათ არ ვიცნობ!).

საგაზეთო სტატიაში, მათი დეტალურად ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ბ-ნი სპარტაკ ერაგია, დაჩქარებული ტემპით, მასზე საუბრისას ორ საათზე მეტ ხანს უნდება, მსმენელი აუდიტორია საქმის არსში რომ გააცნობიეროს. მე შევეცდები, ჟურნალისტის დონეზე, მოკლედ ჩამოვაყალიბო ზემოთხსენებული კონსორციუმის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის უმნიშვნელოვანესი მომენტები:

1. მაშინ, როდესაც საქართველოს შავი ზღვისპირეთის თითქმის ნახევარი ოკუპირებულია და მისი დაბრუნების იმედი შორეულ პერსპექტივაშიც არ ჩანს, დიდად მნიშვნელოვანია, — რა მანძილს დაიკავებს იგი ზღვის სანაპირო ზოლში?

—აღნიშნული პროექტი, ზღვის სანაპირო ზოლის, მხოლოდ 800 მეტრს იკავებს!

2. რამდენად შეავიწროებს იგი ადგილობრივ, აბორიგენ მოსახლეობას (რომელიც, პრეისტორიული კოლხეთის პირდაპირ შთამომავლს წარმოადგენს, მცირე დასახლებად რომ შემორჩენია ენგურის ორივე ნაპირს, ასევე მრავალი წეს-ჩვეულებითა და ენობრივი განსხვავებულობით) და მოუწევთ თუ არა მათ გადასახლება?

—მიუხედავად, იმისა, რომ, აქამდე არსებულ კონცეფციებთან შედარებით, იგი, წარმოუდგენლად დიდია, — საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიებს!

3. ხომ არ დააზიანებს იგი კოლხეთის ეროვნულ პარკს?

—კონცეფციაში დეტალურადაა შესწავლილი, „ანაკლია პორტი“-ს მიმდებარე უნიკალური ეროვნული პარკი და მოსალოდნელი სამუშაოები მისი დღემდე მოღწეული სახის შესანარჩუნებლად. დაწყებულია კონსულტაციები გერმანიის ეკოლოგიის სამინისტროს კომპეტენტურ წარმომადგენლებთან!

4. როგორც ცნობილია, ანაკლიაში მშენებარე „სატვირთო სატრანსპორტო კვანძი“

## ვინ უვრცელებს საქართველოს მთავრობას ჭორს, რომ ის კვლავ სააკაშვილისეულ „ლაზიკა-პორტის“ პროექტს მიბრუნდა და ანაკლიიდან სულ მალე მოსახლეობის გასახლება დაიწყება?



2750 ჰექტარ ტერიტორიას დაიკავებს, ამას ემატება სპეციალური ეკონომიკური ზონა 1250 ჰექტარი ჯამში დაახლოებით 4000ჰა. ეს, ის პრეისტორიული ტერიტორიაა, რომლის მეათედიც არ არის დღეისათვის არქეოლოგიურად შესწავლილი?

—შემუშავებულია მოსაზრება მძლავრი, მობილური, არქეოლოგიური სამსახურის შესაქმნელად, რომელიც მაქსიმალურად გამოიყენებს შესაძლებლობას, ერთდროულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს უზარმაზარი ტერიტორია, რომელსაც ამ მხრივაც არ ექნება ანალოგი!

5. რამდენ სატრანსპორტო საშუალებას აერთიანებს აღნიშნული კონცეფცია „ანაკლია პორტი“-ს გარშემო?

—აღნიშნული კონცეფცია გააერთიანებს მსოფლიოში ცნობილ, ყველა ხუთ სატრანსპორტო საშუალებას, —საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო, სამანქანო, მილსადენებს!

ასევე გათვალისწინებულია ანაკლია პორტთან გემთსარემონტო და სამშენებლი ქარხნის მშენებლობა და საზღვაო აკადემიის დაარსება!

კონცეფცია ითვალისწინებს ენერგეტიკულ, სასოფლო-სამეურნეო პროექტებში აქტიურ მონაწილეობას. საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურების განვირარებას „ანაკლია პორტის პროექტი“-ს ზემოთხსენებულ, — ევრაზიის ტრასაზე განლაგებული ქვეყნების ჩართვით.

ეს გახლავთ, მხოლოდ, ჟურნალისტის თვალით დანახული, მცირე ამონარიდი, იმ მრავალი უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობებისა, რომელსაც „**ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM**“-ის მიერ გაკეთებული განაცხადი სთავაზობს.

დანარჩენი კი მკითხველისთვის მიმინდვია გაარკვიოს, თუ რა აუცილებლობით არის განპირობებული ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის გასახლება და რა ქვენა მიზნებს ემსახურება იგი?

იგივე შეკითხვით საქართველოს მთავრობასაც მივმართავ!

**დავით ქობალია**
5 93 510 171

M K

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№1, იანვარი, 2015 წ.

## დავით მაღრაძე: საქართველოს ისეთივე მნიშვნელობის რეფორმა სჭირდება, როგორც იოანე პეტრიწმა ჩაატარა გელათის აკადემიაში



**„საერთო გაზეთის“ რედაქციას პოეტი დათო მაღრაძე დაუკავშირდა. მან ჩვენთან საუბარი ასე დაიწყო:**

— ტრადიცია დავარღვიე და ინტერვიუსთვის თავად დაგიკავშირდით. ადრე, ამ კუთხით, არასდროს მიაქტიური, თქვენს შემოთავაზებას კი ყოველთვის სიამოვნებით ვთანხმდებოდი. ახლაც, ბუნებრივად, თქვენ გამახსენდით და ყოველთვის მახსოვხართ. საქმე ისაა, რომ ბოლო დროს ბეჭდური პრესისთვის მიცემულ ჩემს ინტერვიუებში აზრებს მიმახინჯებენ, შემოკლებული ვარიანტი იმ სულისკვეთებას არ გამოხატავს, რითაც გამსჭვალული ვარ. ამიტომ, გთხოვეთ, ჩემი ნაფიქრის, ნააზრევის სრულად გამოხატვის საშუალება მოგეცათ, რადგან ვიცი, რომ „საერთო გაზეთი“ სრულად და დაუმახინჯებლად ასახავს ჩემს ნააზრევს. მინდა, მკითხველის წინაშე, ჩემი ფიქრით, განცდით წარვსდგე და ვიცი, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან სათქმელი სრულფასოვნად იქნება გადმოცემული. აქვე, გეტყვით, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებმა, მედია-სივრცე ხელისუფლებისაგან გავათავისუფლეთ. ამაში საზოგადოებაც და ხელისუფლებაც ერთსულოვანი იყო. მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია მედია-სივრცე მეპატრონის კერძო ინტერესებისაგან გავათავისუფლოთ? მედია სახელისუფლებო წნეხის ქვეშ აღარაა, ეს უმთავრესია. ბოლო ათწლეულებში საქართველოში პირველად ხდება, რომ ხელისუფლებას საკუთარი ტელევიზია არ აქვს, რაც საზოგადოებისა და ხელისუფლების დამსახურებად მიმაჩნია.

**— მედია სახელისუფლებო წნეხისგან გათავისუფლდა, თუმცა „ნაციონალების“ წნეხისგან ვერა.**

— ტელევიზიებში თუ კრიმინალს აქვს ადგილი, ეს გამოძიების საქმეა. ხელისუფლება დღეს მათ საქმიანობაში აღარ ერევა, რაც სწორი გზაა. „ქართული ოცნების“ მმართველობის შედეგად სახელისუფლებო რეჟიმისგან დიდი გათავისუფლება მოხდა. კერძოდ, წნეხისგან გათავისუფლდა მედია, ბიზნესი, სასამართლო, პოლიცია, ციხეები — ჯალათებისგან, უმაღლესი სასწავლებლები — ხელისუფლებისაგან დაფინანსებული სტუდენტური თვითმმართველობებისგან, რომელნიც სტუდენტურ მოძრაობას მართავდნენ და საუნივერსიტეტო ცხოვრებას კონტროლს უწევდნენ. საქართველო ორმაგი — გარე და შიდა ოკუპაციის ფონზე ცხოვრობდა. გარე ოკუპაციას, რუსეთი, დღემდე ახორციელებს, შიდა — „ნაცმოძრაობის“ ოკუპაციისგან კი საქართველო ნამდვილად გათავისუფლდა. ხშირად გვესმის, დავიბრუნოთ აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი. უპირველესად, ჩვენი სახე უნდა დავიბრუნოთ. დიდი გათავისუფლების გზაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ მოქალაქე ხელისუფლების წნეხისგან თავისუფალია. 9 წლიანი რეჟიმის კურსი რუსეთთან ომის ფონზე მიმდინარე სინგაპურიზაცია იყო. ამის საპირწონედ, ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა ევროინტეგრაცია, რუსეთთან ომის გარეშე. ამ გზაზე სერიოზული ნაბიჯი იყო ევროასოცირების ხელშეკრულება, რაც ჩრდილოელ მეზობელთან საომარი მოქმედებების გარეშე განხორციელდა, ეს უმნიშვნელოვანესია. ანუ, გვქონდა სინგაპურიზაცია რუსეთთან ომის ფონზე და ახლა გვაქვს ევროინტეგრაცია, რუსეთთან ომის გარეშე. აქვე, სხვა პოზიტივებსაც მინდა შევეხო — მნიშვნელოვანი მიღწევაა სადაზღვევო სისტემა, დღეს ადამიანს ავად გახდომის აღარ ეშინია. მისასალმებელია ც ჰეპატიტის წინააღმდეგ მიმართული აქცია. ბატონი სერგეენკო სულ ორჯერ მყავს ნანახი, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგი სახელმწიფო ჯილდოზე უნდა წარედგინათ. სახელმწიფომ უნდა დაინახოს დამარცხებაც და გამარჯვებაც. მხოლოდ შეცდომებზე მითითება როდია სახელმწიფოს მრწამსი და თვისება, მან გამარჯვებებიც უნდა დაინახოს. ასევე, მნიშვნელოვანი პოზიტივია ის, რომ პროკურატურაში უსამართლოდ ჩამორთმეული ქონებების დასაბრუნებლად დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც ინტენსიურად მუშაობს.

**— ბათონო დავით, ბოლოსდაბოლოს, გაჩნდა თუ არა ამ ქვეყანაში თავისუფალი მოქალაქე, თუ კვლავ პოვინციალიზმის ჭაობში ვართ? თქვენ აღნიშნეთ, რომ თავისუფალი მოქალაქე გაჩნდა, რას გულისხმობთ?**

— საქართველოში ყველაზე მეტად გოიმობის ეშინიათ. განსაკუთრებული სიმძაფრით, გოიმობის ზუსტად იმ ნაწილს ეშინი, ვისაც ეს რეალურად ემუქრება. იგი ცდილობს ფასადის შექმნას, თითქოს მას ეს არ ემუქრება. პრობლემა ისაა, რომ ეს პროვინციიდან გაღწევის პროვინციული მცდელობებია, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. გეტყვით რას ვგულისხმობ. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ გაიმართა აქცია, რის გამოც ადამიანები თავზე ყინულებიან წყალს ისხამდნენ და ფულსაც რიცხავდნენ. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ პროცენტულად ყველაზე მეტი წყალი თავზე ქართველებმა დაისხეს. ეჭვი მაქვს, რომ ყველაზე ნაკლები თანხაც აქედან გადაირიცხა. აი, ამას ვგულისხმობ. მასიური წუწაობის ფონზე თანხა მცირედად გამოიყურებოდა. **ახლა, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმდინარეობს აქცია — მე ვარ შარლი. საქართველოშიც არიან ადამიანები, ვინც გულწრფელად თვლის რომ შარლია.** საერთოდ, ყველა ნორმალური ადამიანი ტერორის წინააღმდეგია. ოღონდ, იმ ნაწილის, რომელსაც საქართველოში მიმდინარე ტერორი არასდროს აწუხებდა, გულწრფელობაში ეჭვი მეპარება. ტერორიზმი ზოგადად უნდა აწუხებდეს არამარტო უცხოეთში, არამედ საკუთარ სამშობლოშიც. **ვიდრე იტყოდი — მე ვარ შარლი, უნდა გეთქვა მე ვარ სანდრო, მე ვარ ბუტა და ა.შ. როცა მე ვარ სანდრო (გირგვლიანი) არ გითქვამს, ამ ფონზე, მე ვარ შარლის ძახილი მატრაბაზობა** მგონია და არა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აი, სწორედ ესაა პროვინციიდან გაღწევის პროვინციული მცდელობა, რისი მაგალითებიც მრავლადაა.

**— თქვენ ახსენეთ, რიმ ევროასოცირების ხელშეკრულება წინგადადგმული ნაბიჯია...**

— ევროინტეგრაციის პროცესი, ალბათ, იმ ღირებულებების აღიარებაა, რასაც ძირითადად, განვითარებული ევროპის ქვეყნები ეყრდნობა. მოკლედ რომ ვთქვა, ეს ათენისა და იერუსალიმის ჰარმონიაა. მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპისთვის შენც საინტერესო უნდა იყო, მან უნდა ჩათვალოს, რომ შენი შემატებით მისი თვალსაწიერიც ფართოვდება. მაგრამ პოლიტიკოსების განზრახვა ნაკლებად ეხება-ხოლმე სულიერ ურთიერთობას, საზრდოს და ა.შ. როგორც მოქალაქეებმა ამ ხელშეკრულებით ბევრი ვალდებულება ავიღეთ. ცივილური სახე უნდა შევინარჩუნოთ.

ევროპას, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს და სულაც არაა აუცილებელი ეს, ხელოვნურად, შენც თავს მოიხვიო. ევროპა ცდილობს იმ სერიოზული პრობლემებისგან გათავისუფლებას, რომელიც მას საზოგადოების განვითარების ახალ საფეხურზე ასასვლელად გზას უღობავს. პოლიტიკოსები ნაციის სახეს არ წარმოადგე-

10 gv.

**„რადგან ბატონი ბიძინა ამ პარტიის დამფუძნებელია, ვფიქრობ, მან ამ დიდი განახლებისთვის უნდა მოიცალოს. მას ამის რესურსი აქვს, ვგულისხმობ არა ფინანსურს, არამედ მის გამჭრიახობასა და სულიერ რესურსს. ხალხი დიდ განახლებას ელოდება...“**



ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

# დავით მაღრაძე: საქართველოს ისეთივე მნიშვნელობის რეფორმა სჭირდება, როგორც იოანე პეტრიწმა ჩაატარა გელათის აკადემიაში

9 gv.

ნენ. ხომ დაუშვებელია საქართველოზე აკაკი მინაშვილით ან ჩვენი პარლამენტით ვიმსჯელოთ. **ხომ უფრო მეტია საქართველო, ვიდრე ჩვენი პარლამენტი. ან თუნდაც, თანამედროვე ქართველ პოეტებზე, ბევრად მეტი ხომ არის ჩვენი სამშობლო**. ამდენად, ყოველდღიური პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებს სულიერებისთვის ნაკლებად სცალიათ. ეს ძალიან რთული ლაბირინთია, რაშიც ნაციის სახე არ ჩანს. გვახსოვს, სააკაშვილისთვის დემოკრატიის შუქურის დარქმევის უსუსური მცდელობა, რათა დასავლეთისა და აშშ-ს პოლიტიკურ წრეებს თვალი დაეხუჭათ ყველა იმ ფუნდამენტური ადამიანური უფლებების გათელვაზე, რაც საქართველოში ხდებოდა. ჩემი აზრით, მათი ინტერესი იყო რუსეთ-საქართველოს შორის სამხედრო დაპირისპირება შემდგარიყო. ეჭვი მაქვს, ეს განზრახვა აშშ-ს გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში ახლაც არის.

**— ანუ მათ სურთ პროვოკატორის როლში გვამყოფონ?**

— მინდა ხმამაღლა ვთქვა: ჩემი ქვეყნის, სამშობლოს ფუნქცია მსხვერპლშეწირვა არაა. არ მინდა, რომ ამის გარდა სხვა ფუნქცია არ გვქონდეს. არანაირი სურვილი არ მაქვს საქართველოს დღევანდელი გენერაცია იმ პორცესს შევეწიროთ, რომ სამყაროს, რუსეთის წინააღმდეგ, ახალი სანქციების საშუალება მიეცეს. ასე, იმ კეთილ ნაყოფს, რომელსაც ახალი ეკონომიკური სანქციებით მოიმკიან, ჩვენ ველარ ვიგემებთ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე აღარ ვიქნებით. ამიტომ ბევრად მნიშვნელოვანი მგონია ჩემი ქვეყნის კულტურული, სულიერი და პოლიტიკური ფუნქცია, ვიდრე ის რომ მსხვერპლად შევეწიროთ. საერთოდ, თავგანწირვა ყველა ადამიანს შეუძლია, ოღონდ არავის აქვს უფლება მთელი ქვეყანა გაწიროს.

ხაზგასმით ვამბობ, მეხუთე კოლონა გეოგრაფიული ტერმინი არაა. რასაც ბერია-ორჯონიკიძე ახორციელებდნენ, დღეს შეიძლება იგივე ადეიშვილ-სააკაშვილმა გააკეთოს. სულაც არაა აუცილებელი ამ საფრთხეს მხოლოდ რუსეთიდან ელოდო. ტერმინი მეხუთე კოლონა ესპანეთში გაჩნდა, როდესაც ფრანკო ოთხი კოლონით მადრიდს უტევდა, ხოლო მეხუთე იმას დაერქვა, რომელიც იმ ოთხი კოლონის სასარგებლოდ, სიტუაციას შიგნიდან ურევდა. ესაა დღევანდელი სურათი. უფრო მეტიც, არსებობს პროექტი და არსებობს ხელისუფლებაში ლოგიკურად მოსული ხალხი. **არსებობს სხვა ქვეყნის პროექტი და არსებობს თავის შეცდომებით, გამარჯვებებით საზოგადოების წიაღიდან ამოსული ხელისუფლება. მაგალითად, კახთა მეფე ალექსანდრე მეორე საქართველოს მონარქი იყო თავის შეცდომებით და გამარჯვებებით, ჰყავდა სამი ვაჟი — დავითი, გიორგი და კონსტანტინე. დავითი და გიორგი ჩვენს წიაღში აღზრდილი ქართველი მონარქები იყვნენ. კონსტანტინე კი შაჰ-აბას I პროექტი იყო, რომელიც სპარსეთში ბავშვობაში წაიყვანეს, იქედან კონსტანტინე მირზად დაბრუნდა, მოკლა მამა, ძმა, მათი მოკვეთილი თავები შაჰ-აბას I გაუგზავნა და გარდაცვლილი ძმის მეუღლეს ქეთევანს ხელი სთხოვა**. ესაა პროექტის აზროვნება, ცნობიერება, რომელიც მეფობს იმ ქვეყანაში, სადაც მეფობს, მაგრამ რეალურად საკუთარი ქვეყნის ინტერესს არ ახორციელებს და ისე იქცევა, როგორც კონსტანტინე მირზა მოიქცა. ამიტომ **მომხრე ვარ არა პროექტის, არამედ ლოგიკურად განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრებიდან აღმოცენებული ადამიანების, რომლებიც პოლიტიკაში მიდიან**. ჩვენთან იყო პროექტი, რომელიც კონფლიქტში შევიდა ქართული საზოგადოების ცნობიერებასთან, დამოკიდებულებასთან, აზროვნებასთან, ტრადიციასთან. როგორც აღვნიშნე, საქართველოში ყველაზე მეტად გოიმობის ეშინიათ, სწორედ ამით ისარგებლეს პროექტის განმხორციელებლებმა, მესვეურებმა და ხელმძღვანელებმაც და ყოველი აწეული ჭიქა, რომელიც სადღეგრძელოს თანხლებით შეისმებოდა უკიდურეს მარგინალიზმად ჩათვალეს. გაჩნდა პერიფერიული სიმპტომები — მაგალითად, ტრადიციული სარწმუნოება ყველაზე უფრო მოძველებული რამ უნდა ყოფილიყო. ამის დანერგვა საქართველოში გაუჭირდათ. ქართველი კაცი მიხვდა, რომ რაღაც ძვირფასს ართმევენ, უნდათ ისეთ რამეზე ათქმევინონ უარი, რაც ეძვირფასება, რომელიც მისი საუკუნეების სიღრმიდან მოდის და შთამომავლობას სამომავლოდ უნდა გადაეცეს. ჩემი აზრით, საქართველოს, დღეს, ისეთივე მნიშვნელობის რეფორმა სჭირდება, როგორც იოანე პეტრიწმა ჩაატარა გელათის აკადემიაში, ან პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც უნივერსიტეტი დააფუძნა. ახალი ეპოქის შესაფერისი ენაა მოსაძებნი. ქართული ყოველთვის უნდა გადარჩეს და იგი ახლა, ამ ეპოქის ენაზეც უნდა ალაპარაკდეს. აქვე, ერთსაც აღვნიშნავ, წინამორბედ ხელისუფლებას აშშ-დან უპირობო მხარდაჭერა ჰქონდა, ის გარყვნილება და აღვირახსნილობა განსაზღვრა, რითაც ნაცების მმართველობის წლები ხასიათდებოდა და რამაც ადამიანების უფლებებისა და სიტყვის თავისუფლების სრული გათელვა გამოიწვია. დღეს უპირობო მხარდაჭერა აღარაა, რაც კარგია. უპირობო მხარდაჭერა ხელისუფლებას რყვნის. ახლა, აშშ-სთან ჯანსაღი ურთიერთობაა. ვადასტურებ აშშ-ს მიმართ ჩემს პატივისცემას და მხიბლავს თავისუფლების ქარტიაში ჩაწერილი თომას ჯეფერსონის სიტყვები: ადამიანს ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება აქვს. ოღონდ, არავინ იფიქროს, რომ ეს მხოლოდ აშშ-ს მოქალაქეს ეხება. დღეს ჩვენ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ვიწყებთ ფიქრს. რა ეწყინება პუტინს ის გავაკეთოთ და რა გაუხარდება მაკკეინს ისე მოვიქცეთ, ეს უნდა დასრულდეს. პუტინით და მაკკეინით ნუკი ვიწყებთ, შვილიშვილისთვის რა არის სასარგებლო იქიდან დავიწყოთ მსჯელობა.

**— ჩვენთან განხორციელებული რეფორმებით რა შედეგები გვაქვს?**

— ამით სიკეთე ვერ მივიღეთ იმიტომ, რომ სრული აბდა-უბდაა. განათლების რეფორმაზე მომუშავე ხალხს წარმოდგენაც არ აქვთ რას აკეთებენ, ისინი განათლების რეფორმის ჩამტარებლებად კი არა მოწმეებად ვერ დაჯდებიან, ელემენტარულად, ამბავს ვერ გაიტანენ. ძირითადად, რეფორმატორებად, ასეთი ხალხი გვევლინებოდა.



საყდრისი

მათთან შეხვედრებზე ვამბობდი, გოგებაშვილის „დედა ენა“ ის საგანძურია, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს-მეთქი. პასუხად მივიღე — „დედა ენაში“ ცვლილებები უნდა შევიტანოთ, რადგან იქ ისეთი შრომის იარაღებია მოხსენიებული, რომელიც ახლა აღარ იხმარებაო. ამ ლოგიკით, ესპანეთში მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტიც“ უნდა აიკრძალოს, რადგან დღეს, შუბებით აღარავინ იბრძვის. სამწუხაროდ, ასეთი აზროვნების კატეგორიის ხალხთან გვიწევს პოლემიკა და რატომღაც განათლების სისტემა სწორედ მათ აბარია. კულტურის, განათლების სამინისტროები, მერია ის ინსტიტუტებია, საიდანაც ხელისუფლებას საზოგადოებასთან ცოცხალი შეხება აქვს. ეს ძალიან ფაქიზი სამყაროა. მეჩვენება, რომ ამ სიფაქიზეს, საზოგადოებასთან შეხების მნიშვნელობას დღევანდელი ხელისუფლება ვერ გრძნობს. ამ პრობლემის შედეგია საყდრისის თემა. ცივილურ სამყაროში, ევროპაში არის ძეგლის გადატანის პრეცედენტები მაშინ, როცა სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტები ხორციელდება. ოღონდ ამ დროს ნებისმიერი ცივილური ქვეყანა საზოგადოებასთან კონტაქტშია, სრულ ენერგიას დებს, რათა იგი სიმართლეში დაარწმუნოს. რაც საქართველოში მოხდა, ეს სხვაგან, ამ ფორმით, არსად ხდება. საყდრისი მითია თუ რეალობა, ამან, მნიშვნელობა დაკარგა, იმდენად ბევრი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ. საყდრისი მითიც რომ ყოფილიყო, დღეს რეალობა გახდა. ქართველი მოქალაქის ცნობიერებაში ხელისუფლებამ ძეგლი ააფეთქა. **ხელისუფლების მთავარი შეცდომა საზოგადოებასთან კომუნიკაციის არქონაა. უნდა მოიცალო და საზოგადოებას ყველაფერი აუხსნა, ხელისუფლებამ ამ ჰარმონიას უნდა მიაღწიოს**. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთსულოვნება გაქრა. აქვე მინდა ერთი რამ აღვნიშნო, საყდრისთან დაკავშირებით საპატრიარქოს განცხადება გაკეთდა, რომ დამნაშავეები უნდა დაისაჯონ. ამას არ განვიხილავ, ეს მოულოდნელი არ იყო, უბრალოდ, ამ განცხადებას 9 წლიანი მმართველობის მანძილზე არაერთხელ ველოდი და არ გაკეთდა. არ შევალ იმის განსჯაში, თუ რატომ არ გაკეთდა აქამდე მსგავსი განცხადება. 7 ნოემბერს ხალხის რბევას რომ თავი დავანებოთ, ასევე, წამებებს, მკვლელობებს, 26 მაისს როცა ორი გვამი — ჩემი კლასელი ნიკა კვინტრაძე და ასათიანი სახურავზე შემოდეს, მაშინაც ველოდი, რომ ეს განცხადება გაკეთდებოდა. როცა კაენმა მოკლა აბელი, ღვთის ხმა გაისმა, კაენ სად არის შენი ძმა. ამ ხმას ველოდი და ვერ გავიგონე. ამის განსჯაში არ შევალ, მაგრამ ჩემთვის როგორც ქრისტიანისთვის ცოცხალი ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი ისტორიული ძეგლი.

**— თქვენ თქვით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიზიდულობის მუხტი დაკარგა. რას გულისხმობთ?**

— **ვთქვი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მიზიდულობის მუხტი დაკარგა, ოღონდ ისიც დავამატე, რაც იმ ინტერვიუში აღარ მოხვდა — განახლებას ისევ ამ პოლიტიკური ველიდან ველი**. რა თქმა უნდა, ის მუხტი დაიკარგა. ახლა სხვა გამოწვევებია. მაშინ ჩვენი მთავარი ამოცანა რეჟიმზე გამარჯვება იყო, რათა გაგვეთავისუფლებინა სივრცე, რაც ივანიშვილმა საზოგადოებასთან ერთად მოახერხა. მაგრამ ახლა ეს მოცემულობა აღარაა. ახლა, უფრო მშვიდად შეიძლება უკეთესზე ფიქრი. „ქართულ ოცნებას“ აშკარად სჭირდება დიდი განახლება. იგი არჩევნებში განახლებული სახით უნდა წავიდეს. ანუ, მათ რიგებში ისეთი ხალხი უნდა გამოჩნდეს, ვინც სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძოლებს. დღეს „ქართულ ოცნებაში“ ნიჭიერების, სიახლის განცდის პრობლემაა. ახლა სხვა გამოწვევა და სხვა მოცემულობაა. **რადგან ბატონი ბიძინა ამ პარტიის დამფუძნებელია, ვფიქრობ, მან ამ დიდი განახლებისთვის უნდა მოიცალოს. მას ამის რესურსი აქვს, ვგულისხმობ არა ფინანსურს, არამედ მის გამჭრიახობასა და სულიერ რესურსს. ხალხი დიდ განახლებას ელოდება, ოღონდ არა პოლიტიკური სივრციდან**.

**— ხალხი ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებასაც ელოდება?**

— თუ მისი პოლიტიკაში დაბრუნების აუცილებლობა მთელი სიმძაფრით დადგა, მჯერა, ამას, პირველ რიგში, თავად ბატონი ბიძინა იგრძნობს და იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც ქვეყნისთვის უკეთესი იქნება. რა ფორმით დაბრუნდება არ ვიცი, ეს შეიძლება არ იყოს აღმასრულებელი სახელისუფლებო პოსტი, მაგრამ ვიმედოვნებ, იგი ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მიიღებს. მასში განახლების სურვილს ვხედავ. რა თქმა უნდა, ადამიანი სიახლეს ყოველთვის ელოდება. პოლიტიკა ისეთი რამეა მეტის მოთხოვნილება, ახალი გამოწვევა მალევე დგება. ლადო ასათიანს დავესესხები: „ხომ ლამაზია ეს საქართველო მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“. უფროში განვითარების მუხტი დევს. თუ ყველაფრით არსებულით კმაყოფილი იქნები, განვითარების მუხტი შეწყდება. თუმცა ევროასოცირების ხელშეკრულება ერთ რამესაც გვავალდებულებს — ჩვენი მოთხოვნები არსებული მოცემულობიდან გამომდინარე დავაყენოთ. **ვაზს გაზაფხულზე არავინ ჰკრეფს, ეს შემოდგომაზე უნდა მოხდეს. მინდა ხელისუფლებას ვურჩიო, არასოდეს შეწყვიტოს კომუნიკაცია საზოგადოებასთან, ეს უმნიშვნელოვანესია**. არ შეიძლება კონკრეტული პრობლემის აფეთქებით გადაწყვეტა. მეტი კონტაქტია საჭირო. ამ კუთხით ვაკუუმია. იცით, რატომ მაშფოთებს ეს ვაკუუმი? — მერაბ მამარდაშვილი ამბობდა: როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ვაკუუმი ჩნდება, ამ ვაკუუმს ნაძირალები იკავებენ. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

**— დასაწყისში პროექტზე ისაუბრეთ. რა სიტუაციაა ამჟამად, პროექტის კლანჭებიდან გამოვძვერით, თუ ხელისუფლება ისევ „პატრონის“ მძევალია?**

— ჩვენი ქვეყანა ევროპა-აზიის გზაგასაყარზეა. თუ ერთი მხრივ, დამპყრობლებისთვის ყოველთვის მიმზიდველი იყო, მეორე მხრივ, სულიერი თვალსაზრისით გამდიდრდა, აქ ორმა აღმოსავლეთის და დასავლეთის კულტურამ მოიყარა თავი, კულტურათა დიალოგი შედგა. „ვეფხისტყაოსანი“ ამის უტყუარი გვირგვინი, ქართული სახელმწიფოს სამუდამო საყრდენია. დღეს დამოუკიდებლობის ნიშან-წყალი გაჩნდა. ისეთი ეპოქაა, სრულად დამოუკიდებლობა ალბათ, გაჭირდება. მითუმეტეს, რომ არც სამხედრო ძლიერებით ვქუხვართ, არც ეკონომიკურად. რაც ნაციონალები რუსეთთან ომში ჩაებნენ, გახსოვთ, რითაც დამთავრდა რიტორიკა — აქეთ გორას წიხლსა ვკრავ, იქით გორას ძვრას ვუზამ. ბოლოს, რუსთაველზე „გვიშველე სარკოს“ ბღავილით დაასრულეს ომი. ბაქრაძემ განაცხადა — იქნებ საკუთარი დანა-ჩანგლით დაიცვათ თავი, მე უკვე თავშესაფარში ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნებათ, რაც მთავარა გადავრჩი, ჯარიანად გამოგასწარით, ახლა თავად დაიცავით თავი დანა-ჩანგლითო.

საქართველოში დიდი ხანია არსებობს ვირტუალური პატრიოტიზმი და ფასადური პოლიტიკური კულტურა, ერთი შეხედვით ვითომ თავგანწირული, რომელიც ბოლოს ზემოთ ნახსენები ბაქრაძის განცხადებით, სარკოს ბღავილითა და მიწა-წყლის დაკარგვით მთავრდება. განა შეიძლება აგორაზე ტაბუდადებული თემები არსებობდეს? — ამაზე არ ისაუბრო, თორემ შავ დღეს დაგაყრიო. ვერავისაც ვერ დააყრიან შავ დღეს, ასე მხოლოდ მიწას დაიყრიან გულზე, მეტი არაფერი არ იქნება. შეიძლება საერო აზროვნება შეზღუდული სივრცე იყოს? ეს სივრცე უნდა გაიხსნას. თუ არ ღირს შეხვედრა, შიშით კი არ უნდა თქვა უარი, არამედ აწონ-დაწონო. საკუთარ გადაწყვეტილებაში თავისუფალი უნდა იყო და არა შეშინებული. ესაა საზოგადოების მთავარი ნაკლი, ფსევდო-პატრიოტების მიერ შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის ველი დღემდე ვერ დაამსხვრია.

**— ბოლოს გვითხარით, შემოქმედებაში რა ხდება?**

— იანვრის ბოლოს ლონდონში ინგლისურ ენაზე ჩემი წიგნი „ნაფეხურები წყალზე“ გამოვა. იგი მარტის ბოლოს „ვოთერ სთოუნში“ საპრეზენტაციო ნუსხაშია ჩასმული.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

**ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში**



## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-45

### კაცობრიობის „თავზარდამცემი საიდუმლო“
(გაგრძელება)

მთელი თავისი დედაბუდით წაასხა ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა იუდას მეფე ბაბილონში და მის ადგილზე, მეფედ დატოვა მეფის ბიძა - ციდკიაჰუ. მეორედ დალაშქრა ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი. ციდკიაჰუ, რომელიც გადაუდგა ბაბილონის მეფეს , გაიქცა, დაიჭირეს გაქცეული ციდკიაჰუ ქალდეველებმა,მიჰგვარეს მეფეს, თვალწინ დაუკლეს შვილები, დათხარეს თვალები, სპილენძის ბორკილები დაადეს და მიიყვანეს ბაბილონს...

ბიბლიის მეფეთა წიგნებიდან მოხმობილი ფრაგმენტებით მკითხველისათვის გვინდა თვალსაჩინო იყოს ბაბილონის ტყვეობის უმძიმესი ხასიათი ებრაელთათვის.

ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მეფობის მე-19 -ე წელს, მისი ქონდაქართუხუცესი, ნებუზარდანი, ბაბილონის მეფის მორჩილი, მოადგა იერუსალიმს: გადაწვა უფლის სახლი და მეფის სახლი, იერუსალიმის ყველა სახლი, ყველა დიდი სახლი ცეცხლს მისცა...დაანგრია კედლები იერუსალიმის ირგვლივ...ქალაქში დარჩენილი მოსახლეობა და ისინი, ვინც ბაბილონის მეფეს ჩაბარდნენ, ჭრელ ხალხთან ერთად აჰყარა... ნაწილი ქვეყნის ხალხისა მევენახეებად და მხვნელ-მთესველებად დატოვა...“ (4მეფ.25,9-12).

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში აღწერილია ბაბილონში ჩამოყვანილ იუდეველ ტყვეთა გამოყენების ისტორია სამეფო კარის ე. წ. ინტელექტუალური მსახურებისათვის, რაც ზემოთხსენებული ,,მითით“ ქალდეველთა მიერ ქალდეური სიბრძნის ებრაელთათვის გადაცემის რიტუალი ყოფილა, განხორციელებული ფანატიკოსი ქალდეველი მოგვების ვარსკვლავთმეტყველური წინასწარმეტყველების შედეგად, რომლითაც კაცობრიობის მომავალი თუმე განპირობებულად ეკუთვნის ებრაელ ხალხს. უფრო მეტი: მთელი ბაბილონის ტყვეობა შემდგარა ქალდეველი მოგვების წინასწარმეტყველების შედეგად, იმისათვის, რომ გონიერი ებრაელები წამოეყვანათ ბაბილონში ქალდეურ სიბრძნეში გასაწრთვნელად: მთელი ამ დეტექტივის შესაქმნელად გამოყენებულია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ასახული ინფორმაცია, რომლითაც მეფე ნაბუქოდონოსორმა, რომელმაც იერუსალიმიდან წამოღებული ძვირფასი ჭურჭლეული თავისი ღმერთის საგანძურში შეიტანა და ტრადიციისამებრ ნადავლი თავის ღმერთს მიართვა, საჭურისთა მთავარს დავალება მისცა:“მიეგვარა მისთვის ისრაელიანთაგან, სამეფო მოდგმიდან და დიდებულთაგან უნაკლო, შესახედავად მშვენიერი, ყველა სიბრძნეში დახელოვნებული, ნიჭიერი და სწავლის უნარიანი ყმაწვილები, რომელთაც შეეძლებოდათ მეფის კარზე სამსახურის გაწევა და ქალდეველთა მწიგნობრობისა და ენის შესწავლა.“(დან.1,3-4).

ბაბილონის მეფეთ, სხვა ქვეყნების არაერთი მეფე და დიდებული ჰყავდათ თავიანთ სამეფო კარზე ტყვეებად, როგორც ამას მეფეთა მეოთხე წიგნი გვაუწყებს ბიბლიისა, და გვაუწყებს იმასაც, რომ სამეფო დიდსულოვნების ეთიკა, მეფობისა და დიდებულების პატივის ნიშნად, მათ, ე. ი. ბაბილონელებს განაწყობდა მეფეთა და დიდებულთადმი შესაფერისი და ღირსეული სამსახური დაეწესებინათ, ამასთან საჭირო და სასარგებლო საკუთარი სამეფო კარისათვის. რაც შეხება ქალდეველთა წიგნების გამოყენებას ებრაელთა მიერ ეს უკვე დასრულებულია ბაბილონის ტყვეობის დროს. ებრაელებს უკვე თავისი ოქროს ხანა გავლილი აქვთ. ქალდეველთა სიბრძნის მითვისება იწყება უკვე აბრაამიდან და მითვისებული გადაეცემათ თაობებს. და არა მხოლოდ ქალდეველთაგან. სპეციალისტების მიერ დადგენილია მოსე წინასწარმეტყველის ათი მცნების გადმოსესხება ეგვიპტელთა წმინდა წიგნიდან, რომელსაც ,,მკვდართა წიგნი“ ჰქვია. (ჯონათან ბლეკი: ,,მსოფლიოს საიდუმლო ისტორია“).

ჩვენს მიერ ზემოთ ხმობილ ქართულ ხალხურ გამონათქვამში:“ურია წყალს მიჰქონდა და ჩემი გზაც იქით არიო“ - საოცარი სიღრმით არის დაჭერილი ებრაელი ხალხის უჩვეულო და, შეიძლება ითქვას, გენიალური უნარი, ნებისმიერი უბედურება შეატრიალოს თავის სასარგებლოდ. ასე მოხდა მეორე მსოფლიო ომითაც. ომი, რომელიც უდიდესი ტრაგედია იყო ებრაელი ხალხისთვის, ომი, რომლითაც ებრაელი ხალხის მსოფლიო დევნამ კულმინაციას მიაღწია, დამთავრდა ებრაელი ხალხის გამარჯვებით, რადგან ამ ომით ებრაელმა ხალხმა შეცვალა მსოფლიო, შეცვალა მსოფლიოს დამოკიდებულება ებრაელთა მიმართ.

ებრაელთა მდევნელი და მძულვარე მსოფლიოდან მივიღეთ ებრაელთა ქომაგი და ებრაელთა წამებულ ბედზე გადაფარებული, ყოვლგვარ ანტისემიტიზმზე აღშფოთებული მსოფლიო. ეს, ცხადია, არ ეხება საქართველოს, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა და სადაც ყოველთვის ჰქონდათ სიყვარული ებრაელებს, და საერთოდ აზრადაც არ მოსვლია ქართველობას, რაიმე ტკივილის მიყენება მათთვის. გვიყვარდნენ ისინი და გვიყვარან. მაგრამ დადგა ჟამი, როდესაც კაცობრიობამ დაიწყო თვითგამორკვევა საიდუმლოებით მოცული ამ ორი სუბიექტის ურთიერთმიმართებისა: კაცობრიობისა და ებრაელი ერის. როგორ მოხდა, რომ ეს ბიბლიური ხალხი, ერთდროულად, იყო დევნილიც, მთელ მსოფლიოში კარს მიღმა გაგდებული, და ამავდროულად კაცობრიობის მასწავლებელი და ცხოვრების სახელმძღვანელოდ მიმცემი წმინდა წიგნისა, ბიბლიის. თვით ქრისტიანობის გამარჯვებითაც ხომ ებრაელი ხალხის ბიბლიური ისტორია იქცა სახელმძღვანელოდ კაცობრიული აზროვნებისა? თვით ქრისტეს მოვლინებაც კი შესძლეს ებრაელებმა რომ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. დიდი ილია ჭავჭავაძე და დიდი აკაკი წერეთელი , ეს ორი დიდი მგოსანი და ორი დიდი მოძღვარი ქართველი ერისა, ებრაელი ხალხის მიმართ ორი სრულიად სხვადასხვა პოზიციით წარუდგებიან მშობელ ხალხს. საოცარია დამოკიდებულება აკაკი წერეთლისა ებრაელთადმი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არასოდეს გამხდარა ეს დამოკიდებულება რაიმე განხილვისა და შემეცნების საგანი. შესანიშნავი საქმე განახორციელა ცნობილმა ისტორიკოსმა და მწერალმა, ბ-ნმა ზურაბ რატიანმა, როდესაც ცალკე პატარა წიგნად გამოსცა ქართული ესსეისტიკის ორი ბრწყინვალე ნიმუში: ილია ჭავჭავაძის ,,დავით აღმაშენებელი“ და აკაკი წერეთლის ,,თამარ მეფე“. თამარ მეფისადმი მიძღვნილ წერილში, სადაც თავისთავად დედაკაცის, დედის, ქალის ფენომენზე უხდება აკაკის საუბარი, აკაკი წერეთელი ებრაელ ხალხს უწოდებს ყველა ხალხის მოძულე ერს, და ბიბლიურ პოზიციას ქალისადმი, პატრიარქალურსა და მძვინვარეს, ქალის დამაკნინებელს და კაცობრიული ცოდვის სათავედ დამწესებელს, უწოდებს ,,მაწანწალა აზრს“. აკაკი წერეთლის ამ დამოკიდებულებას ებრაული ბიბლიური ცნობიერებისადმი და მის განსჯას ბიბლიური ხედვისას დედური საწყისისადმი, ჩვენ უკვე შევეხეთ ჩვენს ნაშრომში: ,,თამარ მეფის წმ. სამების მეოთხე წევრად გამოცხადების გაგებისათვის“(იხ. კრებული: ,,ბიზანტინოლოგია 2010) და აკაკის ამ აზრს მივეცით უდიდესი შეფასება. აკაკი წერეთლის ამ თვალსაზრისს თეოლოგიური აზრის ისტორიაში უდაოდ უდიდესი და მსოფლიო მასშტაბის მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება, ილია ჭავჭავაძის განსჯას და დამოკიდებულებას ებრაელი ხალხის ფენომენისადმი, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ ზემოთ, წინამდებარე შრომის შესაბამის პრობლემებთან კავშირში, ილიასეული თვალსაზრისი სრულიად განსხვავებულია და ილია ჭავჭავაძეში, მისი ლექსით: ,,პოეტით“, იმდენად იგრძნობა სიმპატია მოსე წინასწარმეტყველის, როგორც ერის წინამძღოლის იდეალური წარმომადგენლის მიმართ, იმდენად აიგივებს კიდეც ილია თავისთავს, როგორც წინამძღოლს ქართველი ერისას მოსესთან, რომ მისთვის, ქართული ეროვნული მოძრაობის ფუძემდებლისა და წინამძღოლისათვის, ბიბლიისადმი, ანუ პირველ რიგში მოსეს წიგნებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ადგილი თითქოს აღარ რჩება: ,,მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო. ამგვარი ბიბლიური სულისკვეთბით გადმოსცემს ილია ჭავჭავაძე თავის მისიას. სწორედ ამ დიად ქართულ გრძნობაში, ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ ცნობიერებაში იბადება პირველად ფუნდამენტალური მნიშვნელობის კითხვა: რატომ იდევნებიან ეს საწყალი და წამებული ებრაელები მთელ მსოფლიოში?! რა დააშავეს ისეთი, რომ დედამიწის ყველა კონტინენტისთვის არიან მიულებელნი?! და დასასრულ, მიუხედავად თავისი ღრმად ადამიანური და სრულიად მოყვრული თანადგომისა, რომელიც გამოხატულია მის წერილში “ებრაელთა შესახებ“, ბრძენი პატრონი თავისი ერისა გამაფრთხილებელ დასკვნასთან მიდის, ისეთ საყოველთაოდ მნიშვნელოვან დასკვნასთან, რომელსაც არცერთი გონიერი ერი მხედველობიდან არ გაუშვებდა. ქართველ ერს არასოდეს მიუქცევია რაიმე საგანგებო ყურადღება ილია ჭავჭავაძის არც ამ წერილისათვის და არც ამ დასკვნისათვის, გარდა იმისა, რომ წერილი ილიას გამომცემელ ფილოლოგ მეცნიერთა მიერ მის ნაშრომთა ტომეულებში იქნა შეტანილი და მისი, ამ წერილის არსებობა ქართული ცნობიერების ისტორიისათვის უზრუნველყოფილ იქნა.

ებრაელი ერის ფენომენი ნამდვილად არ არის სათანადოდ შესწავლილი, ისევე, როგორც სათანადოდ არ არის შესწავლილი ებრაელი ერის ბიბლიური ისტორია. ილია ჭავჭავაძის მსჯელობა ებრაელი ერის შესახებ, ებრაელი ერის მიზანსწრაფვაზე მსოფლიო ბატონობისაკენ, ერთგვარი ილუსტრაციაა ამ ერის, როგორც ფენომენა-

12 gv.

**წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.**

11 gv.

ლური მოვლენის შეუსწავლელობისა მსოფლიოს ხალხებისაგან. ილია ჭავჭავაძის წერილი დაწერილია მე-19-ე საუკუნის დასასრულს, ფაქტიურად იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში საძირკვლებს იყრის მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა, როდესაც იწყება აღმავლობა ებრაელი ერის ბიბლიური მიზანსწრაფვისა მსოფლიოზე გაბატონებისათვის. ილია ჭავჭავაძეს ეს ინფორმაცია ჯერ არა აქვს. და იგი საოცარი წინასწარმეტყველებით ჩაავლებს იმ უმნიშვნელოვანეს აზრს ებრაელთა შესახებ, რომელიც , როგორც ჩანს, თერგდალეულ პეტერბურგელთან უნდა შემოღწეულიყო ევროპიდან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არავის ისეთ სიღრმეებში არ გაუშიფრავს ებრაული ფენომენი, როგორც ეს რუსულმა თეოლოგიურმა და ანალიტიკურმა გონებამ შესძლო. ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველ კაცს, ამ მიმართულებით მძაფრი ინტერესი არც ჰქონია. ქართულ ცნობიერებაში მთელი ქრისტიანული ისტორიის მანძილზე ეს ქართულ-ებრაული ფენომენალური ურთიერთმიმართების პრობლემა ინფორმაციულად იყო დამარხული. აკაკი წერეთლის აზროვნებაში, მის ეროვნულ ხედვაში, შესაძლოა, ეს სრულიად სტიქიურად და ბუნებრივად იჩენს თავს, როგორც ალტერნატიული, ღრმად ქართული, სრულიად გენიალურად თავისთავადი, ანტიბიბლიური, როგორც ანტიებრაული პოზიცია. ილია ჭავჭავაძე , რომელსაც შეეძლო პროფესიონალის დონეზე ეკონომიკისა და ფინანსების ეროვნულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაშიც შეეღწია ერის სიცოცხლეზე ფიქრით, აღმოაჩენს, რომ ებრაელი ხალხი მთელ მსოფლიოში იდევნება არა თავისი რელიგიური ფანატიზმის ან გენეტიკური ფანატიზმის გამო, არამედ იმ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელიც მას გზად და საშუალებად გაუხდია მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩასაგდებად, გავლენის მოსახდენად ქვეყანათა და მეფეთა ბედზე, და მსოფლიო ბატონობის განსახორციელებლად ამ უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკის გზით. აი, ეს უსამართლო ეკონომიკური პოლიტიკა მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს დამაფიქრებლად მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მე-19-ე საუკუნის მსოფლიო მოქალაქესაც და ქართველი ერის უგვირგვინო მეფესაც. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებაახდენილ მსოფლიოში, შეუმეცნებელნი ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებისაც და იმ მსოფლიო რეალობისაც, რომელშიც ვცხოვრობთ. და საოცარი რამ ხდება: დღევანდელი საფრანგეთის ერთერთი ცნობილი პოლიტიკოსი, საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერი , ქ-ნი მარინ ლე პენი პირდაპირ აცხადებს ღიად და მთელი მსოფლიოს გასაგონად: „დღევანდელი მსოფლიოს ვაჭრობისა და ეკონომიკის საერთაშორისო კანონები უსამართლოა!“ ასეთი სიზუსტით ახდენა ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველური გაფრთხილებისა მართლაც საოცრებაა!

ახლა დავუბრუნდეთ ბ-ნ ვახანიას იმ „დეტექტივს“, რომელიც გაზეთ „ქალდეა“-ში გამოქვეყნდა გვერდიგვერდ ჩემი შრომისა:“ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, და რომელშიც ქართული საზოგადოებისთვის პირველად, ამოწეულია ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსის შელინგის, დიდი თეოსოფოსის, ქ-ნ ელენა ბლავაცკაიას და საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, კირიონ მეორის (1918), ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილის თვალსაზრისები ქალდეველთა ფენომენის შესახებ. ჯერ მომყავს ციტატა ჩემი შრომიდან: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“. შევახსენებ მკითხველს რომ შრომა წარმოადგენს ჩემს მოხსენებას ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე და წაკითხულ იქნა პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში გამართულ სხდომაზე, 2001 წლის 20 აგვისტოს:

„ფილოსოფოსი შელინგი აცხადებდა, რომ ებრაული მონოთეიზმი ტრანსფორმაცია უნდა იყოს წინარე ცივილიზაციის ეზოთერული, არაპატრიარქალური მონოთეიზმისა. ეს ვარაუდები, ცხადია, საჭიროებდნენ დასტურად მოხმობას ნივთიერი წერილობითი ძეგლებისას, რომელნიც დროის მსახვრალი ხელითაც და ადამიანთა ხელშეწყობითაც განადგურდნენ და აღარ არსებობენ...“

„მთელი ქალდეური საკრალური ლიტერატურა უვიცთა თვალთაგან დაიკარგა ისევე უკვალოდ, როგორც ჩაძირული ატლანტიდა“-ბრძანებს მსოფლიოს თეოსოფიური მოძრაობის ფუძემდებელი, დიდი ქალბატონი, ელენე ბლავაცკაია თავის წიგნში:“საიდუმლო დოქტრინა“, და თავის მხრივ, უფრო დეტალურად განმარტავს ამ ჩაძირვის ტრაღედიას: ქალდეური ცივილიზაცია მართლაც ჩაძირული იყოო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ჩვენი წელთაღრიცხვის მე-19-ე საუკუნემდე. მე-19-ე საუკუნეში „ქალდეური გენეზისის“ ლურსმული დაფების აღმოჩენით კი დასრულდაო გზა-კვალის არევა 1500 წლის განმავლობაში მთელი ცივილიზებული ერებისათვის, რომელთათვისაც ბიბლიური, ანუ ებრაელთმიერი ნასესხობანი ქალდეველებისაგან, მიჩნეული იყო უშუალო და ღვთაებრივ გამოცხადებად თავად ებრაელებისა“.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, კირიონ მეორე, საძაგლიშვილი, პროფესიით ისტორიკოსი-არქეოლოგი, 1918 წელს მოკლულ იქნა. მის პირად არქივში დღემდე გამოუქვეყნებელი და მიუკვლეველი დარჩა მისი უწმინდესობის წერილი: Çíà÷àíèå ðàñêîïîê â Õàëäåå äëÿ íà÷àëüíîé èñòîðèè Êàðòâåë (Ãðóçèè)... სრულიად დამოუკიდებლად ელენე ბლავაცკაიასაგან, პირდაპირ აგრძელებს ამ წერილით ელენე ბლავაცკაიას სიტყვებს ორთოდოქსალური ქრისტიანობის ეს ქართველი წარმომადგენელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე: „Ïðèäàâ çíà÷åíèå áîæåñòâåííîãî îòêðîâåíèÿ èñêëþ÷èòåëüíî ñâîåé íàöèîíàëüíîé êóëüòóðå, åâðåè, êàê íàðîä áîãîèçáðàííûé, íàâÿçàëè âñåìó ìèðó è ñâîþ íàöèîíàëüíóþ èñòîðèþ, êîòîðàÿ ó íèõ ñëèëàñü ñ èñòîðèåé ðåëèãèè.

Ðàñêîïêè äîêàçàëè ÷òî â Ìåñîïîòàìèè çà VII - VIII òûñÿ÷ ëåò äî Ðîæäåíèÿ Õðèñòîâà æèëè Êàëüäû, êîòîðûå ïåðâûå â ìèðå âûðàáîòàëè ñâîþ âûñîêóþ íàöèîíàëüíóþ êóëüòóðó, ñäåëàâøóþ ñÿ èñòî÷íèêîì è îáðàçöîì äëÿ êóëüòóð ïîñëåäóþùèõ íàðîäîâ.

Äî ñèõ ïîð ñóùåñòâîâàëî ïðåâðàòíîå ïîíÿòèå î åâðåéñêîé êóëüòóðå. Áîëåå 2000 ëåò åâðåè äåðæàëè â ðåëèãèîçíî-èñòîðè÷åñêîì ïîðàáîùåíèè ïî÷òè âåñü ìèð, ñóìåâ íàâÿçàòü ÷åëîâå÷åñòâó íåãëàñíî ïðèñâîåííûå èìè îò äðóãèõ... íàðîäîâ è ñêëî÷åííûå íà ñâîé ëàä ðåëèãèîçíûå âåðîâàíèÿ.“

„მინდა... განვაცხადო, რომ ქალდეური საკრალური ლიტერატურა არ ჩაძირულა, როგორც ატლანტიდა და გადარჩენილია ყველაზე დიდი და ყველაზე საკრალური თხზულება ქალდეველი ხალხისა. ეს გახლავთ ქალდეური ენა. ეს გახლავთ გადარჩენილი შთამომავლობა ქალდეველი ხალხისა, რომელიც ერთ მილიონამდეა დარჩენილი და მიმოფანტული მთელ დღევანდელ მსოფლიოში.....ისინი ისევე წარმოადგენენ იმ უძველეს ცივილიზაციას შუმერულ-ქალდეური ქვეყნისას, როგორც ჩვენ, ქართველები, ცოცხალი ხატი და მკვიდრი ცოცხალი განგრძობანი ვართ ქალდეურზე უფრო ძველი კოლხურ-მოსხური ცივილიზაციისა, არგონავტების დროინდელი მეფე აიეტისა და კოლხი მედეას მოდგმის“(დენიზა სუმბაძე: „ქალდეველები ბიბლიისა და ქალდეველები ბიზანტიისა“, 2001 წელი, პარიზი).





ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ, გვეჩვენებინა ევროპული, ანუ შელინგისეული, ფუნდამენტალურ - თეოსოფიური, ანუ ელენა ბლავაცკაისეული და ქართულ-ეკლესიური, ანუ კათალიკოს-პატრიარქ კირიონ მეორისეული პოზიციები ქალდეური ფენომენისა და ებრაული ფენომენის პრინციპული ურთიერთმიმართების. თანამედროვე ტერმინოლოგიით საქმე გვაქვს ერთი ხალხის ინტელექტუალური საკუთრების მითვისებასთან მეორე ხალხის მიერ არაეთიკური გზებით და დამალვა მითვისების ფაქტისა საინფორმაციო ომების გზით და არა ბაბილონის ტყვეობის მოწყობა ებრაელთადმი უპირატესობის დასათმობად. საქართველოს ეკლესიას არანაირი ყურადღება და ინტერესი არ გამოუჩენია კირიონ კათალიკოსის ამ უმნიშვნელოვანესი წერილის მიმართ.

როდესაც ევროპელმა არქეოლოგებმა ნივთიერად გახსნეს საიდუმლო ებრაელთა მიერ მთელი ბიბლიური თეოლოგიის წამოღებისა და მითვისებისა ქალდეველთაგან, როგორც ჩანს, საჭირო გახდა ახალი „მითების“ შექმნა ამ დანაშაულის გადასაფარად და გასაბათილებლად. ამ „მითებმა’ სრულიად ჩვენდა მოულოდნელად პოლიტ - პატიმარ ვახანიას ციხეში ამოყვეს თავი, თანაც ჩვენეულ შრომაში წარმოჩენილი ქალდეური ღირსების ჩასაქრობად და საგანგებო გაზეთის: „ქალდეის“ ფურცლებზე გამოსამზეურებლად. შევახსენებთ მთელ იმ ლოგიკურ სიუჟეტს, რომელიც ბ-ნმა ვახანიამ მოგვაწოდა ციხიდან ქალდეურ-ებრაული თეოლოგიური ურთიერთმიმართების განსამარტებლად:

ქალდეველები ვარსკვლავთმეტყველები იყვნენ და ვარსკვლავთმეტყველური წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ კაცობრიობის მომავალი განპირობებულია და რომ ამ განპირობებულობის მიხედვით კაცობრიობის მომავალი ეკუთვნის ებრაელ ხალხს. ამიტომ ფანატიკოსმა ქალდეველმა მოგვებმა მეფე ნაბუქოდონოსორის ზეობაში მოაწყვეს „ბაბილონის ტყვეობა“, წამოიყვანეს ებრაელთა ქვეყნიდან რჩეული ებრაელები, განსწავლეს ქალდეურ ენაზე და გადასცეს მათ ქალდეური სიბრძნეც და ენაც, რათა შემდგომში, როგორც კაცობრიობის მომავლის მფლობელებს, შეენახათ ეს სიბრძნე, როგორც სიტყვა და მოძღვრება ღვთისა, განკუთვნილი მთელი კაცობრიობისათვის ებრაელთა გზით.

ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ დღევანდელი ქართველი ხალხი გამოთაყვანებული და გაუნათლებელი ხალხია და მისი, ამ ხალხის დაქირავება ფულით და მის ტვინში დამქირავნებლისაგან ნებისმიერი ინფორმაციის ჩათესვა ისეთივე მარტივი შესაძლებლობაა, როგორც დაქირავება ვიღაც უბირი სუროგატი დედისა ამერიკელი გეებისათვის, და ყოველივე ამის გამოცხადება ევროამერიკული ზეჰუმანისტური ეთიკის გამოვლენად. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას ვახანიას ჭკუაზე წაიყვანს და რაზეც გინდა იმაზე მოაწერინებს ხელს. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ ის, რასაც ქალბატონი დენიზა სუმბაძე წერს, თავად საქართველოს ეკლესიის მიერ იქნება გაუფასურებული, რადგან ვახანიას დეტექტივის უკან საქართველოს ხელისუფლება დგას და დამკვეთი ამ დეტექტივისა საქართველოს ხელისუფლება გახლავთ, ხოლო ქ-ნ დენიზა სუმბაძის უკან დგას მხოლოდ თითო-ოროლა მეცნიერი, რომლებსაც როცა უნდა მაშინ გააჩუმებს სახელმწიფო ეკლესიისავე მხარდაჭერით! საპირისპიროდ ბ-ნ ვახანიას აღმოჩენებისა, ვითომ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ამიტომ მთელი ქალდეური სიბრძნე და ნაწერნი მათ გადასცეს და მათ დაუთმეს. ვითომ ბაბილონის მიერ მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ამისთვის მოაწყვეს, ქ-ნ დენიზა სუმბაძის აზრით ბაბილონის ტყვეობა იყო რევანში ქალდეური დიდი უპირატესობის გრძნობისა ებრაელთა მიმართ. ბ-ნი ვახანია არაფერს ამბობს სოლომონის ტაძარზე, რომელიც მთლიანად გაძარცვეს ბაბილონელებმა, თავიანთი წესისამებრ მთელი ნადავლი საკუთარ ტაძრებში საკუთარ ღმერთებს მიართვეს და რაც მთავარია, ებრაელებთან თავიანთი რელიგიური დაპირისპირების ნიშნად, ბაბილონელებმა მათ, დავითისა და სოლომონის უდიდესი ღვაწლით ნაგები, ებრაელთა ღმერთის საღვთისმსახურო ისტორიული ტაძარი დაუნგრიეს. ბაბილონელმა, ანუ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მომავალი კი არ იწინასწარმეტყველეს, არამედ ქრისტეს მოვლინება იწინასწარმეტყველეს, რაც ნამდვილად არ ნიშნავდა ებრაელთა უპირობო მომავალს. ქრისტეს ვერმიწვდომით მათ დაკარგეს ისიც, რაც ჰქონდათ და რაც მიეცათ ღვთისაგან: შესაძლებლობა, შანსი

ქრისტეს აღიარებისა საკუთარი სჯულის დასასრულად და დაგვირგვინებად, როგორც ამას პავლე მოციქული განმარტავს. ქალდეველთა სიბრძნის მემკვიდრენი და ჭეშმარიტი მფლობელნი რომ ყოფილიყვნენ ებრაელები, მაშინ ჯვარზე კი არ გააკრავდნენ ქრისტეს, არამედ თვითონ იქნებოდნენ ,,მესიის მახვილნი“.

ბ-ნი ვახანიას დტექტივები ძალზედ თვალში საცემად ჩვენი თვალსაზრისების წინაალმდეგ არის მიმართული. დიახ! ჩვენ ნამდვილად ვფიქრობთ, რომ ქართული ცნობიერება ქალდეურის მემკვიდრე ცნობიერებაა. სწორედ ქართული ცნობიერებით და სწორედ ქ-ნ დენიზა სუმბაძის გამოკვლევბში გაიშიფრა ის, რომ ქრისტიანობა ზოგად- ქალდეური მოვლენაა. რომ ქრისტეს მოვლინებაც და ქრისტიანული მოძღვრების დაბადებაც, ეს იყო ქალდეური ცნობიერების ვულკანური ამოხეთქვა იუდეაში, და ქალდეური ცნობიერების საკაცობრიო გამარჯვება. ქ-ნ დენიზა სუმბაძის თეოლოგიურ კვლევაში გაიშიფრა ისიც, რომ ქრისტესშობის მახარობლებიცა და ქრისტესჯვარცმის ჭირისუფლებიც ქალდეველი მოგვები არიან:პირველნი ,,აღმოსავლეთიდან“ ჩასულნი იერუსალიმის ბეთლემს, ხოლო მეორენი, ჩასულნი იერუსალიმსმცხეთიდან...(იხ. გაზეთი: ,,ივერია“,2003 წლის დეკემბერი, ნიუ იორკი, ჟურნალი: ,,ლიტერატურა და ხელოვნება“, რედაქტორი ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ.№2, დენიზა სუმბაძე: ,, გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, 2012 წელი,თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი).

ბ-ნ ვახანიას პატიმრობის მიზეზი ჩვენთვის ცნობილი არ არის. მისი მსჯელობიდან კი გვიჩნდება აზრი, რომ მას პატიმრობასთან ერთად ქალდეოლოგობა ჰქონდა ხელისუფლებისაგან მისჯილი.

გთხოვთ, კარგად ჩავუკვირდეთ , რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს პატიმრობაში მყოფი მეცნიერის მიერ თავისი ქვეყნის ღირსების საწინაალმდეგო ისტორიული დეტექტივების შექმნას. განმეორებით ვიხმობ ზემოთ უკვე მოხმობილ ამონარიდს ბ-ნი ვახანიას წიგნიდან, რომლითაც ავტორი უცერემონიოდ გვაუწყებდა , რომ ქალდეველებმა უპირატესობა დაუთმეს ებრაელებს, იმიტომ რომ მათივე წინასწარმეტყველური ცოდნით კაცობრიობის მომავალი უპირობოდ უნდა მიჰკუთვნებოდა ებრაელ ხალხს:



ბ-ნი ვახანია ასე გვმოძღვრავს:, ,,თეოლოგის და ისტორიკოსის, არქიმანდრიტ პეტრე სოლიარსკის ცნობით, ქალდეველთა კასტური ოლიგარქია მოიცავდა ბაბილონის (შუმერის) და ეგვიპტის ქურუმებს.. კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე(გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი“, ფსალ. 84,2).“(გაზ.:“ქალდეა“,№4, 2011 წელი, რედაქტორი აკადემია ,,ქალდეის“ პრეზიდენტი, პოეტი ვაჟა ეგრისელი).

ბ-ნ ვახანიას მთელი ეს პოზიციები, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქ-ნ ინწკირველის პოზიციების მიმდევრობა და მათი განგრძობაა. ასე რომ ამ პოზიციების დანერგვაზე ქართულ ცნობიერებაში საკმაოდ ადრე დაიწყო ზრუნვა საქართველოში გარკვეული ძალების მიერ, იქიდან მოყოლებული, როცა ცირა ინწკირველმა ქართული ეროვნული მოძრაობის შუაცეცხლში, საქართველოს დროშის ისტორიულ სახელწოდებაში: ,,გორგასლიან- დავითიანში“ , დავით ებრაელთა მეფის ამოკითხვა მოინდომა ქართველთა მეფის - დავით აღმაშენებლის სანაცვლოდ.

მკითხველის ყურადღება მინდა ამ განმეორებით მოხმობილ ფრაგმენტში, ავტორის კიდევ ერთ მსჯელობაზე მივაპყრო და შეკითხვა ისე დავსვა. ციტატის დასაწყისში ხომ გვითხრა ბ-ნმა ვახანიამ , რომ ბაბილონელი ქურუმების წინასწარმეტყველებით მოეწყოო ,,ბაბილონის ტყვეობა“, ბაბილონელებმა თავის საიდუმლო ნაწერთა გადასაცემად დაატყვევესო ებრაელები. ციტატის დასასრულს, იაკობს, ანუ ებრაელებს დაუტყვევებიათ ქალდეველები. უფრო ზუსტად: ,,ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე!“- წერს ბ-ნი ვახანია. ვახანიას ამ წარმოუდგენელ უაზრო მსჯელობას თან ერთვის ციტატა ფსალმუნიდან, როგორც დადასტურება მისივე გამოგონილი უაზრო და ცრუ ნათქვამისა, რომ ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს და გახდა იაკობის ტყვე:

,,გთნდა, უფალო, ქვეყანაი შენი, მოაქციე ტყვეი იაკობისი.“ ამ დალოცვილ ვახანიას არც ქართული სცოდნია და არც აზრის გაგების უნარი ჰქონია. ფსალმუნში, როგორც ცნობილია, ყველა საგალობელი უფლისადმი დავითს არ ეკუთვნის, მაგრამ ყველა დავითისეული სულისკვეთებისაა, რელიგიურადაც და ეროვნულადაც. ეს სტრიქონი სრულიად აშკარად ბაბილონის ტყვეობის დასასრულს ეხება და ამდენად დავით წინასწარმეტყველისაც ვერ იქნება, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ უფლისადმი ვედრებაში მადლიერებაა გამოხატული იმის გამო , რომ უფალმა მოაქცია, ანუ უკან დააბრუნა მისი ხალხი, იაკობის ხალხი, იაკობის ტყვეები. უფლისეულ ქვეყანაში იგულისხმება ,,ისრაელი“, საიდანაც ბაბილონელებმა წაიყვანეს ტყვედ ისრაელიანები, ანუ იაკობის შთამომავლები. უყვარდა უფალს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი. ,,იაკობის ტყვეები“ ეს ებრაელი ხალხია, დამატყვევებლები იაკობის ხალხისა, ანუ იაკობის ტყვეებისა, ბაბილონელები, იგივ ქალდეველები არიან და არა იაკობი - ქალდეველებისა. ,,გთნდა, უფალო! ქუეყანაი შენი...“ - მიმართავს საგალობლის ავტორი უფალს: ,, გესათნოებოდა რა, გიყვარდა რა , შენი ქვეყანა...“ როგორც ცნობილია, ბიბლიაში, არაერთგზის მიმართავს უფალი ებრაელ ხალხს , როგორც თავის საკუთარ ხალხს, თავის ამორჩეულ ხალხს, და აქედან გამომდინარე, ქვეყანაც მისი საკუთარი ხალხისა, მისი ქვეყანაა. აქ ,, ქვეყანა“, ფაქტიურად ,, ხალხსაც“ ნიშნავს, რამდენადაც ,,ქვეყანაში“ ყოველთვის იგულისხმება მიწა-წყალი თავისი ხალხით.

ფსალმუნი ასე იწყება: ,,გესათნოებოდა რა შენი ქვეყანა ,უფალო, დააბრუნე(კიდეც უკან) ტყვეობაში მყოფი მოდგმა იაკობისა“... (შემდეგ ასე გრძელდება ეს ფსალმუნი: ,,აპატიე დანაშაული შენს ხალხს, დაფარე ყველა მისი ცოდვა...“ და ა. შ.)

ბ-ნ ვახანიას გაგებით ამ სტრიქონში ნათქვამია,რომ

,,ქალდეველთა კასტის ცოცხალი მემკვიდრე, ერთადერთი მემკვიდრე ქართველი ხალხია. ღვთის ამ თავზარდამცემი საიდუმლოსთვის ქალდეველთა მოდგმა დაემონა ებრაელებს, გახდა იაკობის ტყვე“. ჯერ ერთი რატომ არის და ვისთვის არის თავზარდამცემი საიდუმლო ის, რომ ქალდეველთა ერთადერთი ცოცხალი მემკვიდრე ქართველი ხალხია, ავტორის მსჯელობაში გაურკვეველია, და მეორეც, რატომ უნდა დამონებოდა ამისათვის ქალდეველთა მოდგმა ებრაელებს, და რატომ უნდა გამხდარიყო იაკობის ტყვე? არანაირი ლოგიკა ამ მსჯელობაში არ არსებობს. ერთადერთი, რაც ამ გაუგებრობის კორიანტელში იკითხება, ეს არის ავტორის დაინტერესება , ამოიკითხოს ქალდეურისა და ებრაულის ისტორიულ ურთიერთმიმართებაში ებრაულის უპირატესობა, ქალდეველთა მხრიდან აღიარება ებრაელთა უპირატესობისა, დათმობა ებრაელთათვის თავიანთი მონაპოვარი სიბრძნისა, ნაწერებისა, ენისა, საკაცობრიო მისიისა და ფაქტიურად ყველაფრისა...

ყოვლად გასაოცარი თანაც ის არის, რომ ყველაფერ ამას, რასაც ბ-ნი ვახანია იგონებს, ანუ ,,თითხნის“, ასაღებს როგორც ინტერპრეტაციას ბიბლიური პასაჟებისას, რომლებშიც, როგორც დავინახეთ, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არაფერი მსგავსი არ წერია. პირდაპირ რომ შევაფასოთ, საშინელი ავანტიურიზმია ჩადენილი, მაგრამ არა მხოლოდ უმეცრებით და უნებურად, აშკარად გამიზნული ტენდენციით, და ცხადია, ისმის კითხვა: რა ძალა ადგას ამ უბედურ ვახანიას და რისთვის იგდებს ხათაბალაში თავს? ან თვითონ ან მისი დამკვეთი?

ამ დეტექტივის ავტორს, ან ამ დეტექტივის დამკვეთს მიაჩნია, რომ დღევანდელი ქართველი ხალხი გამოთაყვანებული და გაუნათლებელი ხალხია და მისი, ამ ხალხის დაქირავება ფულით და მის ტვინში ამ დამქირავებლისაგან ნებისმიერი ინფორმაციის ჩათესვა ისეთივე მარტივი შესაძლებლობაა, როგორც დაქირავება ვიღაც უბირი სუროგატი დედისა, საქართველოში, ამერიკელი გეებისათვის, და ყოველივე ამის გამოცხადება ევრომამერიკული ზეჰუმანისტური ეთიკის გამოვლენად. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება საქართველოს ეკლესიას ვახანიას ჭკუაზე წაიყვანს და რაზეც გინდა იმაზე მოაწერინებს ხელს. ამ დეტექტივის ავტორს მიაჩნია, რომ ის, რასაც ქალბატონი დენიზა სუმბაძე წერს, თავად საქართველოს ეკლესიის მიერ იქნება გაუფასურებული, რადგან პატიმარ ვახანიას დეტექტივის უკან დიდი ალბათობით საქართველოს ხელისუფლება დგას, ხოლო ქ-ნ დენიზა სუმბაძის უკან დგას მხოლოდ ისტორიული სიმართლე ქალდეველთა დიადი სიბრძნისა, რომელიც დღეს არავის სჭირდება და მხოლოდ თითოოროლა მეცნიერს, რომლებიც, ქ-ნ სუმბაძის გვერდით დგანან, როცა მოისურვებს, მაშინ გააჩუმებს სახელმწიფო, ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ავტორიტეტის, საქართველოს ეკლესიისავე მხარდაჭერით! საპირისპიროდ ბ-ნ ვახანიას აღმოჩენებისა, ვითომ ქალდეველებმა თავიანთი უპირატესობა ებ-



რაელებს დაუთმეს, ვითომ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მსოფლიო ბატონობა იწინასწარმეტყველეს და ამიტომ მთელი ქალდეური სიბრძნე და ნაწერნი მათ გადასცეს და მათ დაუთმეს, ვითომ ბაბილონის მიერ მთელი ებრაელი ერის ტყვედ წასხმა ამისთვის მოაწყვეს, და ა. შ. ქ-ნ დენიზა სუმბაძეს თავის კვლევაში სრულიად საპირისპირო თვალსაზრისები აქვს წარმოდგენილი. ეს თვალსაზრისები დღევანდელი ქართველი ერის წინაპარი ხალხის, ქალდეველების ღირსებისა და დამსახურების წამოწევისა, დღევანდელი ქართველი ერის ფენომენალური რაობის ღირსებისა და დამსახურების წამოწევასაც ნიშნავს. და სრულიად უნებურად, ყოველგვარი პოლიტიკური მიზანდასახულობის გარეშე, შეიძლება თავისუფლად ითქვას, ღვთის განგებით, ქ-ნი დენიზა სუმბაძე მშობლიური ხალხის ისტორიულ წარსულში ჩაღრმავებით, როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი შემმეცნებელი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლის გვერდს ქართველთა წინაპარი ქალდეველი ხალხისა და ებრაელი ხალხის ისტორიული ურთიერთმიმართების შეფასებას, იმ ურთიერთმიმართების ისტორიას, რომელსაც , ფაქტიურად მთლიანად მოიცავს კაცობრიობის ისტორიის ისეთი კომპეტენტური წმინდა წიგნი, როგორიც ბიბლიაა. ბიბლია ფაქტიურად ეს არის ქართველთა და ებრაელთა ურთიერთმიმართების ქრისტესწინარე ისტორია, რომელიც გასაიდუმლოებულია მთელი კაცობრიობისათვის სწორედ ქალდეველთა და ქართველთა ისტორიული იგივეობრიობის მიჩქმალვით. და ამ მიჩქმალული მიმართების ჩვენეული შემეცნება - შეფასება და ყოველივე ამის წამოწევა ჩვენი ეროვნული ცნობიერების ჭრილში, ქალდეველთა უპირატესობისა და ებრაელი ერის დანაშაულებრივი ისტორიის მხილება ქალდეველთა მიმართ, გვიხდება იმ დროს, როცა ებრაელი ხალხი მსოფლიო ასპარეზზე გამოდის, როგორც პრეტენდენტი მსოფლიოს ახალი იმპერიის შექმნისა და მსოფლიოს მართვის. როცა რუსეთის უდიდესი იმპერიის დაშლა ხორციელდება ებრაულ-მასონური ,,პერესტროიკის“ გზით, ხოლო ,,ევროპის კავშირი“ იქმნება ევროპის ქვეყნების ებრაულ-მასონური გაერთიანებით. უფრო მეტი: როცა ებრაელ ხალხს, მოპოვებული აქვს ისეთი დიდი ზესახელმწიფოს მფარველობა, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, მოპოვებული აქვს მსოფლიო ხალხების თანადგომა, როგორც უსამართლოდ დევნილსა და წამებულ ერს, და ნებისმიერი ადამიანური, გნებავთ მეცნიერული კრიტიკული დამოკიდებულებაც კი შეიძლება შეფასდეს როგორც ანტისემიტიზმი, მოპოვებული აქვს მსოფლიოს ფინანსური კაპიტალი და გავლენა თითქმის პლანეტარულ სახელმწიფოებრივ კონტიგენტზე, და რაც მთავარია, ჩვენი, ქართველი ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფო მანქანა ხელში აქვს ჩაგდებული: რადგანაც მანქანის საჭესთან ე. წ. ,,თავისუფლების ინსტიტუტი“, ანუ დიდი სიონისტი ,,ჯორჯ სოროსი“ ზის, ქართველი ხალხისავე არჩეული...

და მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ინფორმაციული გასხივოსნება ქართველი ხალხის ცნობიერებისა, და რეალური აღქმა დღევანდელი რეალობისა, როგორც ისტორიული შედეგი ებრაელ მასონთაგან სინამდვილის დამალვისა და ქართველი ხალხის მომწყვდევისა სახელმწიფო დამოუკიდებლობის იდეით მოტყუების გზით ებრაულ-მასონურ ალყაში, განათება ქართული გონისა ამ უმძიმესი ჭეშმარიტების ცოდნით, მისი ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი იდეოლოგიის გაუცნობიერებელი მიღებით, ჩემი რწმენით, იქნება თვითგამორკვევა ჩვენი განსაცდელის რაობის, ალბათ თავზარდამცემიც, მაგრამ არნახული ძალის მომნიჭებელიც, ჩვენი ეროვნული ღირსების დასაცავად და წარმოსაჩენად, ქართველი ერის ეროვნული მეობის, მისი კეთილშობილური თვითმყოფადობის გასაბრწყინებლად, ებრაულ-მასონური მსოფლიოს ახალი წესრიგის სიბნელიდან კაცობრიობის გზის გასანათებლად და გამოსაყვანად.

,,ვაი მე! ხიზანი ვარ მეშექისა!“, გოდებს დავით წინასწარმეტყველის სახელით ებრაელი ავტორი 120-ე ფსალმუნისა. ბიბლეისტიკაში აღიარებულია, რომ ეს ფსალმუნი ბაბილონის ტყვეობის დროს არის შექმნილი და ,,მეშექნი“ ბაბილონელები არიან. ფსალმუნის ამ სტრიქონით ბაბილონელები ანუ ქალდეველები მოიხსენიებიან მესხებადაც, რამეთუ მეშექნი,ბიბლიური წარმოთქმით, არიან

14 gv.

13 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

იგივე „მესხნი“, სისხლხორცეული წინაპრები ქართველი ხალხისა, თანამედროვე და დღესაც ცოცხალი მესხური ტომებისა.

ბაბილონის ტყვეობა იყო რევანში ქალდეური დიდი უპირატესობის გრძნობისა ებრაელთა მიმართ. ბაბილონელმა, ანუ ქალდეველმა მოგვებმა ებრაელთა მომავალი კი არ იწინასწარმეტყველეს, არამედ ქრისტეს მოვლინება იწინასწარმეტყველეს, და პირველებიც ჩავიდნენ იერუსალიმში ვარსკვლავის გზით ქრისტესშობის სახარებლად და მესიის თაყვანისსაცემად ბეთლემს. რაც ნამდვილად არ ნიშნავდა ებრაელთა უპირობო მომავალს. ქრისტეს ვერმიწვდომით მათ, ებრაელებმა დაკარგეს ისიც, რაც ჰქონდათ და რაც მიეცათ ღვთისაგან: შესაძლებლობა, შანსი ქრისტეს აღიარებისა საკუთარი სჯულის დასასრულად და დაგვირგვინებად, როგორც ამას პავლე მოციქული განმარტავს. ქალდეველთა სიბრძნის მემკვიდრენი და ჭეშმარიტი მფლობელნი რომ ყოფილიყვნენ ებრაელები, მაშინ ჯვარზე კი არ გააკრავდნენ ქრისტეს, არამედ თვითონ იქნებოდნენ „მესიის მახვილნი“.“მესიის მახვილნი“ ღვთიური წილხვედრით ისტორიულად აღმოჩნდნენ ქართველნი, ქალდეველთა სისხლხორცეული მემკვიდრენი, რომელთაც საკუთარი ქრისტიანული ისტორიის ორიათასწლეულის მანძილზე ღირსეულად აღასრულეს თავიანთი მისია „მესიის მახვილისა“ და ღირსეულად დაიმკვიდრეს წოდება“თავისი უფალივით ჯვარცმული ერის“. ეს წოდება მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილებაა.

დიახ! ჩვენ ნამდვილად მიგვაჩნია, რომ ქრისტიანობა ზოგადქალდეური მოვლენაა. რომ ქრისტეს მოვლინებაც და ქრისტიანული მოძღვრების დაბადებაც, ეს იყო ქალდეური ცნობიერების ვულკანური ამოხეთქვა იუდეაში, და ქალდეური ცნობიერების საკაცობრიო გამარჯვება. ქ-ნ დენიზა სუმბაძის თეოლოგიურ კვლევაში გაიშიფრა ისიც, რომ ქრისტესშობის მახარობლებიცა და ქრისტესჯვარცმის ჭირისუფლებიც ქალდეველი მოგვები არიან:პირველნი „აღმოსავლეთიდან“ ჩასულნი იერუსალიმის ბეთლემს, ხოლო მეორენი, ჩასულნი იერუსალიმსმცხეთიდან... ეს კი ნამდვილად თავზარდამცემი საიდუმლოა კაცობრიობისა, რომელიც თვით არქიმანდრიტმა პეტრე სოლიარსკიმაც არ იცის(იხ. გაზეთი: „ივერია“,2003 წლის დეკემბერი, ნიუ იორკი, ჟურნალი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, რედაქტორი ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ.№2, დენიზა სუმბაძე: „ გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“, 2012 წელი, თსუ არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი).

### ეკლესიური „ხელისკვრა“ და ეროვნულ-მეცნიერული თვალსაზრისების გაძევება

დღევანდელი გადასახედიდან, ჩემთვის უკვე სრულიად ახალ ინტერპრეტაციას და მნიშვნელობას იძენს ჩემი განთავისუფლების აქტი საქართველოს საპატრიარქოს პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან სწორედ 1990 წელს. სწორედ დღევანდელი გადასახედიდან ხდება ნათელი, რომ ამ დროისათვის უკვე დოკუმენტურად არის სახეზე პრო-სიონისტური ტენდენციების დანერგვის მცდელობა საკუთრივ ქართულ სამეცნიერო კვლევებში. 1990 წელს, ცამოწმენდილზე ჩემი გათავისუფლება საპატრიარქოს პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან ეს უკვე ჩემი მეორე გათავისუფლებაა ეკლესიური მსახურებიდან , დიდხანს აუხსნელად დარჩენილი ჩემთვის. ამჯერად, ჩემი ამ მეორე გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი ხდება ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნება რადიო - გადაცემებად გახმაურებული ჩემი სამეცნიერო ნაშრომისა: “მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართება“. საქართველოს პატრიარქის , მისი უწმიდესობის, ილია მეორის მიერ იწერება ბრძანება ჩემი გათავისუფლებისა, ჩემი ყოველგვარი საქმის კურსში შეყვანის გარეშე და მისი უწმიდესობის კურთხევით საქართველოს საპატრიარქოს სახელით იგზავნება წერილი ჟურნალ „ხელოვნების“ რედაქტორთან, ბ-ნ ნოდარ გურაბანიძესთან საუწყებლად იმისა, რომ ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ნაშრომის - „მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“ - ავტორის შეხედულებებს საპატრიარქო არ იზიარებს. ამავდროულად ბ-ნ გურაბანიძეს ეძლევა დავალება, რომ ეს უწყება გამოქვეყნდეს ჟურნალ „ხელოვნებაში“ საპატრიარქოს განცხადების სახით. როდესაც მთელი ეს ინფორმაცია ჩემამდე მოიტანეს ახლობლებმა, ჩემთვის ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ თვით საპატრიარქოს იმდროინდელი მდივანი, დავით ცისკარიშვილი, ვისი ხელითაც საპატრიარქოს სახელით განცხადება იქნა მიტანილი ბ-ნ ნოდარ გურაბანიძესთან, ვერ მაჯერებდა, რომ ეს ყველაფერი მართალი იყო და მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით სრულდებოდა. საქართველოს პატრიარქის თანაშემწე, ქ-ნი შ. თეთრუაშვილი, რომელიც ორგანიზატორობდა ჩემს გათავისუფლებას საპატრიარქოს პატროლოგის თანამდებობიდან, უცებ დაუფარავად მიცხადებს, რომ იგი აღშფოთებულია ჩემი ნაშრომით. საქმის გასარკვევად მისულმა პატრიარქისაგან ისიც შევიტყვე, რომ თურმე მთელი ქალაქი ყოფილა აჯანყებული ჩემი ნაშრომის მიმართ, ანუ ჩემი რადიო - გადაცემებით, რომელიც ჟურნალ „ხელოვნებაში“ , ჟურნალის რედაქტორის მიწვევით, გამოქვეყნების პროცესში იყო, და, რაც მთავარია, ყველაფერი თურმე იქიდან დაწყებულა, რომ პირადად პატრიარქის მდივანი- ქალბატონი, მისი აღმატებული წმინდა თეოლოგიურ - დოგმატური აზროვნება მოსულა აღშფოთებაში. როგორც პირადად განმიცხადა, მე ჩემი ნაშრომით შეურაცხოფა მიმიყენებია ეკლესიისათვის და პირადად მისთვის. მიჭირს, პატივცემულო მკითხველო, ეს წლებით დათმენილი უბედურება გაგიმხილოთ. მიჭირს გაგიზიაროთ, რაოდენ გაოგნებული თვითმხილველი გახლდით ჩემთვის წარმოუდგენელი რეალობისა: ქ-ნ თეთრუაშვილის აზრი ჩემს ნაშრომზე მისი უწმინდესობისათვის საეკლესიო კანონის მნიშვნელობისა იყო... ჩემი თავზარდაცემული აღშფოთების დაფარვა კი იმდენად შეუძლებელი იყო ჩემგან მისი უწმინდესობის წინაშე,, რომ მისი უწმინდესობა იძულებული აღმოჩნდა ჩემი განთავისუფლება საპატრიარქოს პატროლოგის თანამდებობიდან მცირე ხნით შეეყოვნებინა და რედაქციაში გაგზავნილი განცხადებაც შეეჩერებინა, მაგრამ ეს დაყოვნება დიდად არ გაჭიანურებულა. ერთ მშვენიერ დღეს, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომარე თავად პატრიარქისა და მისი თანაშემწის, ქ-ნ თეთრუაშვილის მიერ ერთობლივად მეუწყა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, რომ სახელშეკრულებო სამუშაოზე ვიყავი გადაყვანილი, ანუ განთავისუფლებული ვიყავი საქართველოს პატრიარქის პატროლოგ-რეფერენტის თანამდებობიდან...

-„თქვენ არაფერს არ აკეთებთ თქვენი ღირსების დასაცავად... ფილოსოფიურად ცხოვრობთ. ერთხელაც არ დაგირეკიათ ჩემთვის“ - მეუბნება 1974 წლის ჰაპანაქება ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ცნობილი მწერალი და მკვლევარი, ბ-ნი აკაკი გაწერელია, სრულიად მოულოდნელად შეხვედრილი ზღვის პირას, ლიძავაში, გამსახურდიების აგარაკის წინ. ბატონი აკაკი მარტო არ იყო. ვიღაც ახლდა. ვერ გავიგე, რას მეუბნებოდა:

“-მაპატიეთ, ბ-ნო აკაკი, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ უნდა დამერეკა-მეთქი თქვენთვის“.

-„როგორ, თქვენ არ იცით, რომ თქვენი შრომის რეცენზირება ცეკადან მე დამევალა? თქვენი განთავისუფლების საკითხი დგას ფილოსოფიის ინსტიტუტიდან. დიახ. მე უკვე გადავეცი ჩემი რეცენზია. ჩემს ბიოგრაფიაში ამას როგორ ჩავწერდი, რომ დენიზა სუმბაძე ჩემი რეცენზიით მოეხსნათ ფილოსოფიის ინსტიტუტიდან. „ასეთ კადრებს გაფრთხილება უნდათ“.-მეთქი. მინდა იცოდეთ, ასე თავდება ჩემი რეცენზია.“

საქმე იმ დროის საზოგადოებაში გახმაურებულ ჩემ შრომას ეხებოდა:“ დიონისე არეოპაგელი და დანტე ალიგიერი“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ “მაცნეში“ გამოქვეყნდა. ხელისუფლების შეშფოთება ჩემი, როგორც შრომის ავტორის რელიგიური აზროვნებით იყო გამოწვეული და დღეს შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ხელისუფლებას ნამდვილად ჰქონდა ამის საფუძველი, მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც გიცავდნენ და გიფრთხილდებოდნენ...

ქართული საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ 1979-80 წლებში ლოცვა-კურთხევა მომეცა მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქისაგან, რომ როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერს მცხეთის სასულიერო სემინარიაში წამეკითხა ლექციების კურსი თემაზე: ქრისტიანული თეოლოგიის ბერძნულ ფილოსოფიური საფუძვლები, რისთვისაც ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ინსტიტუტის დატოვება მოითხოვა ჩემგან, როგორც ჩანს, ხელისუფლების დავალებით, რადგან იმ დროის ხელისუფლების პირველი პირის, შევარდნაძის თანაშემწის, ბ-ნ ლადო ალფენიძისაგან კეთილისმყოფელი რჩევით, თუ ამ ნაბიჯისათვის მონანიების განაცხადს არ დავწერდი შევარდნაძის სახელზე, ამოქმედდებოდა ჩემს წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანა და ჩემი პიროვნებისგან აღარაფერი არ დარჩებოდა... ჩემი ბედისწერით, თუ ღვთის განგებით, მე უნდა მენახა ყველაზე საშინელი სახე ამ მანქანის... ეკლესიით შენიღბული მანქანის. ვაღიარებ, რომ ჩემს გამოკვლევას, „ მიდმოგონებანი დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, სამეცნიერო შრომის პრეტენზია აქვს და სრულიად ცალკე დგას ამჟამინდელი ეკლესიური დოგმატებისაგან, მაგრამ ეს „ცალკე ყოფნა“ ნიშნავს დოგმატებში ჩაღრმავებას და ეკლესიის უდიდესი მამების მიერ მოპოვებული თეოლოგიური პრინციპების ამოკითხვას ახალი რაკურსებით. ჩემი მიზანი , რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართების კვლევაში, არც იყო, გამესამართლებინა ან რუსთაველი, ან ანტონ კათალიკოსი. ჩემი მიზანი იყო ამეხსნა ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილი ამ დაპირისპირების მიზეზი და საფუძველი და გამეანალიზებინა შესაბამისობა თვითეული მხარისა ეროვნულ პრინციპებთან. ამ თვალსაზრისით დღესაც მიმაჩნია რომ რუსთაველი უფრო ეროვნულიც არის და უფრო ახლოსაც დგას ქრისტესთან, ვინემ ეკლესიური დოგმატები, რომლებშიც ძალზე დიდია გავლენა იუდაიზმისა. ღრმად დარწმუნებული ვარ, მესამე ათასწლეულით მსოფლიო ქრისტიანობა წარიმართება რუსთველური ქრისტიანობის გზით. საჭიროდ და საინტერესოდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ წლების შემდეგ, საქართველოს ეკლესია მოწამეთელი მოძღვრის, მამა გიორგი ბასილაძის ქადაგებებით იწყებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ეკლესიური სულისკვეთებით წარმოჩენას, რის გამოც გაურკვევლობაში ჩავარდნილი ცნობილი ჟურნალისტი, ეთერ კასრელიშვილი, ამ და კიდევ სხვა, ძალიან ჩემეული პრობლემების ირგვლივ ინტერვიუს იღებს ჩემგან და განმარტებას ითხოვს ჩემგან: როგორ ხდება, რომ ის საკითხები, რომლებზედაც მე წლების წინ მეცნიერების ენაზე ვსაუბრობდი, და მიულებელიც გახლდით ჩემი თვალთახედვების გამო, ამჯერად შიგ ეკლესიაში, ამასთან ესოდენ გახმაურებული მოძღვრის, მოწამეთელი მამა გიორგი ბასილაძის საჯარო ქადაგებათა თემები ხდებიან, იმავე მიმართულებითა და იმავე სულისკვეთებით გააზრებულნი?! (იხ. დანართი:ეთერ კასრელიშვილის ინტერვიუ...) მაგრამ ესეც არ არის მთავარი ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებულ თავდასხმაში. ჩემს გამოკვლევაში წამოყენებულ ყველა პრობლემაზე გვერდის ავლით ჩემი მთავარი ბრალმდებლის, საპატრიარქოს თეოლოგიური მეტრის, ქ-ნ თეთრუაშვილის მიერ საგანგაშოდ რეკლამირებული აღმოჩნდა ჩემეული ქადაგება დედა უფლისა, როგორც სულიწმინდის პიროვნული შინაარსის. დღევანდელი გადასახედიდან, ჩემს თვალში, ეს ფაქტი უსათუოდ იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, რადგან ჩემეული გაგება დედაუფლისა, როგორც სულიწმინდის დედურობისა, ამასთან ყველა ჩემს ნაშრომში, ქრისტიანობას რადიკალურად მიჯნავს ძველი აღთქმისაგან და იუდეური თეოლოგიისაგან:

„ქრისტიანულმა თეოლოგიამ - ვწერ ზემოთ მითითებულ ჩემს ნაშრომში:“მიდმოგონებანი... დედათა მონასტერზე, ანუ რუსთაველისა და ანტონ კათალიკოსის მსოფლმხედველობრივი ურთიერთმიმართებისათვის“ - ადამიანურმა შემეცნებამ იმ ცივილიზაციისამ, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ზეცაშივე ჩაახშო და დაფარა დედურობა სულიწმინდური საწყისისა, დაფარა პიროვნულობა დედურობისა მისი ზეპიროვნული არსის გამო, რითაც მამაღმერთი, ვითარცა შემოქმედი ქვეყნიერებისა, დატოვა ზეცაში მარტო, არმესაჭიროე ქვეყნიერების შექმნაში დედური საწყისის თანხლებისა და თანამონაწილეობისა. (მაშინ როდესაც) ქვეყანაზე არ არსებობს დედობა უმამობოდ და მამობა უდედობოდ, მაგრამ იუდეური ღვთისმეტყველებით, არსებობს. იუდეური ღვთისმეტყველებით იდეალი დედურ-მამური ქვეყნიერების შემოქმედისა არის მარტო მამა. ქვეყნიერებას თავისი გამჩენი დედა არა ჰყავს. და ამ განმარტოებული ყოფით მამური საწყისისა, ვითარცა მამაღმერთის, ქრისტიანობამ, სულიწმიდის დედურობის ახსნის გარეშე, ნიშნავს, რომ ზეცაშივე დაუშვა იდეალი დედაკაცისა და მამაკაცის განცალკევების. ზეცაშივე განხეთქა უღელი მათი განუყოფელი ერთად ყოფნისა და სიყვარულის შემოქმედებით ძალად განცდის. სამყაროს შექმნისა და ქვეყნიერების მართვის უღელში შეაბა განმარტოებული, „მოწყენილი ადამი“, საკუთარ მეორე ნახევარს ჩამოჭრილი და დაჭირვებული, და ვერ მიხვდა, რომ ამით განსაცდელში ჩააგდო ქვეყნიერებაცა და ადამიც, რომელიც ღმერთმა ქვეყნიერებისათვის ევასთან განუყრელად შექმნა. ასე დაკარგა ქრისტიანობამ უკვე თავისი მსოფლმხედველობის დასაწყისშივე, თავის ზეციურ იდეალშივე, ადამისა და ევას სიყვარული....“ (გვ.29)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი



# კაცი, რომელიც ოთხი ცხოვრებით ცხოვრობს

**90-იანი წლების დასაწყისში, როცა ქვეყანაში სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო, დაუძახეს, კერძო კოლეჯში ფიზკულტურის მასწავლებლობისთვის „მეფური“ ხელფასი – 900 დოლარი შესთავაზეს. მას სხვა არჩევანი არ ჰქონია და 15 წლის ვაჟთან და მეუღლესთან ერთად საქართველოდან წავიდა.**

**ასე აღმოჩნდა ავსტრალიაში ვიქტორ სანეევი – მეხიკოს, მიუნხენის, მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი და მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ორჯერ ევროპის, რვაჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და სამგზის მსოფლიო რეკორდსმენი სამხტომში. მას შემდეგ, უკვე ოც წელზე მეტია, სიდნეიში ცხოვრობს და თავის მდიდარ სპორტულ გამოცდილებას ავსტრალიელ მოზარდებს უზიარებს, ცდილობს, მათ შორის მოძებნოს ისეთები, რომლებსაც განებივრებული ცხოვრება ხელს არ შეუშლით, სპორტში თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია დაინახონ. ჯერჯერობით, ასეთს მხოლოდ ერთადერთს მიაგნო, რომელსაც კარგი სპორტული შედეგები ჰქონდა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე არ ეყო, სამხტომს თავი დაანება და იოლი ცხოვრება არჩია: „არ უნდათ და მოკალი თუ გინდა! იქ მიდიან, სადაც უფრო მეტი ფული იშოვება“, – ამბობს იმედგაცრუებული ვიქტორ სანეევი.**

**„ახლა მეოთხე ცხოვრებით ვცხოვრობ. ჯერ იყო ცხოვრება დიდ სპორტამდე, შემდეგ ოც წელზე მეტი პროფესიულ სპორტში ვიყავი, მოსკოვის ოლიმპიადის მერე ეგრეთ წოდებული საბჭოური ცხოვრება მქონდა, ახლა კი ავსტრალიური“.**

ვიქტორ სანეევის პირველი ოფიციალური შეჯიბრება, რომლითაც დაიწყო მისი პროფესიული სპორტული კარიერა, გზა ოლიმპიური კვარცხლბეკისაკენ, 1962 წლის სოხუმის სტუდენტთა ტურნირი იყო. მას შემდეგ უამრავ სარბიელზე გამოვიდა, ვიდრე საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი გახდებოდა. გზადაგზა პირად რეკორდებს ამყარებდა, მაგრამ...

ერთხანს სპორტისთვის თავის დანებებაც უნდოდა, რადგან მძიმე ტრავმამ ფორმის აღდგენის საშუალება არ მისცა. ისე დაებედა, რომ ყველა საპასუხისმგებლო შეჯიბრის წინ, განსაკუთრებით კი ოლიმპიადებზე, მას ყოველთვის თავს ახსენებდა ტრავმები:

**„ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სრულად ჯანმრთელი და სტარტისთვის ფიზიკურად სრულფასოვანი არასდროს ვყოფილვარ. მიუხედავად ყველაფრისა, უბედნიერესი კაცი ვარ – საყვარელ სახეობაში ყველა ოცნება ავიხდინე!“**

### ოც წელზე მეტი პროფესიულ სპორტში

სპორტულ ასპარეზობებს ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, 1967 წელს დაუბრუნდა.

**„მეც და ჩემი მწვრთნელიც უსაშველოდ ვღელავდით, თუ როგორ დავუბრუნდებოდი სახტომ სექტორს. ყოველი ტრავმა, მით უფრო ისეთი მძიმე, როგორიც მე მქონდა (კოჭ-წვივის სახსრის, ტერფის მადეფორმირებელი ართროზი), ფსიქოლოგიური ტრავმაც არის...“**

პირველი შეჯიბრება წარმატებით დაასრულა და იმ წელს იმდენ ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ისეთი შედეგებით დაასრულა, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც აიყვანეს.

ვიქტორ სანეევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სწორედ 1967 წელი – მეხიკოს 1968 წლის წინასაოლიმპიადო სამზადისის პერიოდი, რომელმაც სპორტული ხასიათიც ჩამოუყალიბა და მეხიკოს ოლიმპიადისკენ გზაც გაუკვალა. კიდევ სამ ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას, ზედიზედ სამჯერ გახდება სამი ოლიმპიადის ჩემპიონი, ყველა ასპარეზობას დაძაბული პაექრობის შემდეგ მოიგებს, მაგრამ შეკითხვაზე, რომელია მათ შორის მისთვის ყველაზე დიდი წარმატება, ამბობს:

**„მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება. კარიერის განმავლობაში სამხტომელთა ბილიკზე ყველაზე დიდი, უშეღავათო და მძაფრი ბრძოლა სწორედ იქ გადავიტანე. 17 მეტრი და 39 სანტიმეტრი გადავლახე და ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო რეკორდსმენის ტიტული მოვიპოვე. მახსოვს, სახტომ ბილიკზე, ჰაერში შევამჩნიე, რომ რეკორდის აღმნიშვნელ ალამს გავცდი. ქვიშაში ამოსვრილი ვფიქრობდი, ნუთუ გავიმარჯვე-მეთქი. ეს იყო ნამდვილი სპორტული ფეიერვერკი, მარტო ის რად ღირს, რომ იმ პაექრობის დროს 5-ჯერ დამყარდა მსოფლიო რეკორდი! ოქროს რეკორდით მოვიგე!“**



სპორტი ყოველთვის დიდ სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებდა. მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდა, თუმცა ყოველი ახალი გამარჯვება წინაზე ძნელად მოდიოდა. მატერიალურ კეთილდღეობაზე არასდროს უოცნებია, ყოველთვის სპორტული შედეგები იყო მისთვის მთავარი. გამარჯვებების შემდეგ კვარცხლბეკიდან ჩამოდიოდა და მომავალ ასპარეზობაზე ფიქრს იწყებდა.

**„მიუნხენის ოლიმპიადის წინ გუნებაში ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებაზე ვფიქრობდი, მაგრამ გაზაფხულზე პირველსავე საერთაშორისო შეჯიბრებაზე კვლავ მიღალატა ფეხმა. წინ უამრავი ტურნირი იყო, მოგებაზე ვინღა ფიქრობდა. ტრავმა – აი, რა მქონდა საფიქრალი... ოლიმპიადის საგზური მქონდა, მის დაწყებამდე კი თვეზე ოდნავ მეტი რჩებოდა...“**

რუსეთში ნაკრების შეკრებაზე მყოფმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: **„შინ უნდა გავემგზავრო, დედასთან, ზღვასთან, მთებთან...“** და სოხუმში დაბრუნდა, მწვრთნელს კი შეუთვალა, თუ ყველაფერი კარგად იქნება, წინასაოლიმპიადო შეკრებაზე ორი დღით ადრე ჩამოვალ, თუ არადა, ნუღარ დამელოდებითო.

**„ახლაც ვერ გეტყვით ზუსტად, რამ მიშველა ყველაზე უფრო: დედის სასწაულმოქმედმა მალამომ, სრულად დასვენებამ თუ მოშუშებულმა ტრავმამ, მაგრამ ორიოდე კვირაში, რომელიც მე სოხუმში გავატარე, ვიგრძენი, რომ წესრიგში ვიყავი. ფეხი ცოტ-ცოტა, რა თქმა უნდა, მტკიოდა, მაგრამ მსგავს ტკივილს შეჩვეული ვიყავი. მოსკოვში რომ დავბრუნდი, მწვრთნელმა მკითხა, როგორ ხარო, ვუპასუხე, მშობლიური სოხუმის მიწის მადლმა განმკურნა-მეთქი“.**

1972 წელს მიუნხენშიც შეუპოვრად იბრძოლა, მართალია, რეკორდი ვერ დაამყარა, თუმცა სამხტომის ისტორიაში მესამე შედეგი – 17 მ და 35 სმ აჩვენა და ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. ამ გამარჯვებისთვის ვიქტორ სანეევს ლენინის ორდენი გადაეცა.

**„კრემლში ორდენის გადმოცემისას პირობა დავდე, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მონრეალის ოლიმპიადაში წარმატების მისაღწევად“.**



* * *

მსოფლიო რეკორდი მშობლიურ სოხუმში, მისივე სახელობის თასის გათამაშებაზე 1972 წლის 17 ოქტომბერს დაამყარა – 17,44 მ. ჟურნალისტების გამონაგონს უწოდებს იმ დროს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ეს იყო მისი საქორწილო საჩუქარი ახალშერთული მეუღლისთვის – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტის, აფხაზი ტატიანა ხვარწკიასთვის, რომელთანაც ამ რეკორდის დამყარებამდე ორი დღით ადრე იქორწინა და მათი დაოჯახება დიდი ქორწილითაც აღინიშნა.

**„როგორ შეიძლება ასეთი რამ – ვინმეს უთხრა, აი, ახლა გადავხტები და მსოფლიო რეკორდს დავამყარებო. ეს შეუძლებელია“.**

* * *

1976 წელს მონრეალში მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, მაგრამ შედეგით (17,29 მ) მაინც უკმაყოფილო იყო – ადრინდელი მაჩვენებელი ვერ გააუმჯობესა. მიუხედავად ამისა, იგი მესამე მძლეოსანი გახდა სპორტის ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ სამ ოლიმპიადაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული.

ოლიმპიური თამაშების შემდეგ საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო და ახალ მსოფლიო რეკორდზე ფიქრობდა, როცა ფეხზე ოპერაცია დასჭირდა. რამდენიმე თვეში ვარჯიშს დაუბრუნდა და თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მეექვსედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

**„დღეს უფრო მეტად ვღელავდი, რადგან არ მინდოდა თავი შემერცხვინა ჩემი ქალაქის გულშემატკივართა წინაშე, რომლებიც ასე მტკივნეულად განიცდიან თავისიანის წარუმატებლობას. ძალიან მოხარული ვარ, რომ ისინი არ გავაწბილე“,** – განაცხადა ვიქტორ სანეევმა ამ ასპარეზობის შემდეგ.

ამავე წელს გარდაეცვალა დედა. როცა მისი გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს, მთელი ღამე თეთრად გაათენა:

16 gv.

15 gv.

# კაცი, რომელიც ოთხი ცხოვრებით ცხოვრობს

„დედაზე ვფიქრობდი. გავიხსენე, როგორ გამაცილა მეხიკოში 1968 წელს. ვერ ეგუებოდა ჩემს შორეულ მგზავრობებს. იშვიათად მიდიოდა სოხუმიდან და რა გასაკვირია, რომ მექსიკა ცხრა მთას იქით ეჩვენებოდა...

ვიხსენებდი, როგორ ზრუნავდა, რომ შინ ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. ინსტიტუტიდან თუ სტადიონიდან დაბრუნებულს, ყველანაირად მიწყობდა ხელს, რომ კარგად დამესვენა... მიწესრიგებდა სპორტულ ფორმას — დედა ყოველდღე რეცხავდა და მიუთოებდა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არც იყო საჭირო... მას სურდა, სტადიონზე მისი შვილი არა მარტო ყველაზე ძლიერი, არამედ ყველაზე მოვლილი, ყველაზე სუფთა და ყველაზე ლამაზი ყოფილიყო! რა ენერგიას ხარჯავდა გემრიელი წვენების, ნახარშების, კომპოტების, მურაბების მომზადებაში! ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იტანჯებოდა ჩემთან ერთად, როცა ტრავმას ვიშუშებდი. მახსენდება მისი ბალახები, ნაყენები, სველი საფენები, კომპრესები... საათზე დახედვა არ მჭირდებოდა: დედას არასდროს ავიწყდებოდა ჩემთვის სახვევის გამოცვლა, წამლის დალევა, მასაჟის გაკეთების შეხსენება... ერთ მშვენიერ დღეს დედა წავიდა. სამუდამოდ. ყველაზე მეტად დედა მაკლია“.

მდგომარეობიდან თავის დაღწევა ისევ შრომით სცადა, ისევ ბილიკს დაუბრუნდა. წინ ხომ კიდევ ერთი ოლიმპიადა იყო, ამჯერად — მოსკოვში.

საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობა მოსკოვის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევის გამოსვლას სპორტულ სარბიელზე არ გეგმავდა.

**„არავის სჯეროდა ჩემი. საბჭოთა სპორტის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ ასაკის გამო შანსი არ მქონდა. ისე, მაღალჩინოსნებს არც გაემტყუნებათ — 35 წლისას მეოთხე ოლიმპიურ ოქროზე რომ გქონდეს პრეტენზია, თანაც, ფაქტობრივად, ხეიბარ კაცს, ამის წარმოდგენაც კი ძნელია, მით უმეტეს, სამხტომში“.**

გადაწყვიტეს, რომ სანეევის მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში ოლიმპიური ჩირაღდნის სტადიონზე შეტანით ამოიწურებოდა, მაგრამ მოგვიანებით მწვრთნელთა საბჭომ ნდობა გამოუცხადა. როგორც ბატონი ვიქტორი იხსენებს, 1980 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობა დიდად განაპირობა იმანაც, რომ საქართველოს წარმოადგენდა და რესპუბლიკის ყველა დონის ხელმძღვანელი დაინტერესებული იყო თამაშებში მისი მონაწილეობით.

**„თამაშების გახსნის დღეს სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი უნდა შემომეტანა და მეორე ოლიმპიური ჩემპიონისთვის, კალათბურთელ სერგეი ბელოვისთვის გადამეცა. ვერ წარმოიდგენთ, რა ძალასა და სულიერ მღელვარებას ითხოვს ეს ნებისმიერისგან. ეს დიდი პატივიცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. ჩემი ყოველი ნაბიჯი და გულისცემა მახსოვს. გააზრება იმისა, რომ ამ წმინდათაწმინდა ცეცხლით მორბიხარ ასი ათასი მაყურებლის, მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა თვალწინ, შენ შემოგცქერის ყველა კონტინენტზე მცხოვრები მილიარდი სპორტის მოყვარული, განუცდელ და სიტყვით აღუწერელ გრძნობას ბადებს — რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის მონაწილე ხარ. როდესაც სერგეის ჩირაღდანი გადავეცი, ისეთივე განცდა დამეუფლა, როგორიც უკანასკნელი ნახტომის შემდეგ მეხიკოში. სერიოჟაც უკიდურესად დაძაბული იყო. ჩირაღდანთან ერთად ჩემი თითებიც ჩაბღუჯა და ხელი ველარ გაშალა. ეს შეფერხება არავის შეუმჩნევია... კიდევ კარგი, ჩემი გამოსვლა ექვსი დღის შემდეგ იყო და ასეთი მღელვარების შემდეგ ძალების აღდგენას მოვახერხებდი“.**

ის, რაც მოსკოვის ოლიმპიადაზე ვიქტორ სანეევის ასპარეზობისას მოხდა, სპორტულ ჟურნალისტთა ერთმა ნაწილმა შეაფასა, როგორც „კრემლის შეთქმულება“ სამხტომელის წინააღმდეგ.

ვიქტორ სანეევს შეეძლო ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ ამის შანსი წაართვეს. სანეევის გამოსვლის დროს ისეთი პირქარი იყო, რომ მორბენალთა შეჯიბრი გადადეს, ვიქტორს კი მაინც მოუწია ნახტომების შესრულება. სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს არც ის გამოჰპარვიათ, რომ ესტონელს, რომელიც სანეევზე ადრე გამოვიდა საასპარეზოდ, მსაჯებმა რამდენიმე სანტიმეტრი მიუმატეს. საბჭოთა და მსოფლიო სპორტის ლეგენდას მხოლოდ მეორე ადგილი „არგუნეს“, ესტონელი სპორტსმენი კი ჩემპიონად „დანიშნეს“.

**„იაკ უუდმიაეს ბრალი არ არის, რომ ვიღაც უღირსმა მოხელეებმა მისი ნახტომის გაზომვისას რამდენიმე სანტიმეტრი აჩუქეს. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი სამხტომში მე უნდა ვყოფილიყავი. დიდ სპორტში მხოლოდ ნიჭის ამარა ვერ იქნები. არ უნდა გეზარებოდეს ვარჯიში, არ უნდა გქონდეს წაგების კომპლექსი. ყველაზე დამღუპველი კი შენი წაგების სხვისთვის გადაბრალებაა“.**

„ბოლო ცდაზე ქარი რომ არა, სანეევი გაიმარჯვებდა. 17,24 საშინელი პირქარის პირობებში აჩვენა. წყნარ ამინდში მისი შედეგი 17,40-17,50 იქნებოდა და იგი დამსახურებულად გაიმარჯვებდა“, — ეს სიტყვები მის მეტოქეს და ოლიმპიადის „ძალად ჩემპიონ“ უუდმიაეს ეკუთვნის. სხვათა შორის, დაჯილდოებისას მან სანეევსა და ბრინჯაოს პრიზიორს სთხოვა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მასთან ერთად დამდგარიყვნენ.

ეს იყო ვიქტორ სანეევის ოლიმპიური ვერცხლი, რომელსაც სწორედაც რომ ოქროს ფასი ედო.

ოლიმპიური თამაშების საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით, ამერიკაში გამოიცა წიგნი „ოლიმპიური ისტორიის ასი უდიდესი მომენტი“. ამ ასეულში შეტანილია ოთხ ოლიმპიადაზე სანეევის გამოსვლის ეპიზოდებიც.

### საბჭოური ცხოვრება მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ და... ავსტრალიაში

იცოდა, რომ მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ აქტიურ სპორტს თავს დაანებებდა. სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა თამაშების შემდეგ საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტმა ვიქტორ სანეევს დეპეშით შეატყობინა, რომ „სპორტული შედეგების გაუარესებისთვის“ ნაკრების შემადგენლობიდან გამოიყვანეს და 350-მანეთიანი სტიპენდიაც მოუხსნეს.



დიდი სპორტიდან არ გაუცილებიათ: **„გაცილებაში ბედი ნამდვილად არ მაქვს — დიდი სპორტიდან არც საქართველოში გავუცილებივარ ვინმეს და არც მოსკოვში...“,** — იტყვის ქართველ ჟურნალისტთან ინტერვიუში უკვე ავსტრალიაში დამკვიდრებული ბატონი ვიქტორი...

სიდნეიში, პრესტიჟულ კოლეჯში სამუშაოდ წავიდა, სადაც სპორტში მეცადინეობისთვის იდეალური პირობები შესთავაზეს. გული სწყდება, რომ იქ მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონები არ იზრდებიან... 5 წლის განმავლობაში, ვიდრე კონტრაქტი ამოეწურებოდა, ოჯახთან ერთად კარგად ცხოვრობდა —



ბინა მისცეს, მანქანაც, შვილიც დასაქმდა... სიტუაცია მალევე აირია, უმუშევრობა გაუგრძელდა. ერთხანს ისე გაუჭირდა, რომ თავის მოკვლაზეც კი ფიქრობდა.

**„იქამდე მივედი, რომ გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე: მე, ესა და ეს პიროვნება, ჩემი ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებს ვყიდი-მეთქი. მაგრამ უბედურება იცით რა იყო? ყველას მუქთად უნდოდა! ყველაზე მაღალი ფასი, რომელიც შემომთავაზეს, 5 ათასი დოლარი იყო. ავსტრალიაში ეს თანხა მაქსიმუმ ორი თვე გეყოს. კიდევ კარგი ოჯახის წევრებმა და აქაურმა ნაცნობებმა მედლების გაყიდვა გადამაფიქრებინეს...“**

გაურკვევლობა სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

**„90-იანი წლების მიწურულს პიცასაც დავატარებდი. ვთქვათ, ვიღაც ლაწირაკს ან მოხუცს ნასადილევს ან ძილის წინ პიცა რომ მოუნდებოდა, დარეკავდა ჩვენთან ოფისში, შეუკვეთავდა და მე, სამი ოლიმპიადის ჩემპიონი ვიქტორ სანეევი მივდიოდი და შინ მივართმევდი პიცას... იყო ასეთი დროც. თუმცა მუშაობა არასდროს მითაკილია. ვმუშაობდი, ხომ არ ვიპარავდი?“**

ამბობს, ყველანაირად აწყობილ ქვეყანაში ვცხოვრობ, მაგრამ ელემენტარული პირობები რომ მქონდეს, საქართველოში დაუფიქრებლად დავბრუნდებოდიო.

შეკითხვაზე, ნანობს თუ არა რამეს, პასუხობს:

**„დაუფიქრებლად გავივლიდი იმავე გზას. ამბობენ, სანეევი სპორტში „გაუმაძღარი“ იყოო. ეს სიმართლეა.: არ ვოცნებობდი მანქანებზე, არც ბინაზე და არც სხვა რამეზე — ჩემი ცხოვრების მიზანი მხოლოდ სპორტული შედეგი იყო — მეტრები და სანტიმეტრები“.**

უყურადღებობის გამო ხშირად დასწყვეტია გული. როცა პირველი ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, სოხუმში დაბრუნებულს ბინა არ მისცეს — საშუალება არ გვაქვსო. წყენა გულში არ ჩარჩენია:

**„დაუვიწყარია სოხუმი, ქალაქი, სადაც გავიზარდე. ყოველთვის მემახსოვრება, ახლობლების, მეგობრების თანადგომა, ჩემი მწვრთნელი აკოფ კერსელიანი. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მტკივა გული. გახლიჩეს საქართველო და ახლა მისი გამთლიანება ძალიან რთულია. ძალიან განვიცდი ამ მდგომარეობას...“**

ასაკთან ერთად იმედგაცრუება გაუჩნდა. მონოტონური ცხოვრების გამო პესიმიზმი მოეძალა. ამბობს: ნოსტალგიური კაცი ვარ — შინ ვზივარ, ვკითხულობ და ვფიქრობ, ძალიან ხშირად მოგონებებში ვიძირები და ამდენი ფიქრისა ხანდახან მეშინიაო.

**„სპორტული კარიერის მანძილზე თითქმის ყველა პუბლიკაციაში მიწოდებდნენ „კენგურუს აფხაზეთიდან“ ან „კენგურუს საქართველოდან“. კენგურუს სამშობლო ავსტრალიაა და ალბათ სიმბოლურია, რომ ცხოვრების მიწურულს სწორედ ავსტრალიაში ვატარებ“.**

სიდნეიში, თავისი სახლის წინ ლიმონის, მანდარინისა და გრეიფფრუტის ხეები დარგო. ამბობს, უკვე ისეთსავე მოსავალს იძლევა, როგორც ჩემი ოლიმპიადებიო.

აპირებს თუ არა საქართველოში დაბრუნებას?

**„დავტოვო სახლი, სამსახური და დავბრუნდე გაურკვეველი პერსპექტივის იმედით, გონივრული არ არის. რა მნიშვნელობა აქვს, სად მოვკვდები. დღეს საქართველოში — გინდ თბილისში, გინდ სოხუმში ვის ვჭირდები? გარდა ამისა, მე ხომ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩენია. რამდენიმე წელიც და წავიღებ მარილს. ისე, დასაფლავება ჩემს მშობლიურ მიწაზე მირჩევნია, რა თქმა უნდა...“**

* * *

2005 წელს, საქართველოში ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში, უდიდესი ოლიმპიური ჩემპიონის, XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული ვიქტორ სანეევის 60 წლის იუბილე აღინიშნა. მაშინ ბატონი ვიქტორი მეუღლესთან ერთად ეწვია თბილისს. 2015-იც საიუბილეოა — ქართული და მსოფლიო სპორტის ლეგენდას 70 წელი უსრულდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ვიქტორ სანეევი კიდევ ერთხელ ესტუმრება სამშობლოს და აქ, საქართველოში სათანადო პატივს მიაგებენ უცხოეთში გადახვეწილ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს.

**ელზა ნაბახტეველი**

# ბეჟან ბეჟუაშვილი: როგორი სახელმწიფო გვინდა გვქონდეს, იმაზეა დამოკიდებული, როგორი პროკურორები და როგორი მოსამართლეები გვეყოლებიან



**ინტერვიუ „სამართლის სახლის“ დირექტორთან, ბატონ ბეჟან ბეჟუაშვილთან.**

**— ბატონო ბეჟან, მოგვიყევით „სამართლის სახლზე“. რა მიზნით, რატომ, ვისი ინიციატივით შეიქმნა ეს კომპანია?**

— პირველ რიგში, მოგილოცავთ შობა-ახალ წელს. მოსალოცი არ გამოგელიოთ არც თქვენ და არც თქვენი გაზეთის მკითხველებს.

რაც შეეხება „სამართლის სახლს“, იგი ჯერ მხოლოდ ერთი წლისაა. ჩვენი საქმიანობის ძირითადი თემა მოსახლეობისთვის კვალიფიციური იურიდიული მომსახურების გაწევა გახლავთ.

დამფუძნებელი არის ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, ყველასთვის საყვარელი კაცი, ბატონი **თამაზ ელიზბარაშვილი**. მან თავის თავზე იწვნია ის უსამართლობა, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში. ის ყოფილი ხელისუფლებისგან რეპრესირებულია. მისი ოჯახის წევრები სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლოდ იყვნენ დაპატიმრებულნი.

ამას მე გეუბნებით. იურისტი, რომელიც მყარი დოკუმენტაციის გარეშე არ ლაპარაკობს. 2012 წლის დეკემბრის თვეში მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი. მას პოლიტიკური აქტივობის შესაზღუდად ადეიშვილის პროკურატურამ საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში გირაოს უპრეცედენტო რაოდენობა შეუფარდა. გირაოს სახით 6 მლნ. ლარი გადაახსევინეს. მისი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ბატონმა თამაზმა ჩათვალა საჭიროდ, რომ მოსახლეობისთვის ეს ახალი პროდუქტი, მომსახურების ასეთი ფორმა შეეთავაზებინა. ამ ორგანიზაციას ჩვენ „სამართლის სახლი“ ვუწოდეთ. ანუ ის, რომ ბატონმა თამაზმა აღიდგინა თავისი უფლებები და გამართლდა, ეს არ ჩათვალა საკმარისად და მას, როგორც ქველმოქმედს, სურვილი გაუჩნდა, საზოგადოებას ამ სახით დადგომოდა მხარში.



თამაზ ელიზბარაშვილი

ჩვენი თანამშრომლები მატერიალური თვალსაზრისით, უზრუნველყოფილნი არიან სადაზღვევო პირობებით და ა.შ. კომპანიის სლოგანიც საყურადღებოა — შედეგზე ორიენტირებული კომპანია. ჩვენნაირი ტიპის კომპანია, ჩემი აზრით, დღეს საქართველოში არ არის, იმიტომ რომ, პირველ რიგში, ჩვენთან დასაქმებულნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხები აქვთ. სპეციალისტები მუშაობენ დარგების მიხედვით. სამოქალაქო სამართალში პროფესორი **ლალი ლაზარაშვილი** გვყავს, რომელიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლე გახლდათ, დამეთანხმებით, საკმაოდ დიდი გამოცდილებაა. სისხლის სამართლის საქმეებში გვეხმარება ბატონი **გია მეფარიშვილი,** სრული პროფესორი, ყოფილი გენერალური პროკურორი. ბატონი **ბაჩანა ჯიშკარიანი,** რომელსაც მიუნჰენში აქვს ხარისხი დაცული. მას მოქმედი ადვოკატობის პრაქტიკაც აქვს გავლილი ჯერ კიდევ გერმანიიდან მოყოლებული. ანუ ჩვენ ვართ ჯგუფი, რომლებიც ჩვენი ბიოგრაფიით მოვდივართ ამ სამართლებრივ სივრცეში.

**— მაინც, რა ტიპის სსაქმეებზე ხართ ორიენტირებული?**

— ჩვენ ისეთი ტიპის საქმეებზე ვართ, ძირითადად, ორიენტირებულნი, სადაც საკუთრებითი უფლებები არის დარღვეული. ჩვენი პრიორიტეტები გახლავთ სამართლიანობის აღდგენის საქმეში წვლილის შეტანა. ეს არ არის ადვილი საქმე.

ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, თქვა: უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას პატრონებს დავუბრუნებთო. ასეთ დროს ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობას უნდა ჰქონდეს ადგილი, თორემ მარტო ლაპარაკით არაფერი გამოვა.

კანონი კარგია თავისთავად, მაგრამ მას პატივი უნდა ვცეთ. კანონები გვაძლევს მოქმედების საშუალებას, ოღონდ ამ კანონების აღსრულების სურვილი უნდა გაგვაჩნდეს.

როცა მოქალაქეს ჩამორთმეული აქვს ქონება და ის გადაყიდულია მესამე პირზე, სხვა სამართლებრივ მიდგომებზეა საუბარი და შეიძლება სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გაწევაზე დაისვას საკითხი და ა. შ. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა კეთილგანწყობაზე ვლაპარაკობთ, მე ვამბობ მარტივად: ქონება ჩამოერთვათ უკანონოდ, მაგრამ ვითომ კანონიერების ფარგლებში, რომელიც ადამიანების დასჯის ერთ-ერთი საშუალება იყო, მაგალითად, აჩუქებდნენ ბინას, მანქანას, სახლს და ა.შ. ასეთი ქონების დიდი ნაწილი დღემდე სახელმწიფოს ბალანსზეა კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე.

კანონითაც განგიმარტავთ. ჩუქებისას დოკუმენტზე ხელს აწერს მჩუქებელიც და ისინიც, ვინც იჩუქა. დღეს კი მჩუქებელი ამბობს: ჩემო ბატონო სახელმწიფო, მე ეს ქონება ნებაყოფლობით არ გადმომიცია. ძალადობით წამართვეს, გთხოვთ, დამიბრუნოთ. გავაუქმოთ ის ხელშეკრულება, რაც ძალადობრივი გზით ჩემსა და შენს შორის დაიდო და დამიბრუნეთ ჩემი ქონება. მაგრამ სახელმწიფო კვლავ არ უბრუნებს ანუ არაფერი შეცვლილა. უკან აბრუნებენ კი არა, მეტიც, თავგამოდებით იცავენ წართმეულ ქონებას. ადეიშვილი რომ გენპროკურორი ყოფილიყო, უკეთესად ვერ დაიცავდა ამ უკანონობას.

დღეს მოდიან ადამიანები ეკონომიკის სამინისტროდან და საოცრებებს გვიყვებიან.

**— კონკრეტულად?**

— კონკრეტულად ამართლებენ იმ ქმედებებს, რაც ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ. მაშინ ვკითხულობ, თუ იმათ ჩაიდინეს და მართალი იყვნენ, ახალი ხელისუფლება რატომ მოვიდა და რატომ ზის ქვეყნის სათავეში? იმიტომ, რომ წინა აფუჭებდა, სპობდა, უკანონობას ჩადიოდა, ხომ?! ამის გამო ავირჩიეთ ახალი ხელისუფლება. ეს ხელისუფლება თუ ადგება და დაიწყებს იმის დაცვას, რაც გააფუჭა ძველმა, მაშინ რა აზრი ჰქონდა მის მოსვლას?!

**— რა ხდება, ბატონო ბეჟან, თქვენი აზრით?**

— საქმე რაშია, იცით? ამ თემებს სასამართლო საერთოდ არ სჭირდება. კიდევ ერთხელ ვამბობ, ორ სუბიექტს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებსაც ცნობს კანონმდებლობა და როცა ერთი მხარე ამბობს, რომ იძულების წესით აჩუქებინეს, სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

**— თქვენს კომპანიას „სამართლის სახლი“ ეწოდება. სწორედ სამართლიანობის აღდგენა იყო ხელისუფლების პირველი დაპირება მოსახლეობისადმი. ეს რომ განხორციელდეს, სხვათა შორის, „სამართლის სახლმაც“ უნდა იბრძოლოს ამისთვის. წეღან რომ თქვით, რომ თქვენი გუნდი პოლიტიკაში არ ერევა, რას გულისხმობდით. თქვენი საქმიანობა პოლიტიკის ნაწილად არ მიგაჩნიათ?**

— დიახ, მაგრამ არსებობს სამართლიანობის აღდგენის პოლიტიკური და იურიდიული ასპექტები. ჩვენ პოლიტიკოსები არ ვართ და არ განვსაზღვრავთ პოლიტიკის მიხედვით. კანონის გზით ვაპირებთ ხელი შევუწყოთ სამართლიანობის აღდგენას.

გარკვეული დროის შემდეგ ვაპირებთ კონფერენცია ჩავატაროთ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ არა მხოლოდ ქართველი უფლებადამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ უცხოელი სპეციალისტებიც, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და მათ გავაცნობთ ჩვენეულ ხედვას. ვისაუბრებთ პრობლემებზე და ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე. ეს პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან და პრემიერ-მინისტრის მიერ ანონსირებულ თემებთან. ჩვენ, როგორც საზოგადოების ნაწილს, მიგვაჩნია, რომ მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამ პროცესებში.

სწორედ ამ პროცესების შემადგენელი ნაწილია პროკურატურის რეფორმირების საკითხი, რომელიც ასევე პრემიერის მიერ იყო დაანონსებული. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსაზრებები.

ბატონი არჩილ კბილაშვილი როგორც ამბობდა, ისე არ იწყება და არ მთავრდება ეს ქვეყანა. ყველა ჩვენი თანამშრომელი პროკურატურის სისტემა გამოვლილია და იციან, რა ხდება ამ სისტემაში. როგორი სახელმწიფო გვინდა გვქონდეს, იმაზეა დამოკიდებული, როგორი პროკურორები და როგორი მოსამართლეები გვეყოლებიან.

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

House of Law
სამართლის სახლი
იურიდიული მომსახურეობის კომპანია

# პროექტი „ნიჭიერი“ დიდი უნიჭობა და უხამსობა იყო, რომელიც უნიჭოდ დაგეგმილი ფინალით დამთავრდა

გასულ კვირას მიშას ტელევიზიად წოდებული „რუსთავი-2“-ის პროექტი „ნიჭიერის“ ფინალი შედგა ფილარმონიაში. „ყველაზე ენერგიული წამყვანი“ **ნანუკა ჟორჟოლიანი**, „ყველაზე მომხიბლველი“ **ია ფარულავა** და „ყველაზე ინტელექტუალური კაცი“, „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექ-



ტორი (ასე გამოაცხადა შოუს წამყვანმა ნიკა გრიგოლიამ) **ნიკა გვარამია** და „ჭოლა“ – რეჟისორი **ლევან წულაძე** ისხდნენ ჟიურიში.

„ნიჭიერის“ ბევრი მონაწილე, ალბათ, თავიდან ვერც კი მიხვდა, პროექტის ავტორებმა თავიანთი შოუ – სპექტაკლისთვის რომ გამოიყენეს და არა იმისთვის, ნიჭი რომ დაეფასებინათ და დაენახებინათ ყველასთვის.

თავიდანვე ფარსი დადგეს, ამალია ჯიბლაძე რომ გამოიყვანეს, როგორც თვითნაბადი ტალანტი, გაჭირვებული ქალი, რომელიც შემდეგ მუსიკალური განათლების მქონე მომღერალი აღმოჩნდა, მომღერლის კარიერაგავლილი, რომელიც საკუთარი მანქანით დადიოდა კონცერტებზე.

ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს, ქალბატონი ამალიაც და ბევრი სხვაც პროექტში ნამდვილად ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ ხან ბატონი ნიკოლოზი (კნინობით – ალერსობითი ფორმით, ნიკა (გვარამია) და ქალბატონი ნანა (კნინობით-ალერსობითი ფორმით, ნანუკა (ჟორჟოლიანი) ხშირ-ხშირად რომ იმეორებდნენ, „რუსთავი-2“-მა შექმნა ახალი ტალანტებიო, „რუსთავი-2“-ო და ნაცმეხოტბეებო, თქვენი დამსახურება არაა ამ მართლაც ბედდამწვარ საქართველოში ბევრი ნიჭიერი რომ იბადება.

თავისთავად ცხადია, შოუს სჭირდება აკრობატული ნომრებიც, ცირკიც, ცეკვაც, საოცრებებიც, მაგრამ რა საზომით, რა კრიტერიუმით უნდა შეაჯიბრო ერთმანეთს ნიჭიერებაში ადამიანი, რომელიც, მაგალითად, სკამებს ისე დააწყობს, ფილარმონიის ჭერამდე რომ ავა და მომღერალი ან მოცეკვავე, ამაზე თუ უფიქრიათ პროექტის ავტორებს?

კი, ბატონო, ნიჭიერია ისიც, ვინც ბურთს ძირს დაუშვებლად უამრავჯერ აკენწლავს, ნიჭიერია, ვინც ავტომანქანას მკერდზე გადაიტარებს, ნიჭიერია ისიც, ვინც უჩვეულო აკრობატულ ნომრებს ასრულებს, რა თქმა უნდა, ნიჭიერია ის ადამიანიც, რომელსაც უნიკალური მუსიკალური შესაძლებლობები აქვს და არაჩვეულებრივად ასრულებს საოპერო არიებს, ნიჭიერები არიან დაბადებიდანვე ყრუ-მუნჯი ადამიანები, რომელ-




ბსაც არაფერი ესმით, მაგრამ საოცარი ოსტატობით ასრულებენ საცეკვაო ნომრებს, მაგრამ ეს ერთმანეთისგან იმდენად განსხვავებული სფეროებია, რომ, ამ ადამიანების გაპაექრება ყველაზე ნიჭიერის გამოსავლენად ელემენტარული იდიოტიზმია და მეტი არაფერი.

ამგვარ კონკურსებში ნიჭიერების გამოსავლენად სხვადასხვა ნომინაციების დაწესებაა საჭირო – ნიჭიერი ძალოსნობაში, ნიჭიერი აკრობატიკაში, ნიჭიერი მომღერალი, მოცეკვავე და ა.შ.

ამალია ჯიბლაძეს საირმის საგზური რომ მისცეს, დარბაზში ვილაცამ თქვა: ეტყობა, ამ ქალს კუჭ-ნაწლავი აწუხებს, ეს იცოდნენ და იმიტომ მისცეს საირმის საგზურიო. ნიჭის ასე გამასხარავება მართლა არ შეიძლება.

ცხადია, ყველაფერს საბოლოოდ ხმები წყვეტს, მოსახლეობის სატელეფონო მესიჯები, მაგრამ რამდენი მესიჯიც არ უნდა შესულიყო და ვისაც არ უნდა გაემარჯვა, პაწაწინა ჯილდოები ყველას უნდა რგებოდა, როგორც ამ პროექტის მონაწილეებს თუნდაც მომავალ მონაწილეთა მოტივაციისთვის.

მაგრამ „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობა და ნაციონალები ადამიანებს საქართველოში უყურებენ, როგორც ბნელ, ერთფეროვან მასას, რომელსაც თუ გინდა შეაქე, თუ გინდა აფურთხე, როცა დაუძახებ, მაშინ მოვა და ტრამპა-ცუმპას იმღერებს იმისთვის, რომ „რუსთავი-2“ მეტად გაპიარდეს, ტელევიზია მეტად დაფინანსდეს, წამყვანებმა პოპულარობა და ზებუნებრივობა შეინარჩუნონ, გალაღდნენ და გაიფუყონ...



დარბაზში რიგი იდგა ფინალის დროს. ხალხი ფოტოების გადაღებას სთხოვდა ნანუკა ჟორჟოლიანს.

ისტორიულ ფოტოებს, ალბათ, შთამომავლობას შეუნახავენ – ჩვენ ფოტო ნანუკა ჟორჟოლიანთან ერთად გვაქვს გადაღებულიო.

აფერუმ! დავიძრათ ერთად, იქნებ, ნანუკამ ჩვენთან ფოტო გადაიღოს...

გასულ კვირას კინომცოდნე **გოგი გვახარიამ** სტატია გამოაქვეყნა სათაურით: „ნიჭიერი ეტლში“. კმაყოფილია გვახარია, რომ ნიჭიერი სწორედ ეტლში ცეკვავდა და ამბობს: „... კარგად ვიცი, რას გრძნობს ადამიანი, რომელმაც სიარულის უნარი დაკარგა“...

გასაგებია ბატონი გოგის განცდები, და, მიუხედავად იმისა, მის მკვეთრ ლიბერალურ შეხედულებებს არ ვეთანხმები, ყოველთვის ვაღიარებდი, რომ გოგი გვახარია ნიჭიერი კაცია. ამიტომაც გამიკვირდა მისი შეფასება, რადგან თემოს და ქეთის იმ დღეს იქ ნიჭი არ გამოუმჟღავნებიათ და გოგი გვახარიას ნიჭის შეფასება, არ უნდა ეშლებოდეს, მგონი. თემომ და ქეთიმ დაამტკიცეს ის, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს.

ეს ძალიან დიდი რამეა.

მე თავს ვხრი თემოს და ქეთის წინაშე. მათ მიმართ დიდი პატივისცემითაც განვეწყვე, მაგრამ პროექტის მონაწილე ნამდვილი ნიჭიერები „რუსთავი-2“-მა პირში ჩალაგამოვლებული და გაწბილებული რომ დატოვა, ეს კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ ნაცმოძრაობის მიერ დაფინანსებული ტელევიზია ვერ იტანს ნიჭს, დასცინის და აბუჩად იგდებს მას...




**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

მოფაშისტო ელემენტს უწოდებენ ევროპარლამენტის წევრ, საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“ დამაარსებელსა და პრეზიდენტს ჟან-მარი ლე პენს, რომელიც ხუთჯერ მონაწილეობდა საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში და ჟაკ შირაკს რომ არ დაემარცხებინა მეორე ტურში, სავარაუდოდ, სხვა საფრანგეთი იქნებოდა დღეს, რაც თავის მხრივ, ერთგვარად შეცვლიდა ევროპასაც.

ბუნებრივია, საინტერესოა, რატომ არის ქალბატონი ლე პენი „მოფაშისტო“, რას ამბობს ასეთს და რისკენ მოუწოდებს ფრანგებს? — ყველა შემთხვევაში, მისი პოპულარობა საფრანგეთში (არა მხოლოდ) მზარდია და რა ვიფიქროთ, საფრანგეთი „მოფაშისტოა“?

**მარი ლე პენი:** — „როცა იქმნებოდა ევროკავშირი, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ევროპული შენება, ეს იყო მსოფლიო შენება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს შენება კი არა ომია! ომია ეკონომიკურ ფრონტზე, ომი სოციალური დემპინგის სახით (დემპინგი — საქონლის გაყიდვა შიდა ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც); წესების ომი, სურათების ომი, ტელეეკრანების ომი, სადაც ერთნი წარმოდგენილები არიან როგორც უსაქმურები, მეორენი — ტოტალიტარიზმის მომხრეებად, მესამენი — ქურდებად...

რო და უფრო სცილდება ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებს — ევროკავშირი აიძულებს ხალხს მიიღონ ის კანონები, რისი მიღებაც მათ არ სურთ.

იცოდეთ! ევროკავშირი მოგთხოვთ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და ასეთი წყვილებისთვის ბავშვების მიშვილებას — დღეს ასეთ მდგომარეობაში საფრანგეთი ჩავარდა,



ინტერესი, აშშ-ის პოლიტიკის მორჩილება — აი, ეს არის დღეს ე.წ ევროპული ღირებულებები!

ეს ყველაფერი წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ოჯახს, პიროვნულ ღირსებას, ერის ტრადიციული ფესვების პატივისცემას, პატიოსან თანამშრომლობას, კულტურულ იდენტობას...

ათასწლოვანი რელიგიის შემცვლელად რელიგიურ მიმდინარეობას ადგენენ, რომელიც 30 წლის წინ გაჩნდა. ამ უაზრო მიზანს მხარს უჭერს „სვეცკობა“, რომელიც საფრანგეთში პორტირებულია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ფრანგები ამას

ლობა და განვითარება. მე ვთვლი, რომ უკრაინა ჩვენი მეგობარია და მე მეგობრებს კოშმარში არ ვიწვევ! მე შევთავაზე ჩემს ქვეყანას, ჩაატაროს გამჭვირვალე რეფერენდუმი ამ საშინელი კავშირიდან გამოსვლაზე. ქვეყნები, რომლებიც გაწევრიანებულები არიან ევროკავშირში, ახლა უკან დგამენ ნაბიჯს, რადგან ევროკავშირი არის მიცვალებულების გზა...“

ამ სიტყვების გამო არის ქალბატონი ლე პენი „მოფაშისტო“? თუ იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინთან, ანუ რუსეთთან ურთიერთობის აწყობა შეუძლია? სხვათაშორის, 2011 წელს ფრანგმა ამომრჩეველმა საკუთარი ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობით მისთვის მიცემისთვის კვლავ დააფიქსირა, რომ მარი ლე პენის თანამოაზრეა, ანუ „მოფაშისტოა“...

მარი ლე პენს რუსი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ერთმნიშვნელოვნად აქვს

რწმენაზე. ის ვინც ამას გააკეთებს, უნდა ელოდოს საპასუხო დარტყმას... არ შეიძლება პროვოცირება; არ შეიძლება სხვისი რწმენის დამცირება; არ შეიძლება რწმენის დაცინვა. არსებობს ზღვარი. სიტყვის თავისუფლება სასიკეთოდ უნდა არსებობდეს...“

პარიზში მსოფლიოდან ორი მილიონი ადამიანი უთანაგრძობდა დაღუპულთა ოჯახებს და გმობდა ტერორიზმს, ევროპელი პოლიტიკური ლიდერები კი წინ მიუძღოდნენ თანაგრძნობის პროცესიას და დაქირავებულმა მასმედიამ ნაბრძანები იარლიყი დაარტყა — სიტყვის თავისუფლების დასაცავად, აი, რამდენი ხალხი გამოვიდაო...

პარიზისა და თბილისის მასშტაბები რომ შევადაროთ — რამდენჯერ მეტი ხალხი გამოსულა თბილისში სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ? 2012 წლის 29 სექტემბერს ოთხმილიონიანი ქვეყნიდან

# მარი ლე პენი: თუ მე ამირჩევენ საფრანგეთის პრეზიდენტად, მე გავიყვან საფრანგეთს NATO–დან და ევროკავშირიდან

## მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ უტვინო?

ევროპელებს უჩვენებენ ხალხს, რომლებიც თავისუფლებისკენ, ევროკავშირისკენ ილტვიან. საქმე იმაშია, რომ ეს ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანას სურს გავიდეს ევროკავშირიდან...

საჭიროა ფაქტის კონსტატირება — არსებულ მომენტში საფრანგეთი მიჰყვება **NATO**-ს ხაზს. **თუ მე ამირჩევენ საფრანგეთის პრეზიდენტად, მე გავიყვან საფრანგეთს NATO-დან**, რადგან საფრანგეთმა დაკარგა საკუთარი ხმა, აბსოლუტურად ვასრულებთ იმ ბრძანებებს, რომელსაც იძლევიან ვაშინგტონიდან ან ბერლინიდან.

ადამიანის უფლებათა სახელით ევროკავშირიდან გვაიძულებენ უფრო და უფრო მეტი შეშლილი ბრძანებების შესრულებას, რაც შესაბამისად, უფგუშინ — ესპანეთი, ხვალ კი ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები გახდებიან იძულებულები. ჩვენ გვაიძულებენ ჩვენს განათლების სისტემაში შევიტანოთ ე.წ „გენდერული თეორია“ — იცის ვინმემ რას ნიშნავს ეს? თქვენ არ ხართ არც ქალი, არც — კაცი, სქესს აირჩევთ შემდგომში, ამიტომ ბიჭუნებს ეკრძალებათ მათთვის აქამდე შესაფერისი სათამაშოებით თამაში და გოგონებს გოგონების შესაფერისი სათამაშოებით. ახლა გეცინებათ, მაგრამ როდესაც ეს თქვენ დაგატყდებათ თავს, ტირილი მოგინდებათ...

**მე თუ საფრანგეთის პრეზიდენტი გავხდები, მე გავიყვან საფრანგეთს ევროკავშირიდან!**

ევროპული ღირებულებები? ფული, ანგარება, ხეირის გამორჩენა, სიხარბე, გაუმაძღრობა, მსხვილი კაპიტალის დაცვის

არ მიიღებენ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ არიან როგორც მორწმუნეები, ისე — არამორწმუნეები, ყველა მათგანი გაიზარდა ქრისტიანული კულტურით, რომლითაც ის საფუძვლებია ჩადებული, რითიც დღემდე შენდება ჩვენი საზოგადოება...

ევროკავშირმა დაანგრია თავისი ყველა პირობა! დემოკრატიულ ქვეყანაში ხალხი თვითონ წყვეტს თავის ბედს, ჩვენ კი სუვერენიტეტის სახელით თითქოს ციხეში ჩაგვამწყვდიეს. ხალხს თავისუფლების დაბრუნება უნდა...

ევროკავშირი ჩაფიქრებული იყო როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობა, მაგრამ დღეისათვის ის იქცა აბსოლუტურად ტოტალიტარულ სისტემად. დიახ, საფრანგეთის გამოსვლა ევროკავშირიდან იქნება სკანდალი, მაგრამ რა ვუყოთ? შეხედეთ, ევროკავშირიდან გასვლის ზღვარზეა დიდი ბრიტანეთიც...

დროა, რომ ადამიანებმა, რომლებსაც საცდელ ბოცვრებად იყენებენ, უარი განაცხადონ ექსპერიმენტის ჩატარებაზე და სუფთა ფურცლიდან დაიწყოს ევროპასთან თანამშრომ-






ნათქვამი, რომ ევროპული დემოკრატია დაპატიმრებულია. ამ განცხადებაზე ახლახანს დაკავებული ფრანგი კომიკოსი დიედონე მბალა მბალა გაახსენდება ადამიანს. რა დააშავა დიედონემ და სოციალურ ქსელ **Facebook**-ში გამოაქვეყნა სტატუსი „მე შარლი კალუბალი“ ვარ („შარლი“ — გასაგებია, კალუბალი — ერთ-ერთი მოკლული ტერორისტის გვარია). ბოლობოლო რა მუხლით წაუყენეს ბრალი, უცნობია, თუმცა რომ დააკავეს, ფაქტია.

იქნებ სულაც იმიტომ არის „ცუდი ბიჭი“ დიედონე, რომ მარი ლე პენის პარტიის აქტიური მხარდამჭერია? — არადა, „მოფაშისტო“ ლე პენი სწორედ რომ საფრანგეთში იმიგრაციის წინააღმდეგია.

იქნებ რომის პაპიც „მოფაშისტოა“, რადგან „შარლი ებდოზე“ განხორციელებული თავდასხმის შესახებ განაცხადა, რომ „არავის შეუძლია იცინოს

რამდენჯერ მეტი ხალხი გამოვიდა, მაგრამ იგივე ევროპელმა ლიდერებმა, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში ტერორიზმს გმობენ, საქართველოში მკვლელებთან კოჰაბიტაცია გვაიძულეს...

„მე შარლი კალუბალი ვარო“ ამისთვის კომიკოსი დააკავეს, საქართველოში კი „მე ბაჩო ვარ“, „მე ვანო ვარ“ და ა.შ ანუ „მე მკვლელი ვარ, ჯალათი ვარ, მკვლელობის შემკვეთი ვარ“ და ა.შ **Facebook**-ში დაწერა კი არა, მათ მიერ აქციების მოწყობა არ შეიძლება დასჯადი იყოს, რადგან ასეა ნაბრძანები ევროკავშირიდან და ვაშინგტონიდან, ამ შემთხვევაში, საფრანგეთისგან განსხვავებით, ამგვარდაა დაწერილი საქართველოსთვის სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება...

მე ვარ ქართველი, მაშადამე უტვინო? თუ მაშასადამე ყრუ, ბრმა, მუნჯი და ბოლოს და ბოლოს მონობისთვის დაბადებული?

# დიახ, ბატონებო, 2021 წელს აჭარას, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, „კანონიერად“ წაიღებს თურქეთი

## მაინც რა მოხდა ასეთი მნიშვნელოვანი 2014 წლის მიწურულს, რაც რუსეთს უკავშირდება და ჩვენთვის ფასეულია?

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, ერთი შეხედვით, არც არაფერი მომხდარა, პუტინი ანკარაში ჩავიდა, ერდოღანს შეხვდა და ჟურნალისტებს განუცხადა, ერდოღანი კერკეტი ბიჭიაო, რომ ვუთხარი, იქნებ ჯერ არ არის საჭირო იმის გახმაურება, რა გადაწყვეტილება მივიღეთ, მიპასუხა, არაფერი გვაქვს დასამალიო; რეგიონში რუსეთისა და თურქეთის ბევრი ინტერესი ემთხვევა ერთმანეთსო; უფრო მეტიც, თურქეთის აქტიურობის გარეშე, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა უბრალოდ, შეუძლებელიაო; რაც შეეხება ჩრდილოეთ კვიპროსს, მოსკოვი ეცდება დამბალანსებლის პოზიცია დაიკავოს, რადგან რუსეთს „კეთილი ურთიერთობა“ აქვს თურქეთთან, მაგრამ ასეთივე დამოკიდებულება აქვს ჩრდილოეთ კვიპროსის მიმართაც, შეიძლება ითქვას, ბერძნებთან „განსაკუთრებულიც“ კი, რომელიც გაძლიერებულია რელიგიური და კულტურული კავშირებითო; რაღა ბევრი გავაგრძელოთ, პუტინმა პირდაპირ განაცხადა, თურქეთმა სხვის პოლიტიკურ ამბიციებს საკუთარი ქვეყნის ინტერესები არჩია და ამით დაამტკიცა, რომ ამ კუთხით ესეც ჩემსავით კერკეტიაო...

როგორც ვხედავთ, საქართველოს მომავლისთვის არცთუ უმნიშვნელო რამ მომხდარა სულ ცოტა ხნის წინ, მაგრამ ამის შესახებ სასაუბროდ არავის დაუთმია ვინმესთვის ეთერი, პირიქით, ერთი კვირა იმას არკვევდნენ, „პროქართული“ პროქართულია თუ „პრორუსული“ და „ჟიჟილაშვილი და კამპანიას“ არხის ხელმძღვანელობამ რომ პროქართული გადაცემების მომზადება მოთხოვა, სამართლიანი იყო თუ არა...

ოდნავ, რამდენიმე თვით უკან გადავინაცვლოთ — თურქეთმა სამი საუკუნის წინანდელი ხელშეკრულება ამოსწია და არაოფიციალურ ფორმატში ყირიმის ნახევარკუნძულზე პრეტენზია წამოაყენა. ბრიყვი არავინაა, თურქეთმა კარგად იცის, რომ იმ დროში, რისი განჭვრეტაც ადამიანს შეუძლია, მისი პრეტენზია ყირიმზე, აუხდენელია, მაგრამ მთავარია, რომ ეს მოთხოვნა დადო. (დაუძლურებულო საქართველოვ! საუკუნე ჯერ არ გასულა, ტერიტორიებითა და მასზე მოსახლე 300 000 ათასი კომლით თურქეთის გადაყლაპულო... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ყირიმის ნახევარკუნძული სულაც კოლხების იყო — აიეტი დადასტურებულად კოლხეთის მეფეა! პერსი — აიეტის ძმა, ტავრიელების მეფეა ყირიმში!)

რა შეიძლებოდა ყოფილიყო და იყოს მომავალში თურქეთის მიერ ყირიმზე პრეტენზიის გაცხადების საფუძველ-მიზეზ-საბაბ-გამორჩენა? მთლად გამობენტერებული უნდა იყოს ადამიანი ამას რომ ვერ მიხვდეს — ექვს წელში, ზუსტად ექვს წელში, 2021 წლის 13 ოქტომბრის შემდეგ ვადაგასულია ყარსის, თურქეთისთვის ე.წ „ოკუპანტური“ ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ათა თურქის მიერ ლენინისთვის 100 წლით დათმობილი აჭარა ავტომატურად აღმოჩნდება თურქეთის ხელში!

დიახ, ბატონებო, 2021 წელს აჭარას „კანონიერად“ წაიღებს დღეისათვის მეგობრად აღიარებული თურქეთი და ხმასაც არ ამოიღებს „მეგობარი“ აშშ და „მეგობარი“ ევროკავშირი; ხელსაც არ გაანძრევს „მეგობარი“ NATO რაში ეკითხება (მის შიგნითვე არსებული ე.წ „კვიპროსის საკითხი“ არ აინტერესებს) და მითუმეტეს, „მტერი“ რუსეთი. დღეს საქართველოში არავინ საუბრობს იმ უახლოეს განსაცდელზე, რაც საქართველოს აუცილებლად დაუდგება, თითქოს ვიღაცამ აკრძალა ამის შესახებ საუბარი, არადა, რეალობა ასეთია — ყირიმი, უხეშად რომ ვთქვათ, რეფერენდუმით მიიერთა რუსეთმა, თურქეთს კი ესეც არ სჭირდება და აჰა, შეაკვდი თურქეთის მილიონიან შეიარაღებულ არმიას სრულიად საქართველოვ, შედეგი?




შედეგი ის იქნება, რომ ოტომანთა დინასტიის ვეზირთუხუცესებად ვერა, მაგრამ თურქეთის ხელისუფლების მაღალ წრეებში კვლავ მოხვდებიან გენეტიკური ქართველები. დიახ, ასე მოხდება... რა უშავსო, ალბათ — 17 ოტომანი (ქართველი) ვეზირთუხუცესი და ასობით ქართველი ფაშა იდგა ოსმალეთის იმპერიის სამსახურში... ვინ გავიხსენოთ, ჯერ მხოლოდ ჯევრი და დინდინე ხანუმის სახელები?

1808 წელს როდესაც სელიმ III ამბოხებულებმა მოკლეს, ქართველმა, ჯევრი ხანუმმა უფლისწული, მაჰმუდ II ჯერ გადამალა, მერე კი, როდესაც მიაგნეს, სხეულით გადაეფარა და უეჭველი სიკვდილისგან იხსნა, შემდეგ კი მაშველიც შემოესწრო და მხოლოდ მსუბუქად დაჭრილი სასახლეს გაარიდეს. ჯევრი ხანუმმა მთელი სამეფო დინასტია გადაარჩინა და მას შემდეგ, რაც მაჰმუდ II სულთანი გახდა, ჯევრი ხანუმი მთავარ ხაზინადარად დანიშნა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბრძანება გასცა, რომ მისი გადამრჩენელი დედამისის საფლავის გვერდზე დაეკრძალათ, ხოლო მის სახელზე სკოლა და შადრევანი აეშენებინათ...

ყირიმის ომში „ქართველი ოსმალები“ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდნენ რუსეთის წინააღმდეგ. დინდინ ხანუმი (თავდგირიძე), რომელსაც უკვე დაკარგული ჰყავდა ვაჟი და გერი, ცხენზე ამხედრებული იბრძოდა ხმლით. როდესაც რუსების შეტევა გაძლიერებულა და ოსმალეთის მხარეს უკან დახევა დაუწყია, დინდინ ხათუნი მთელი ძალით დასტაკებია რუსებს. ამის შემხედვარე უკან დახეულებიც მობრუნებულან და ის ბრძოლა მოიგეს. ამ ამბავს სტამბოლამდე ჩაუღწევია და სულთანმა პირადად დააჯილდოვა გმირი „ქართველი ოსმალო“ ქალი მამაცობისთვის, მოგვიანებით კი მის ორივე ვაჟს, ოსმან ბეისა და ალი ბეის ოსმალეთის იმპერიის ფაშას წოდებები მიენიჭათ...




ვეზირთუხუცესი მეჰმეთ საით ფაშა (1755 წელს დაინიშნა პრემიერ-მინისტრად), შეიხი მირზა მუსტაფა ეფენდი, თავადი საბაჰადდინი, მეცნიერი ალი ჰაიდარ ეფენდი... ისტორიკოს მურად კასაბის (დედით თურქი, მამით — ქართველი) წიგნში „ოსმალო ქართველები“ იმ 1200 ქართველის ცხოვრება აქვს აღწერილი, რომლებიც სხვადასხვა რანგის თანამდებობზე მსახურობდნენ ოტომანთა იმპერიაში საუკუნეების მანძილზე დღემდე. წიგნში მოხსენიებულ ისტორიულ პირთაგან ზოგი სულთანი იყო, ზოგი — მმართველი ან სულთნის დედა და მემკვიდრეებს უჩენდნენ.

17 ვეზირთუხუცესი, 9 მეჭურჭლეთუხუცესი, 6 საზღვაო კაპიტანი, 13 სახელმწიფო მინისტრი, 173 ვეზირი, სამხედრო მმართველი, გუბერნატორი, 13 სამეფო კარის წევრი, 344 რელიგიური მოღვაწე, 34 მხატვარი და მწერალი, 488 სახელმწიფო და სასახლის ოფიციალური პირი, 23 ფაშას დედა, დედა-დედოფალი, „პრინცესა“ და ცოლი — არ არის მცირე ჩამონათვალი...

შეიძლება, კასაბი მთლად უსაფუძვლოდაც არ ამბობდეს ამ სიტყვებს, რადგან სწორედ თურქი ფეთლუჰან გიულენი, ტერორიზმსა და რელიგიურ ექსტრემიზმში ბრალდებული იდგა (დგას) საქართველოში არსებული 14 სასწავლებლის უკან: დემირელის სახელობის საბავშვო ბაღი; თბილისის სკოლა-ლიცეუმი „სხივი“; ბათუმის რ. შაჰინის სახელობის დაწყებითი სკოლა-ლიცეუმი; ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის დაწყებითი სკოლა; რუსთავის რუსთაველის სახელობის სახელოვნებო დაწყებითი სკოლა; ბათუმის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი; დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა; მარნეულის უნივერსიტეტის მოსამზადებელი კურსები და ენათა ცენტრი და ა.შ მათ შორის, პრესტიჟული „შავი ზღვის უნივერსიტეტის“ უკან და თავმომწონე ქართველი დედები იქ აბარებენ შვილებს სწორადაც რომ საკუთარი ნებით, მამები — ერთი ქართველი პროკურორის მსგავსად დუმილის უფლებას ინარჩუნებენ...

ახლა, ის გვიხარია, თურქეთის განათლების სისტემაში ქართული ენა სასწავლო საგნად შეიტანეს და არ მხოლოდ გენეტიკურად ქართველი, თვით თურქები სწავლობენ ქართულსო — ვინმემ თუ ახსნა რაში დასჭირდა მრავალმილიონიან თურქეთს მაინცდამაინც ახლა ლამის სამმილიონიანი ერის ენის სასწავლო პროგრამაში შეტანა?

და საერთოდ, ვინ (ადამიანთა რომელმა ჯგუფმა) გამოგვიცხადა თურქეთი ისტორიულ მეგობრად და რა შორსმიმავალი მიზნები ჰქონდა (ჰქონდათ), დაფიქრებულა ვინმე?

ქართველი ქალი, დინდინ ხანუმი ოტომანებს მიუძღოდა რუსული ჯარის წინააღმდეგ ყირიმის ომში და ბრძოლაში დაამარცხა კიდეც, მაგრამ საქართველოსთვის, რა? — თუმცა, შინაგანად მაინც ვხარობთ, აი, რა მეომარი ქალები გვყავდა ქართველებსო...

ახლა საზრუნავი ის არის, ისტორიული მტრების, რუსეთისა და თურქეთის ხვევნა-კოცნაში სამუდამოდ არ გაიჭლიტოს უტვინო თუ მოღალატე „კაცების“ ხელში გამოვლილი საქართველო, რომლისთვისაც აქამდე მაინც, გაუგებარად „ჩანდა“ ვინ მეტად მტერი იყო, ვინ — ნაკლებად... თუმცა, საქართველოს არც არასდროს ჰყოლია მეგობარი...

დიახ, საქართველოსთვის 2021 წელი ახლოვდება, კიდევ ერთხელ და ამჯერად, შეიძლება სხვა დროზე მეტადაც, თავი აქვს გადასარჩენი, რუსეთს კი მიტაცებული ყირიმი აქვს მისა-

23 gv.

# ნატო და აშშ: რა ინფორმაცია დაბლოკა ქართულმა მასმედიამ?

**საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ევრაზიის ინსტიტუტი“ ამასწინათ სპეციალური განცხადება გაავრცელა:**

„23 დეკემბერს თბილისის სასტუმრო „ვერე პალასში“ გაიმართა ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია, რომელიც ნატოსა და შეერთებული შტატებისადმი საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ასახავს. პრეზენტაციას ესწრებოდნენ გამოკითხვის ორგანიზატორები, მოწვეული სპეციალისტები, საზოგადოების წევრები და ჟურნალისტები. ყველა მათგანს დაურიგდა გამოკითხვის შედეგები, დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებითურთ, დაბეჭდილი და აკინძული სახით.



ტელე და რადიოარხების - „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტებმა ღონისძიება ვიდეოფირზე ასახეს, ჩაიწერეს ინტერვიუები. გარდა ტელევიზიებისა, პრეზენტაციას ესწრებოდნენ რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენლებიც.

წესით და რიგით, პრეზენტაციაზე დამსწრე მასმედიისაგან რომელიმე ერთს მაინც უნდა გაეშუქებინა გამოკითხვის შედეგები ან ეხსენებინა მაინც, რომ ჩატარდა ასეთი სოციოლოგიური კვლევა. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, შეერთებული შტატებიდან მართულმა ქართულმა ცენზურამ დაბლოკა ინფორმაციის გავრცელება.

რა უნდა იყოს ქართული მასმედიის ასეთი კოლექტიური დუმილის მიზეზი? ის ხომ არა, რომ გამოკითხვის შედეგები მათი დამფინანსებლების და მბრძანებლების - ამერიკელი და ევროპელი ჩინოვნიკებისათვის, შეიძლება, მიუღებელი აღმოჩნდეს?

მიუხედავად ყველაფრისა, ქვეყანა მაინც არ არის ჩალით დახურული. ცალკეული ობიექტური ინტერნეტ-სააგენტოსა და გაზეთების, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით და უშუალოდ მოსახლეობასთან კონტაქტით, ჩვენ მაინც მივიტანთ ინფორმაციას მთელ საქართველომდე.“

**„საერთო გაზეთი“ გთავაზობთ აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის ძირითად შედეგებს და სპეციალისტების კომენტარებს.**

**გულბაათ რცხილაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი:**

გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ძირითადი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი მითი, თითქოს ნატო არის ქართველი ერის "ისტორიული არჩევანი", აბსოლუტურად უსაფუძვლოა. როგორც გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, თანაც, ნეგატიური შეფასებები უფრო ჭარბობს. ზუსტად იგივე ითქმის ამერიკის შეერთებულ შტატებზეც. შესაბამისად, არ შეიძლება, ხელისუფლებამ უგულებელყოს საზოგადოების ამგვარი განწყობა, რომელიც საღ აზრს ეფუძნება. მოსახლეობა უფრო პრაგმატულად უყურებს ვითარებას, გამოკითხულთა 44% ამბობს, რომ ამერიკა სულაც არ არის ჩვენი მეგობარი და მშველელი, ასევე არ არის მტერი, არამედ სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ინტერესებს ახორციელებს (ამერიკას მეგობრად და მოკავშირედ მხოლოდ 29% მიიჩნევს, ხოლო გამოუცხადებელ მტრად და მოწინააღმდეგედ - 17%) - შესაბამისად, ხალხს ესმის, რომ საქართველო არაფერს უნდა ელოდოს ამერიკისაგან.

ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე თვალს ხუჭავს ახლანდელი ხელისუფლება, სააკაშვილის და შევარდნაძის რეჟიმების მსგავსად. განსაკუთრებულ გაღიზიანებას ხალხში იწვევს ნატოს სამხედრო ოპერაციებში, ცხრა მთას იქით, ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა (ამის წინააღმდეგია გამოკითხულთა 62%), ამიტომაც განწყობები უფრო ანტიდასავლურისკენ შეიცვალა.

საბოლოო ჯამში, ვნახეთ, რომ ამ დღეებში რომ შემდგარიყო პლებისციტი, ნატოში შესვლის საკითხი ჩავარდებოდა - ხალხის მხოლოდ 32 პროცენტი გამოთქვამს მზადყოფნას, პლებისციტზე ხმა მისცეს საქართველოს ინტეგრაციას ნატოში. ამ ციფრს ადმინისტრაციული რესურსი, სტატისტიკური ხარვეზი, მერყევი ამომრჩეველი რომ დავუმატოთ, ყველაფერი ეს ერთად აღებული, ყველაზე ოპტიმისტური გათვლით, 48 პროცენტს ვერაფრით ვერ გადააჭარბებს. ამიტომ, ვიმეორებ: ნატო არ არის ქართველი ხალხის არჩევანი.

აუცილებლად განვმარტავ: ვიცი, რომ ჩვენი გამოკითხვის შედეგებს (1700 რესპონდენტზე მეტი მთელი საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაში) დასავლეთიდან მართული პოლიტიკანები და ე. წ. "არასამთავრობოები" არ დაეთანხმებიან და ატეხენ ვიშ-ვიშს, რომ ჩვენ "პრორუსული" ორგანიზაცია ვართ, რომ ჩვენს დასახელებაშივეა ასახული "ევრაზიული" მომენტი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მე ყველა საღ ჭკუაზე მყოფ ოპონენტს მივმართავ: ჯერ ერთი, ჩვენი გამოკითხვის მეთოდიკა აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალეა, ***ხელზე გვაქვს შევსებული ანკეტები და მათ არავის ვუმალავთ*** (განსხვავებით ამერიკული ორგანიზაციების - აირაი-ენდიაის პრინციპისაგან, დამალონ მეთოდიკა და მით უფრო, გამოყენებული ანკეტები); ***მეორე და მთავარი: მზად ვართ, ხელმეორედ ჩავატაროთ გამოკითხვა - ოპონენტი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, პარიტეტულ საწყისებზე.*** დაე ყველა თავად დარწმუნდეს, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების რეალობაში. ვგონებ, რომ ვისაც სიმართლე



აინტერესებს, ამ წინადადებას უნდა დათანხმდეს.

**იოსებ არჩვაძე, პროფესორი, დამოუკიდებელი ექსპერტი:**

დიდი ინტერესით გავეცანი ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის „საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი“ შედეგებს. სულ რამდენიმე კვირის წინ (2014 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში) ჩატარებული გამოკითხვა არ მიეკუთვნება რიგით სოციალურ თუ კონიუნქტურულ კვლევებს, რომელთა შედეგების პრეზენტაციას დიდ დროსა და სივრცეს უთმობენ თანამედროვე მედიასაშუალებები. ეს გამოკითხვა რეზონანსულია უპირველეს ყოვლისა, თავისი თემატიკით, რადგანაც იგი ეხება აქტუალურ, ჩვენი ქვეყნისათვის ფაქტობრივად ბედგანმსაზღვრელ პრობლემას.

სანამ უშუალოდ მიღებულ შედეგებს შევეხებოდი, მინდა აღვნიშნო გამოკითხვის საკმაოდ მაღალ, აკადემიურ დონეზე ჩატარება, რაც გულისხმობს შერჩევის ველის სწორად შერჩევას და მაღალ რეპრეზენტატულობას. – 1718 რესპონდენტი სავსებით საკმარისია დამაჯერებელი, სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ეს ციფრი 52 პროცენტია საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონების შინამეურნეობების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების კვლევისათვის შერჩეული რესპონდენტების რაოდენობისა (სულ 3350 შინამეურნეობა), რომლებსაც ჯერადად მეტ კითხვარსა და ფორმულარზე უწევთ პასუხების გაცემა. ასე რომ, გამოკვლევის შედეგებს საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია აქვთ. ამის გათვალისწინებით, ***გამოკვლევის შედეგები შეიძლება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების მორალურ საპირწონედაც კი გამოდგეს*** (მაშინ, მოგეხსენებათ, შედეგების დაჯამებისას „რატომღაც“ ოთხჯერ მოხდა ნატოს მხარდამჭერი მოსახლეობის წილის ცვლილება... ზრდის მიმართულებით).

გამოკვლევის რესპონდენტთა შერჩევაში გენდერული თანაფარდობა თითქმის „ბალისტიკური სიზუსტითაა“ განხორციელებული (კვლევაში - მამაკაცები/ქალები: 48.5/51.5%, საქართველოს მოსახლეობაში, შესაბამისად - 47.7/52.3%). ასევე, საკმაოდ მაღალია ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტთა განაწილების თანხვედრა საქართველოს მოსახლეობის შესაბამის ასაკობრივ განაწილებასთან.

გამოკითხვამ აჩვენა ***საქართველოს მოსახლეობის ცალსახა უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ოპერაციათა ზონებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე*** - აღნიშნულს მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი, მაშინ როდესაც უარყოფითადაა განწყობილი თითქმის 4-ჯერ მეტი - 62 პროცენტი. ამასთან, რაც უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნეგატიურია დამოკიდებულება (საპენსიო ასაკის მოსახლეობაში - მხოლოდ 8.3%). მხარდამჭერების კონტინგენტი, პროცენტულად, ყველაზე მაღალია 25 წლამდე რესპონდენტებში - აქ მათი წილი 24.5 პროცენტი, თუმცა ამ ასაკობრივ ჯგუფში აღნიშნული გარემოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა რაოდენობა მხარდამჭერთა რაოდენობას თითქმის ორჯერ აღემატება (49.4%).

ყოველი 10 გამოკითხულიდან 3 რესპონდენტი (29%) აშშ-ს საქართველოს მეგობრად მიიჩნევს. თუმცა მათი 4/5-იც კი (81.2%) თვლის, რომ ისინი არასათანადოდ ეხმარებიან საქართველოს. ამასთან, ***ყოველი მეექვსე გამოკითხული (17%) აშშ-ს მიიჩნევს მტრად.*** მხოლოდ 25 წლამდე ახალგაზრდებშია ეს მაჩვენებელი დაბალ დონეზე (11.2%), დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იგი მერყეობს 14.6%-დან 20.1%-მდე, რაც სერიოზული დაფიქრებისათვის უნდა განაწყობდეს ხელისუფლებას.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ***პლებისციტის შემთხვევაში იდეა საქართველოს ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ დამარცხდებოდა - მას მხარს დაუჭერდა მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები, მაშინ როცა წინააღმდეგ ხმას მისცემდა 2/5.*** უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 16%-იანი კონტინგენტი, რომელიც არ წავიდოდა პლებისციტზე, ისინიც დიდწილად ნატოში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგეები არიან. ასეთთა რიგებს მე მაღალი ალბათობით მივაკუთვნებდი იმ 12 პროცენტის დიდ ნაწილსაც, რომელმაც თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

მოსახლეობას, მიუხედავად პროპაგანდისტული კლიშეებისა და პერმანენტული „ტვინის გამორეცხვისა“, საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს ეროვნული თვითშენახვისა და გადარჩენის ინსტინქტი (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი ვერც გაუძლებდა საუკუნეთა ქარტეხილებს). სწორედ ამ ინსტინქტის საფუძველზეა გაკეთებული დასკვნა, რომ ***ნატოში გაწევრიანებაზე კურსის გაგრძელება დაძაბავს რუსეთთან ურთიერთობებს.*** რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას ამ შემთხვევაში ვარაუდობს 8-ჯერ მეტი რესპონდენტი იმათთან შედარებით, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას (შესაბამისად, 64% და 8%).

# მამაკაცებზე მონადირენი

ზოგი 37-მანეთიან ბილეთს მისტირის, რუსეთში რომ ჩადიოდა ტანიასთან და გალიასთან და ისინიც რომ გულში კრუსუნით იხუტებდნენ. ქართველი ვაჟკაცი კი მხოლოდ მოგრძო თმით და მერცხლის კუდივით გაშლილი ყურყუმა ულვაშით კი არ მიდიოდა რუსეთში, ილლიაში ამოჩრილი შამპანური ან კონიაკიც მიჰქონდა და მართლაც საოცრება ამბავია დღეს, მაგრამ არც 37 მანეთი ენანებოდა. ხარჯავდა ფულს, გადიოდა გზას, რათა სტუმრებოდა ქალბატონს.

მაშინ ვერც თვითონ და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მალე ისე შეიცვლებოდა ყველაფერი, ქალები დაიწყებდნენ ე.წ. ნადირობას მამაკაცებზე, ქალები ჩაიდებდნენ უბეში შამპანურის ბოთლს და მამაკაცთა მოსახიბლად 37 მანეთზე მეტის დახარჯვასაც არ მოერიდებოდნენ.



მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ერთ ამბავს მოვყვები, რომელიც წლევანდელი ახალი წლის წინა დღეებში ერთ ჩემს ნაცნობს შეემთხვა.

„29 დეკემბერი იყო. დილიდან ბიჭები უბანში ვიდექით, ვმასლაათობდით, ყველა უმუშევარი ვართ, სიგარეტის ფულიც არ გვაქვს. ახალი წელი ახლოვდებოდა და არც იმის იმედი გვქონდა, მომავალ წელს სამუშაოს რომ ვიშოვიდით და ოჯახს და მცირეწლოვან შვილებს პატარა საჩუქრით რომ მაინც გავახარებდით. ასე იყო, როცა მოულოდნელად ქუჩის კუთხეში შავი ჯიპი გამოჩნდა. ჩვენი მეზობელი პარლამენტარი კი იცვლის ჯიპებს ფეხსაცმელებივით, მაგრამ მის მანქანას ვცნობდით. ეს ის არ იყო. ამიტომ ბიჭებმა ყურები და თვალები ვცქვიტეთ და გაკვირვებაც კი ვერ მოვახერხეთ კარგად, რომ შავი ჯიპი ჩვენს ფეხებთან გაჩერდა.

— გამარჯობათ, — ოდნავ გამოყო თავი მანქანიდან მაღალ მოდაზე ჩაცმულმა, მოვლილმა და აშკარად ცხოვრებით კმაყოფილმა, ასე, 55-60 წლის ქალბატონმა.

— გეტყობათ, ძაან გატეხილში ხართ. რამე პრობლემა ხომ არაა. ამ უბანში მაქვს ბავშვობა გატარებული. ახლობელთან ვიყავი. რამეში ხომ არ დაგეხმაროთ. თუ გინდათ, ქალაქში გაგიყვანთო.

სამნი ვიყავით. მე წინ დავჯექი, ბიჭები უკან მოთავსდნენ.

გზაში ერთმანეთი გავიცანით. ნაცნობებიც აღმოგვაჩნდა და ადვილად გავშინაურდით. გმირთა მოედანს რომ მივუახლოვდით, ქალბატონმა თქვა, მოდი, ბარემ საღამო დგება: 4 საათია, ჩემს გოგოებს გავუვლი და ვაკეში რესტორან „სენატ-ში“ დავსხდეთ. უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთიო.

უარს ვინ გიჟი იტყოდა ასეთ რამეზე? ბიჭები ლამის აჭიხვინდნენ უკანა სავარძელზე. კაცმა რომ თქვას, დილას ყავაც კი არ მქონდა დალეული. ხომ გითხარით, 29 დეკემბერი იყო, მანანა, ჩემი ცოლი, დილიდან მებუზღუნებოდა: ამ ახალ წელს ოჯახის მშიერი დატოვება როგორ შეიძლება, გოგია უიშვილი გჯობდა, იმას ქათამი და ხაჭაპური ჰქონდა, ჩვენს მაცივარში კი არაფერი დევს ტომატმიმხმარი ქილის გარდაო.

გზაში ქალბატონმა მეგობრებს დაურეკა და სანამ „სენატ-ში“ მივიდოდით, დაახლოებით მისი ასაკის „გოგოები“ თავიანთი მანქანებით უკვე იდგნენ რესტორნის წინ.

მეგობრებმა ზღაპრული სუფრა გააშლევინეს. დაიწყო ქეიფი. შეკვეთილი სიმღერები, ცეკვები, თავბრუდამხვევი გართობა. ისედაც დანერვოზებულები ვიყავით ბიჭები და ასეთი ტუზი რომ დაგვეცა, რა ხდებოდა ჩვენს თავს, თვითონაც ვერ ვხვდებოდით. ამ აურზაურში ერთმანეთის გაოგნებულ თვალებს თუ წავაწყდებოდით, თორემ, მართალი უნდა ვთქვა, ამ მოულოდნელობის გამო ლაპარაკის თავიც კი არ გვქონდა. ერთი-ორჯერ მანანამ დამირეკა. დავამშვიდე, მალე მოვალ-მეთქი, მაგრამ მერე, ალბათ, ათჯერ მაინც ვნახე მისი დარეკილი, თუმცა იმ ხმაურში, ვალსებსა და ტანგოს შორის შესვენების პერიოდში ტელეფონსაც ველარ ვპასუხობდი, ქალბატონების კისკისი იკლებდა იქაურობას.

ღამის ორი საათი იქნებოდა დაწყებული, „გოგოებმა“ იკითხეს — სახლებისკენ არ წავიდეთო? კი, ბატონო, როგორც იტყვით-თქო, ვუთხარით. უბნიდან რომ წამოგვიყვანა, რესტორნის თანხა იმ ქალბატონმა გადაიხადა. გარეთ გამოვედით. ჯიბეები ცარიელი გვქონდა, თუმცა ტაქსით წავალთ-თქო, მაინც ვთქვით და დასამშვიდობებლად გავუწოდეთ ხელი ქალბატონებს. არ ვიცოდით, მადლობა რა ფორმით უნდა გვეთქვა.

— ახლა ჩემთან წავიდეთ, — თქვა უცებ ჩვენმა მასპინძელმა.

კაცმა ასეთ დროს უარი როგორ უნდა თქვა?

ლუღლუღი დავიწყეთ მე და ბიჭებმა. შეზარხოშებულიც ვიყავით...

ზუსტად არც მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი პირველად გაცნობილი ქალბატონის მანქანაში და ბიჭები ერთი ერთ ქალბატონთან, მეორე — მეორესთან.

არ ვიცი, მასვამი რომ ვიყავი, იმიტომ, თუ მართლა ასე იყო, იმ ქალბატონის სახლი ნამდვილ მუზეუმს ჰგავდა. ყავა რომ დავლიეთ და მისი შემოთავაზებული სიგარაც გავაბოლეთ, აქაფებულ ჯაკუზში ჩამსვა და საკუთარი ხელით დამბანა. მერე უცნაური შუქით განათებულ საძინებელში შევედით.

ისეთი ზღაპრული ღამე ცხოვრებაში მართლა არასდროს მქონია. ეს იყო სასწაული...

დილით ადრე მანანას ზარმა გამაღვიძა. კიოდა საწყალი. მთელი ღამე არ მიძინია, სად ხარ, დედაშენს 200 აქვს წნევა, ცოცხალი თუ ხარ, დროზე სახლში მოდიო.

საწოლს გადავხედე. ქალბატონს ღრმად ეძინა გვერდით საწოლზე.

ლამის იყო, მეტირა. ზეგ ახალი წელი დგებოდა. ამ ფანტასტიკური ღამის შემდეგ ახალ წელს პურით და დედაჩემის გაკეთებული ოლივიეს სალათით უნდა შევხვედროდით.



გამახსენდა, საშინლად ვერ ვიტანდი ამ სალათს...

ფრთხილად დავიწყე ჩაცმა.

კარებისკენ რომ გავეშურე, ქალბატონის ხმა მომესმა:

— სარკესთან ფული დევს, აიღე. რაც არის, ყველა აიღე, შენია, გეკუთვნის!!.

სასტიკ უარზე დავდექი, მაგრამ ისე მკაცრად მითხრა, უარს აზრი აღარ ჰქონდა...

ზუსტად 500 დოლარი აღმოჩნდა. ფული გადავანაწილე. 300 დოლარი მეორე ჯიბეში ჩავიდე და გარეთ გამოვედი.

სახლში მივედი. მანანა ცოტა რომ დაწყნარდა, 200 დოლარი გავუწოდე:

— მიდი, ბაზარში რამე იყიდე. ხვალ ბევრი ხალხი იქნება და დამიწყებ წუწუნს, ადექი, დღეს წადი, — ვუთხარი მე.

ფული რომ დაინახა, ახლა ამაზე ატეხა ერთი ამბავი — მოიპარე, ითამაშე, ოჯახი დაღუპე?

— ძმაკაცს გაუმართლა, რაღაც საქმე გამოუვიდა, გაგვიყო ბიჭებს. წადი, ნუ კივი, თავი მტკივა-მეთქი, — დავამშვიდე.

თავი მართლა მტკიოდა. საშინლად დაღლილი ვიყავი. წამოვწექი და მკვდარივით ჩამეძინა. რომ გამოვფხიზლდი, ძმაკაცს დავურეკე: ხომ ცოცხლები ხართ, ხომ კარგად ხართ-თქო.

— კი, კიო, — უხალისოდ და არეულად მიპასუხეს.

— არა უშავს, — გავიფიქრე გულში. მეძავებიც ასე იწყებდნენ-მეთქი და კედლისკენ შევბრუნდი. არ ვიცოდი, რა იქნებოდა ხვალ“...

***...ეს ისტორია რეალურია და მართლა გადახდა თავს ჩემს ნაცნობს.***

***ჰოდა, მართლა რა იქნება ხვალ?!***

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**



## ქართულ მწვანილს „როსსელხოზნადზორის“ მცენარეთა კარანტინის ცენტრში შეამოწმებენ

სურსათის ეროვნული სააგენტოსა და რუსეთის ფიტოსანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელებმა საქართველოდან რუსეთში მწვანილის ექსპორტთან დაკავშირებულ წესების დადგენის დოკუმენტს მოაწერეს ხელი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ბერლინის საერთაშორისო გამოფენის — „მწვანე კვირეული 2015“ — ფარგლებში, საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, ზაზა დოლიძემ და „როსსელხოზნადზორის“ ხელმძღვანელმა, სერგეი დენკვერტამ ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ლაბორატორიული ექსპერტიზის სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებამდე მხარეები მწვანილის ფიტოსანიტარიული სერთიფიცირების წინმსწრებ პროცედურებს ერთობლივად ჩაატარებენ.

ამავე ინფორმაციით, პროდუქციას რუსეთის ტერიტორიაზე შესვლისას ყველა საჭირო ლაბორატორიული ანალიზი და ექსპერტიზა „როსსელხოზნადზორის“ დაქვემდებარებაში არსებულ მცენარეთა კარანტინის ცენტრში ჩაუტარდება.

20 gv.

ხედი; საქართველოს თავ-ყური ბალიშზე აქვს მიდებული და ძილ-ბურანში ხან NATO-ზე ბოდებს, ხან — ევროოჯახსა და რაღაც დასავლურ ღირებულებზე, რუსეთი კი მოქმედებს.

რა გამოდნება NATO-ს წევრი თურქეთისა და NATO-ს მტერი რუსეთის მეგობრობიდან საბოლოოდ, ვნახავთ, მაგრამ მოცემულ მომენტში რომ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა რეგიონში, თავადვე განაცხადეს.

გადავხედოთ ვითარებას — „NATO-ს მამების" განცხადებებით ჩანს, რომ უკრაინისა და საქართველოს „შვილად აყვანა" კარგა ხნით გადაიფიქრეს (საკითხავია, როდესმე ფიქრად მაინც თუ გაუვლიათ?) ქვამი ფრაზაც — ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა რუსეთთან ერთად გვსურს და არა მის წინააღმდეგ!...

**P.S.** ვანგამ ცნობილ ქართველ ფსიქოანალიტიკოს გია სულაქველიძეს გასული საუკუნის 90-იან წლებში უთხრა: „ქართველები იმავე მიწაზე გააგრძელებთ ცხოვრებას, რომელზეც ახლა ცხოვრობთო" და ეს სიტყვები გაუგებარი იყო მაშინ;

ვანგამ იწინასწარმეტყველა და თქვა, რომ კონკრეტული წინასწარმეტყველება 2010 წელს გამოქვეყნებულიყო, რადგან ეს გაფრთხილება მნიშვნელოვანი იქნებოდა სამომავლოდ: „სულ უფრო ხშირად შეხვდებით ხალხს, რომელთაც თვალები აქვთ, მაგრამ ვერაფერს ხედავენ; ყურები აქვთ, მაგრამ არაფერი ესმით... ძმა ძმის

# დიახ, ბატონებო, 2021 წელს აჭარას, ყარსის ხელშეკრულების თანახმად, „კანონიერად" წაიღებს თურქეთი




ამ დროს რუსეთმა ყირიმი მიიერთა. სიტყვიერად — უკრაინა ებრძვის რუსეთს, რეალურად — უკრაინაში ისეთივე სამოქალაქო ომია, როგორიც 90-იან წლებში თბილისში იყო, იმ განსხვავებით, რომ უკრაინის პრეზიდენტი შანსს არ უშვებს რუსეთის უმაღლეს პირებს დაელაპარაკოს; საქართველო — თავს იფასებს, ეშინია, „ნაცბანდამ" „რუსეთუმეობა" და ალასანიას „სასტავმა" „ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევა" არ დააბრალოს.

2021 წლის ნოემბრისთვის, როგორც „სახელშეკრულებო კანონიერება" გვითითებს, ბათუმი თურქეთის იქნება და...

საქართველოს ორმა მეზობელმა, „გაკერკეტებულმა ბიჭებმა" გაზსადენით დაიწყეს შეამხანაგება — იმდენი „იხტუნავა" ევროპამ, გაზის პირდაპირი მიწოდების გზა დაეკარგა თვალსა და ხელს შუა. ვიღაცამ თქვა, გაიკეთონ ის მილი ერთ ადგილზეო — მათ კი არა, საქართველოს უხდება ასე „საამაყო" მილსადენი ერთ ადგილას გასაკეთებელი, რადგან საქართველოს ურჩება „აბსაიდში". და საერთოდ, მთლიანად საქართველო რჩება აბსაიდში როგორც გეოსტრატეგიულად, ისე ყოველმხრივ... მილსადენი კი არა, ისიც კი საკითხავია, ერთ დილას სად გავიღვიძებთ და რა გვერქმევა, რადგან კი არავინ ამოგვჟუჟავს, უბრალოდ, ახალი რეალობა იქნება და იმ რეალობაში მოგვიწევს საკუთარი თავების ძებნა. გავიხსენოთ პუტინის ყოფილი მრჩევლის ანდრეი ილარიონოვის განცხადება.

„თუ კრემლის აგრესიის შეჩერება უკრაინაში ვერ მოხერხდა, პუტინმა, შესაძლოა, იერიში სხვა ქვეყნებზეც მიიტანოს, მათ შორის მოლდოვაზე, საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებზე.

...ახლა მიდის ავარეთ-კახეთის გზატკეცილის რეკონსტრუქცია, რომელიც მომდევნო წელს, შესაძლოა, აღმოსავლეთ საქართველოში სამხედრო ტექნიკის მიწოდების არხად იქცეს — რუსეთის გენშტაბს სომხეთსა და მთიან ყარაბაღში სახმელეთო დერეფანი ესაჭიროება — ამ შემთხვევაში აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში მიმავალი მილსადენები გადაიჭრება. ვინ გაუწევს მას წინააღმდეგობას".

არცთუ უმნიშვნელოა გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის მოკლედ ნათ-

**წინააღმდეგ საბრძოლველად წავა; დედები დატოვებენ თავიანთ შვილებს... ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე იზრუნებს... ის, რაც გაერთიანდა — ნაწილებად დაიშლება — ეს რუსეთის გვერდით მოხდება. ყველაფერი იზრდება როგორც ყინული, მხოლოდ ერთი რჩება ხელშეუხებელი — ვლადიმერის დიდება, რუსეთის დიდება! ძალიან დიდი მსხვერპლი იქნება... რუსეთს ვერავინ შეაჩერებს... თავის გზაზე ის ყველაფერს გადათელავს და არა თუ თვითმყოფადობას შეინარჩუნებს, მსოფლიო მბრძანებელიც გახდება."**

**საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (პავლოვი), რომლის გამოცხადებებისა და წინასწარმეტყველობების შესახებ არა ერთხელ ითქვა: „რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყება და თურქეთი გაქრება. საქართველო გამთლიანდება, დაიბრუნებს თავის ძირძველ მიწებს, რა თქმა უნდა, ტაოკლარჯეთსაც. ვისთან იქნება ომი? რუსებს ქართველებს და ბერძნებს ომი ექნებათ იმასთან, ვისთანაც საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ..."**

**დიდი ალბათობით რა „პერსპექტივა" აქვს საქართველოს, მოკლედ ვთქვით, მაგრამ წყალწაღებული რომ ხავსს ებღაუჭება და იმედი ბოლოს ქრება, ესიც ხომ ფაქტია, ამიტომ ეგებ ტვინი, ხელი და ენა ერთდროულად გავანძრიოთ ყველამ ერთად?**

**გიორგი ჩხეიძე**

# ვიდრე დასავლეთი იარსებებს, ტერორიზმი არ მოისპობა მსოფლიოში

**მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით ვესაუბრებით ბატონ თემურ მირიანაშვილს.**

**— ბატონო თემურ, პარიზში მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით, მთელ მსოფლიოში მოხდა ცალმხრივი შეფასებები, კერძოდ, დაიგმო ტერაქტები, თუმცა მიზეზებზე არავინ საუბრობს. ფაქტობრივად, დასავლეთს გაუჭირდა სიმართლის თქმა, რამ გამოიწვია ყოველივე, თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მოვლენას?**



— ადამიანები დასაღუპად გასამეტებელი, ცხადია, არ არიან, მაგრამ მიზეზი უნდა ითქვას. მთავარი არის ის, რომ **„დასავლეთის „დემოკრატია" სინამდვილეში არის პროფანაცია**. ის, რომ კაცი იყოს დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მომხრე და უნდა აგინოს მეორე კაცს ანუ მაჰმადიანს, ეს უაზრობაა. აქ მე ერთი ანეკდოტი მახსენდება, ერთ კაცს ეკითხებიან, ის, მეორე, რატომ არის გაბრაზებული შენზეო და პასუხობს, დედას ვაგინებ და სწყინსო. ასე მოხდა აქაც. არსებობს წმინდა ღირებულებები, რომელსაც არ უნდა შეეხო. ამ შემთხვევაში შეეხნენ მაჰმადიანთა **რელიგიას, მათთვის უმთავრესს — შედეგიც მიიღეს! რელიგიის გინება დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება არ გახლავთ!** მაგრამ რა გაეწყობა, ეს არის **დასავლეთის ტოტალური პოლიტიკა.** როდესაც ერს რელიგიას წაართმევ, ის არის უკვე პირუტყვი, რომელსაც სადაც გინდა, იქით გადადენი, — აი აქეთაა ყველაფერი მიმართული.

ვფიქრობ, ეს დაუსრულებელი პროცესია, დასავლეთი თავისას არ დაიშლის და მაჰმადიანური სამყარო კი ამას არასოდეს არ შეეგუება, ამიტომ, სულ უფრო და უფრო დაიძაბება მათ შორის ურთიერთობა.

ახლახან მოვისმინე დასავლეთის მოქალაქის პოზიცია, როცა მან თქვა, რომ თუ ასე გაგრძელდება პროცესები, ის მაჰმადიანები, რომლებიც ზომიერ პოზიციას იკავებენ, ისინიც გადავლენ ისლამისტების მხარესო, — ეს სერიოზული განაცხადია და რეალური.

**— მიგაჩნიათ, რომ ეს ჟურნალი „შარლი ებდო" სატირული ხასიათისაა?**

— ცხადია, არა, ის არანაირ სატირასა და იუმორს არ განეკუთვნება. ის არის ეპატაჟი, ყველაფრის კადრებით სურთ, რომ გაიჩინონ მკითხველი. ვინაიდან დასავლეთის ოფიციალურ პოლიტიკას ემსახურებიან, ჰყავთ დამფინანსებლებიც, ცხადია. სინამდვილეში ეს არის სიტყვის თავისუფლების პროფანაცია.

**— ჟურნალის რედაქციის გარდა, იქ მოხდა ებრაულ მაღაზიაზე თავდაასხმაც. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი?**

— მაჰმადიანებს ძალიან გართულებული აქვთ ურთიერთობა ებრაელებთან, თუმცა, თვითონ დასავლეთი საშინლად ეპყრობოდა ებრაელებს წინა საუკუნეებში, უამრავი ებრაელი დახოცეს და გაანადგურეს, ეს ხომ ფაქტია. დღეს კი მათი პოლიტიკა მთელი არადასავლელი ხალხის პირუტყვად გადაქცევის მცდელობაა და მეტი არაფერი. თუმცა, ხშირად თავის დაგებულ ხაფანგში თავადვარდებიან, ამიტომაც არის, რომ რადიკალი ისლამისტების რიცხვი ასე იზრდება.

**— სხვათა შორის, იქ იესოსა და დედა ღვთისმშობლის კარიკატურებიც იყო...**

— საკმაოდ ბევრი იყო, მაგრამ კათოლიკურ პროტესტანტულმა სამყარომ ამაზე თვალი დახუჭა, იმიტომ, რომ დღეს იქ რელიგიაც პოლიტიზირებულია. საბედნიეროდ, მართლმადიდებლურმა სამყარომ თავისი პოზიცია დაიჭირა და რელიგიის შეურაცხყოფაზე თავისი განცხადება გააკეთა. აქვე აღვნიშნავდი, რომ დასავლეთი აქტიურად ნერგავს და პროპაგანდას ეწევა ჰომოსექსუალიზმისა მთელ ევროპაში, ჩვენშიც შეეცადნენ, თუმცა ამაოდ. როცა რელიგიას წაშლი და ჰომოსექსუალიზმს დანერგავ, იქ ერი წამხდარია. დასავლეთში გაბატონებულია აზრი, რომ ისინი იმდენად კარგები არიან, რომ მაჰმადიანებს შურთ მათი კეთილდღეობის და იმიტომ ატარებენ ტერორისტულ აქტებს. სინამდვილეში მიზეზი ის არის, რომ **რამდენიმე საუკუნეა, დასავლეთმა სისხლი გაუშრო მაჰმადიანებს, დღეს კი უკვე მათ ზნეობრივ საყრდენებს შეეხნენ.** ყველაფერს აკეთებენ მაჰმადიანობის დემონიზაციისთვის, ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ტერორიზმი არასოდეს არ დამთავრდება, ის სულ იქნება, სანამ იარსებებს დასავლეთის სამყარო.




**— დღეს, როდესაც საქართველო ევროკავშირში გაერთიანებაზე ოცნებობს, მასაც ხომ არ ემუქრება საფრთხე?**

— რა თქმა უნდა, ემუქრება, პირველ რიგში, ჩვენს რელიგიას, **დიდ საფრთხეში ვაგდებთ ამით, უმეტესობა შეიძლება გახდეს კათოლიკე და პროტესტანტი ან სექტანტი — ეს სერიოზული საფრთხეა!** დასავლეთის ფეტიშიზაცია უნდა შეწყდეს ქართული საინფორმაციო საშუალებების მხრიდან.

**P.S.** მომხდარი ფაქტის შემდეგ ორი კომენტარი იყო საინტერესო. **ისლამისტების ლიდერის, იემენის ორგანიზაციის მეთაურის ნასირ ალ ანრის აზრით — „საფრანგეთი „სატანის პარტიას" ეკუთვნის, ხოლო რომის პაპი ფრანცისკი მიიჩნევს, რომ ვინც რწმენას დასცინის, საპასუხო დარტყმას უნდა ელოდოს.**

**ეთერ პასრელიშვილი**
599 110 200



# ბატონ ვაჟა (პანტიკო) თორდიას

80 წლის იუბილეს გილოცავთ, ბატონო ვაჟა! თქვენ სულ სხვა მისია დაგაკისრათ უფალმა და ეს ასაკი ხანდაზმულობად არ ჩაგეთვლებათ!

ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ ასაშენებელი და გადასარჩენი!

ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ, დიდო ერისკაცო!

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი




დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001



მოხდა გაუგონარი რამ — შვილმკვდარი მამა შვილის საფლავზე ააფეთქეს...

ეს ტრაგედია ყველა ჩვენგანის ტრაგედიაა.

იური ვაზაგაშვილი უსამართლობის კიდევ ერთი მსხვერპლია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბნელი ძალების სისხლიან მიზნებს, მოიშორონ თავიანთი კრიმინალური საქმეების ყველა მოწმე და მამხილებელი.

ქართველი ხალხი სამართლიანობის დამკვიდრებას მოითხოვს.

იმედია, სათანადო ორგანოები მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ხალხის მოთხოვნას — გამოძიონ ნაციონალების მიერ ჩადენილი ყველა კრიმინალური საქმე და ამასთან ერთად სასწრაფოდ დადგინდეს იური ვაზაგაშვილის მკვლელების ვინაობა.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მარაბდელი მიტროპოლიტის, ეპისკოპოს მეუფე

## თადეოზის (იორამაშვილი)

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და მის მრავალრიცხოვან მრევლს.

„საერთო გაზეთი“



თითქმის 35 წელიწადია მეუფე თადეოზს (იორამაშვილი) ვიცნობ. ეს იყო უპატიოსნესი, უკეთილშობილესი ადამიანი, ნამდვილი ქართველი, მართლმადიდებლური რწმენით გამშვენიერებული ეპისკოპოსი, ერთგული მეგობარი, გულმოწყალე და ქველმოქმედი. მონასტერში ჩემი ყოფნის პერიოდში, როცა ვიცოდი, რომ არავითარი მატერიალური სახსარი არ გააჩნდა მეუფე თადეოზს, ბევრჯერ შევსწრებივარ უკანასკნელი კაპიკებით გაჭირვებულს რომ დახმარებია.

ჩემი სულიერი მამა და პატრონი მეუფე თადეოზი გარდაიცვალა.

მჯერა, მისი სული იქედანაც ილოცებს საქართველოსთვის.

მშვიდობით, მეუფე თადეოზ.

გულნაზ ჯავახაძე
ბოლნისი-დმანისის ეპარქიის დმანისის სიონის ეკლესიის ყოფილი მორჩილი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**-როგორ ხდება პირის გარდაცვლილად გამოცხადება?**

-თქვენს კითხვას ამომწურავად უპასუხებს სამოქალაქო კოდექსის 22- ე მუხლი.

მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად

1. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

დამატებით გაგაცნობთ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნებით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებს.

მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები

1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

* * *

**— ჩემი ყოფილი მეუღლე განქორწინების შემდეგ სასამართლო წესით ბავშვს უხდის ალიმენტს. ალიმენტის დანიშვნის შემდეგ მან სამსახური შეიცვალა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, მისი ხელფასი საგრძნობლად გაიზარდა. შემიძლია თუ არა, მოვითხოვო ალიმენტის გაზრდა?**

-თუ მამა ალიმენტს თვითონ ნებაყოფლობით არ გაზრდის, თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ ალიმენტის გაზრდა სასამართლო წესით. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს. ამასთან, აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში მისი ხელფასის ამსახველი ცნობა.

* * *

**— 14 წლის წინ მოვიხადე სასჯელი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ვითვლები თუ არა დღეის მდგომარეობით ნასამართლევად?**

— აღარ ითვლებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნასამართლობა გაქარწყლდება მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა -სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ.

ავეჯის
გადაზიდვა



593 20 46 87